ISSN 1987-6890

# ეკონომისტი

# EKONOMISTI

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

International Scientific-Analytical Journal

6

2 0 1 3

**UDC33**
ე-49

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

# ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

დეკემბერი **6** 2013

მთავარი რედაქტორი რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია:

აკადემიკოსები:
**ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე.**
საქ. მეც. ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
**ლეო ჩიქავა.**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები:
**იური ანანიაშვილი, როზეტა ასათიანი, გივი ბედიანაშვილი, თემურ ბერიძე, გიორგი ბერულავა, ვახტანგ ბურდული, რევაზ გველესიანი, რევაზ გოგოხია, რევაზ კაკულია, თემურ კანდელაკი, მურმან კვარაცხელია, ალფრედ კურატაშვილი, იაკობ მესხია, ელგუჯა მექვაბიშვილი, სოლომონ პავლიაშვილი, უშანგი სამადაშვილი, როლანდ სარჩიმელია, ავთანდილ სულაბერიძე, თემურ შენგელია, თინა ჩხეიძე, ნოდარ ჭითანავა, ეთერ ხარაიშვილი, მიხეილ ჯიბუტი.**

ეკონომიკის დოქტორები:
**ნანული არევაძე, თამილა არნანია-კეპულაძე, ნანა ბიბილაშვილი, ბადრი გეჩბაია, მერაბ გველესიანი, შალვა გოგიაშვილი, ლინა დათუნაშვილი, გულნაზ ერქომაიშვილი, ეთერ კაკულია, ნაზირა კაკულია, ანზორ კურატაშვილი, თეა ლაზარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), იზა ნათელაური, დალი სოლოღაშვილი, ნოდარ ხადური, მამუკა ხუსკივაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რევაზ ჯავახიშვილი.**

უცხოელი წევრები:
**ანა ახვლედიანი (დიდი ბრიტანეთი, პასუხისმგებელი მდივანი უცხოეთში), ლარისა ბელინსკაია (ლიტვა), ელდარ ისმაილოვი (აზერბაიჯანი), ბინდრა კასნაუსკიენე (ლიტვა), დავით კურტანიძე (აშშ, მთავარი რედაქტორის მოადგილე), ვლადიმერ მენშიკოვი (ლატვია), მიხეილ როკეტლიშვილი (აშშ), სლავომირ პარტიცკი (პოლონეთი), დიმიტრი სოროკინი (რუსეთი).**

თამარ დადიანი (პასუხისმგებელი მდივანი)

---

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე.

---

თბილისი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Paata Gugushvili Institute of Economics

# EKONOMISTI

**International Scientific-Analytical Journal**
**Published from January 2009**

**December** 6 2013

**Editor-in-Chief Ramaz Abesadze**

**SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD:**

ACADEMICIAN OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:
**Vladimer Papava, Avtandil Silagadze**

CORRESPONDING MEMBER OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:
**Leo Chikava,**

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:
**Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Givi Bedianashvili, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Revaz Gvelesiani, Revaz Gogokhia, Mikhail Jibuti, Revaz Kakulia, Temur Kandelaki, Eter Kharaishvili, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, Solomon Pavliashvili, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze.**

DOCTORS OF ECONOMICS:
**Nanuli Arevadze, Tamila Arnania-Kepuladze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Gulnaz Erkomaishvili, Badri Gechbaia, Shalva Gogiashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Anzor Kuratashvili, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Dali Sologhashvili.**

FOREIGN MEMSERS:
**Larisa Belinskaja (Lithuania), Eldar Ismailov (Azerbaijan), Gindra Kasnauskiene (Lithuania), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Vladimir Menshikov (Latvia), Slawomir Partycki (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia).**

**Tamar Dadiani (executive secretary)**

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

**Tbilisi**

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## ეკონომიკური თეორია

*რუსლან გრინბერგი* – ახალი ეკონომიკის კონტურები და ევრაზიული ინტეგრაციის შანსი 6

*თამილა არნანია-კეპულაძე* – ადამიანის ეკონომიკური ქცევის ნეოავსტრიული მოდელი: ლუდვიგ ფონ მიზესი 12

*ლია ჩარექიშვილი* – პოსტსაბჭოთა საქართველოში მეცნიერთა რიცხოვნობის სტრუქტურის ცვლილებების გავლენა ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე 19

## მაკროეკონომიკა

*შალვა გოგიაშვილი, სლავა ფეტელავა* – ანტიმონოპოლიური კონტროლი და პასუხისმგებლობა კონკურენციული სამართლის დარღვევისათვის 25

*გოგი ფოფხაძე, ნათელა კაკაურიძე*– საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა გლობალიზაციის პირობებში 35

*ნინო ქავთარაძე* – საქართველოში მოქმედი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები და მათი განაკვეთების ოპტიმიზაციის ძირითადი მიმართულებები 44

## აუდიტი

*გივი ლემონჯავა* – სტატისტიკური შერჩევის მეთოდები აუდიტის ამოცანებში 51

## საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკა

*გოგი ფოფხაძე, ნათელა კაკაურიძე* – გერმანიის საბანკო სისტემის თავისებურებები 61

## ტურიზმის ეკონომიკა

ნანა შარაბიძე – ტურისტულ საწარმოთა ინოვაციური პოლიტიკის თავისებურებები 71

## ფინანსები

*თინათინ ქურდაძე* – შიდა ინვესტიციების მოზიდვის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხისათვის 77

მილოცვა 86

2013 წლის ჟურნალ "ეკონომისტი"-ს შინაარსი 92

ინფორმაცია 107

## СОДЕРЖАНИЕ

### ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ

***Руслан Гринберг*** – Контуры новой экономики и шансы евразийской интеграции 6

***Тамила Арнания-Кепуладзе*** – Неоавстрийская модель экономического поведения человека: Людвиг фон Мизес 12

***Лия Чарекишвили*** – Влияние структурных изменений научных кадров на экономической независимости постсоветской Грузии 19

**МАКРОЭКОНОМИКА**

***Шалва Гогиашвили, Слава Фетелава*** – Антимонопольный контроль и ответственность за нарушение конкурентного права 25

***Гоги Попхадзе, Натела Какауридзе*** – Конкурентоспособность экономики Грузии в условиях глобализации 35

***Нино Кавтарадзе*** – Обще-Государственные налоги Грузии и основные направления по оптимизации их ставок 44

**АУДИТ**

***Гиви Лемонджава*** – Методы статистическй выборки в задачах аудита 51

**ЭКОНОМИКА ЗАРУБЕЖНЫХ СТРАН**

***Гоги Попхадзе, Натела Какауридзе*** – Особенности банковской системы германии 61

**ЭКОНОМИКА ТУРИЗМА**

***Нана Шарабидзе*** – Особенности инновационной политики туристических предприятии 71

**ФИНАНСЫ**

***Тинатин Курдадзе*** – К вопросу об экономической эффективности привлечения внутренних инвестиции 77

**ПОЗДРАВЛЕНИЕ** 86

**СОДЕРЖАНИЕ ЖУРНАЛА "ЭКОНОМИСТИ" ЗА 2013 ГОД** 92

**ИНФОРМАЦИЯ** 107

# C O N T E N T S


## ECONOMIC THEORY

***Ruslan Grinberg*** – Contours of New Economy and Chances of the Euroasian Integration **6**

***Tamila Arnania-Kepuladze*** – Neoaustrian Model of Human Economic Behavior: Ludwig von Mises **12**

***Lia Charekishvili*** – The Influence of Structural Changes of Scientists on the Economic Independence of Post-Soviet Georgia **19**

## MACROECONOMICS

***Shalva Gogiashvili, Slava Fetelava*** – Antimonopoly Control and Responsibility for Competitive Law Insurance **25**

***Gogi Popxadze, Natela Kakauridze*** – Competitiveness of Economy of Georgia in Conditions Occurring Globalization **35**

***Nino Kavtaradze*** – General State Taxes in Georgia and the Best Methods to Optimise their Rates **44**

## AUDIT

***Givi Lemonjava*** – Statistical Sampling Methods In Audit Engagements **51**

## ECONOMY OF FOREIGN COUNTRIES

***Gogi Popxadze, Natela Kakauridze*** – Features of Bank System of Germany **61**

## TOURISM ECONOMICS

***Nana Sharabidze*** – Features of Innovative Policy of the Tourist Enterprise **71**

## FINANCE

***Tinatin Kurdadze*** – Concerning Economic efficiency of attraction of Internal Investments **77**

**CONGRATULATION** **86**

**CONTENTS OF JOURNAL "EKONOMISTI" DURING 2013** **92**

**INFORMATION** **107**

## ეკონომიკური თეორია

***Руслан Семенович Гринберг***
*директор Института экономики РАН,*
*член-корреспондент РАН*

# КОНТУРЫ НОВОЙ ЭКОНОМИКИ И ШАНСЫ ЕВРАЗИЙСКОЙ ИНТЕГРАЦИИ

В своем выступлении я буду сначала говорить о некоторых «новых», а на самом деле ранее существовавших, но в последние десятилетия будто бы совсем исчезнувших явлениях и тенденциях в мировой экономике, а потом о перспективах евразийской интеграции.

Итак, о новых тенденциях. Можно с большой степенью уверенности утверждать, что сегодня мы имеем дело с, так сказать, четырьмя «возвращениями». Первое – это централизация и концентрация капитала. В печати, да и в специальной литературе об этом говорится мало, но в реальной жизни мы наблюдаем мощные процессы слияний и поглощений. Это очень важно отметить, потому что после кризиса кейнсианства и начала триумфального шествия неолиберализма было принято считать, что информационные технологии способствуют созданию новой тенденции под названием «small is beautiful», «малое – прекрасно». На самом деле установка на доминирование малого и вытеснение большого оказалась неверной: миром по-прежнему правят промышленные и финансовые гиганты. И это обстоятельство имеет прямое отношение к России, то есть к нескончаемой здесь дискуссии о пользе и вреде госкорпораций. Поскольку с гигантами могут бороться только гиганты, я был и остаюсь их защитником, хотя много критики получаю в свой адрес в связи с их неэффективностью. Но это другой вопрос; его обсуждение явно выходит за рамки темы.

Второе – возвращение материальной экономики. Это подтверждает и мировая статистика, и реальные наблюдения, и даже выступление Д. Камерона, на которое здесь ссылался Владимир Якунин. Британия – яркий пример финансиализации современного мира, которая завела его в тупик. Сегодня, когда идут дискуссии о том, как превратить финансовую сферу снова в средство, а не в цель развития экономики, Британия находится в исключительно сложном положении. С одной стороны, страна уже очень сильно развита в финансовом отношении; англичане на этом хорошо зарабатывают. А, с другой стороны, необходимость контролировать финансовые операции очевидна. По этому вопросу в Евросоюзе идет полемика, и понятно, что регуляторы (налог Тобина, налог на краткосрочные финансовые операции) будут работать, только если это

станет общей практикой. Если же Британия не поддержит единую позицию по этому вопросу и сохранит прежнюю финансовую политику, то проиграют все.

Третье, что очень важно, – это возвращение циклов. Еще совсем недавно казалось, что цикличность в экономической динамике удалось преодолеть. Действительно, передовые экономики обладают целым арсеналом инструментов противодействия циклическому развитию. Например, денежно-кредитная политика в рамках монетаризма работала весьма эффективно. Но циклы все же вернулись. И снова разгорелись дискуссии относительно природы и существа кризисов. Есть разные точки зрения по этому вопросу. Я, как президент Фонда Кондратьева, должен был бы придерживаться теории длинных циклов. Но мне более верной кажется позиция Саймона Кузнеца, который иначе оценивает развитие экономики. Может быть, у меня несколько упрощенное понимание этого вопроса, но я склоняюсь к простой теории «тучных» и «тощих» годов. Вы знаете, что 130 месяцев непрерывного экономического роста на Западе с середины 90-х – это действительно «золотой век», и он породил моду на дерегулирование и на философию «конца истории». Согласно этому взгляду, государство должно уйти из экономики, перестать жестко пресекать неформальные отношения, и заботиться только о создании благоприятных условий для бизнеса. Тогда экономика (без кризисов?) будет развиваться сама по себе всюду, от Габона до Америки, – для всех один и тот же рецепт. Сегодня это может показаться смешным, но еще десять лет назад это был универсальный textbook в любой стране мира; а в России еще раньше, начиная с 1990-х гг. На самом деле именно установка на уход государства из экономики сначала в риторике, а потом и в практике, в сущности, оказалась основной глубинной причиной самой глубокой мировой экономической рецессии за последние 70 лет. Скажу здесь только, что праволиберальная философия, господствовавшая в мире в последние тридцать лет, уже выходит из моды. Это подтверждает победа Обамы в США, Оланда – во Франции. Может быть, и в Германии победят силы, которые хотят возвращения социального государства. Нет никакой альтернативы этой политике, с прогрессивной шкалой налогообложения и другими инструментами. А Россия стоит на своем, хотя многим это кажется удивительным.

Так что четвертое возвращение – это восстановление прежней (50-70-е годы) систематической государственной активности в сфере управления экономикой.

А вот по-настоящему новое явление в мировой экономике – императив глобального регулирования. Здесь уже говорили, что глобальная экономика не может больше развиваться без глобального регулятора, но в то же время отдельные части мирового хозяйства не готовы к такому повороту событий. При всеобщей риторике о едином мире, в котором национальные экономики сильно переплетены как никогда, мало кто готов поступиться национальным суверенитетом.

Мне кажется уместным сослаться здесь на высказывание бывшего премьер-министра Австрии по вопросу возможного диктата Франции и ФРГ в Евросоюзе. Чтобы избежать кризисов, подобных нынешнему, считает он, нужно иметь банковский союз, финансовый союз, налоговый союз; все действия нужно гармонизировать, а это значит, что Европейский парламент объективно должен стать более важным, чем национальные парламенты. Но страны этого не хотят. А в реальной жизни тот, кто не владеет финансовыми потоками, не может влиять на принятие решений. Вот, например, тот же Европарламент. Теоретически он может устанавливать любые нормы, но его финансовые ресурсы – это деньги, получаемые от национальных правительств. В результате пока что – замкнутый круг.

Другая мировая проблема – повсеместное сужение среднего класса, что явно указывает на регресс цивилизации. Победа социального либерализма во второй половине XX в. привела к тому, что возник мощный (60 – 70%) средний класс и впервые за все время человеческой истории появились даже признаки бесклассового общества. Сейчас, похоже, вновь начинается формирование ярко выраженного классового общества, что, судя по всему, сулит восстание среднего класса. Это восстание очень зримое, ясное абсолютно, но, к сожалению, не предлагающее прагматической альтернативы.

Следующий момент – это растущая вероятность «многополярного хаоса». Как известно, после распада СССР всем нам приходится жить в практически однополярном мире. Но и он, впрочем, клонится к закату, как и пятисотлетнее доминирование евроатлантической цивилизации. С одной стороны, никто точно не знает, как будут разворачиваться события, как поведет себя Китай. Не исключено, что, как считает академик Шмелёв, через десять лет из Вашингтона будут звонить в Пекин и спрашивать, что можно делать, а чего нельзя, и уже есть некоторые подтверждения такому прогнозу. С другой стороны, Америку сбрасывать со счетов тоже нельзя. Мы видим, что США могут совершать очень серьезные ошибки (Ирак, Сербия). США могут упиваться победой над социалистической системой. Но это предсказуемо. А вот как будет действовать Китай, мы точно не знаем. Здесь возможны разные варианты. И для России, мне кажется, это благоприятный момент, поскольку она может стать реальной балансирующей силой в мире. И в БРИКС, и в «двадцатке» у нас появляются реальные возможности. Но для этого надо иметь не только атомное оружие, но и мощную экономику.

Теперь про евразийские шансы. В наши дни, когда в соответствии с тенденцией олигополизации мирового хозяйства принимаются принципиальные решения по созданию Евразийского союза, уместно вернуться к урокам несостоявшейся интеграции в рамках СНГ. Начну с того, что, практически подталкивая СССР к распаду, тогдашнее руководство России оказалось в плену двух ошибочных представлений. Первое – иллюзия «приползания», второе –

теория «обузы». Оно наивно полагало, что страны – участницы СНГ будут вечно от нас зависеть и никуда не денутся, поскольку не состоятся в качестве дееспособных государств. В то же время считалось, что Россия быстрее устроится на «солнечной стороне жизни» и без них. Но и то и другое оказалось большой ошибкой. Все страны СНГ с самого начала взяли курс на полную независимость от Москвы, действуя в отношениях с ней по принципу: «максимум экономических выгод – минимум политических обязательств».

При создании СНГ на постсоветском пространстве не было учтено и такое исключительно важное обстоятельство, которое можно было бы обозначить как «барьер размерности». Дело в том, что формирование интеграционного блока существенно облегчается, если его потенциальные участники более или менее равновелики. Успех ЕС в значительной мере предопределен тем объективным обстоятельством, что здесь имеет место наличие как крупных относительно равновеликих стран – Англии, Франции, ФРГ, Италии, так и малых, – Голландии, Бельгии, Ирландии и др. Почему это важно? Потому что, передавая в наднациональный орган часть своего суверенитета, каждой стране приходится идти на компромисс, что-то получать и что-то отдавать. Возьмем французов и немцев. Первые хотели иметь единый сельскохозяйственный рынок, поскольку были там сильны, а вторые – единый индустриальный рынок, где у них были доминирующие позиции. Интересы же итальянцев и англичан, например, позволяют занимать иные позиции, вступать в переговоры и коалиции, оставляя широкие возможности для маневра.

В СНГ же на Россию приходится 65–70% всего экономического потенциала содружества. И в этом главная проблема. Ведь даже если бы все хотели новой интеграции и никто не стремился бы в НАТО или в Евросоюз, то все равно столкнулись бы с крайне сложной проблемой – она как бы задана изначально, потому что страны экономически неравновесны. С кем и что должна согласовывать Россия, в какой наднациональный блок передавать часть своего суверенитета, если на нее приходится 2/3 всей экономики СНГ? России в принципе трудно координировать любые свои шаги с малыми государствами – скажем, с Молдавией, Киргизией, – а они, как правило, не имеют желания подчиняться ее правилам и нормам. Собственно, именно в этом и состоит «барьер размерности», который, конечно, есть и в ЕС, но там он значительно ниже, чем в СНГ. Членам Евросоюза значительно легче, чем в СНГ, находить компромиссы в увлекательной игре – «брать и давать». Россия слишком велика, чтобы быть равноправным партнером, и это объективно затрудняет любую интеграцию с ее участием.

И всё же «интеграционное окно» возможностей в рамках содружества есть. Это Таможенный союз, который в перспективе способен стать ядром будущего Евразийского союза. Тем более что зреет и политическая основа для

региональной консолидации в связи с растущей активностью исламского фундаментализма.

Государствам – членам нового экономического союза необходимо инициировать совместную программу реструктуризации и диверсификации собственных экономик, используя оставшиеся заделы советского научно-технического потенциала. Правда, в этом вопросе в наших руководящих кругах, и не только в наших, живуче представление, что вся советская промышленность – это сплошная «потемкинская деревня» и чем быстрее она исчезнет, тем будет лучше для всех. Так думать – серьезная ошибка. Если отказаться от попытки реанимации оставшейся еще весьма приличной по международным меркам части советского научно-технического потенциала, то все страны постсоветского мира неизбежно столкнутся с рисками «технологического захолустья» и вряд ли смогут противостоять им. Координация национальных промышленных политик, которую должна инициировать Россия, становится здесь императивом.

Похоже, установка на получение односторонних преференций от России начинает сегодня уступать место более рациональным соображениям. Кажется, у новых независимых республик уходит страх перед возможностью восстановления российской империи, чего они боялись все эти 20 лет. Сейчас, по-видимому, происходит какой-то перелом. Тяготы существования в суровом глобальном мире последних лет начинают вроде бы взывать к необходимости совместного противодействия возрастающим угрозам и вызовам.

В то же время все разговоры о Евразийском союзе как альтернативе ЕС кажутся мне контрпродуктивными. Надо помнить, что интеграция в рамках Евросоюза основывается не только на экономических мотивах. Здесь есть некая социокультурная европейская установка, сплачивающая народы и государства. У нас пока такой нет. Классическая евразийская идея в данный момент непригодна. Я имею в виду ту идеологию, которую разработали в 1920-е годы русские эмигранты, пытаясь создать евразийскую политику как альтернативу Западу, который якобы обманул Россию, бросив ее на произвол судьбы. Такое евразийство не может быть восстановлено. А может ли вообще созреть некая общая идеология в условиях острого дефицита демократических традиций?

В общем, наши условия для интеграции хуже, чем в Европейском союзе. Но что касается чисто экономического аспекта интеграционных проектов, то при определенных условиях они перспективны, и здесь я не вижу никакой альтернативы российской щедрости. Мы не должны быть скрягами и бороться за каждый рубль или доллар в наших действиях, газовых или негазовых войнах. Если мы действительно хотим консолидировать постсоветское пространство, то у нас нет никакого выбора, кроме как платить за интеграцию. В краткосрочном плане – это потери, в долгосрочном – однозначный выигрыш для всех, в том числе и для России.

***რუსლან გრინბერგი***
*რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის*
*ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი,*
*რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი*

## ახალი ეკონომიკის კონტურები და ევრაზიური ინტეგრაციის შანსი

ანოტაცია

სამეცნიერო ნაშრომში განხილულია თანამედროვე მსოფლიოში ახალი ეკონომიკის პრობლემები და კონტურები. მოცემულია ევრაზიული ინტეგრაციის შანსები.

***Руслан Семенович Гринберг***
*директор Института экономики РАН,*
*член-корреспондент РАН*

## КОНТУРЫ НОВОЙ ЭКОНОМИКИ И ШАНСЫ ЕВРАЗИЙСКОЙ ИНТЕГРАЦИИ

**Аннотация**

В научном труде рассматриваются проблемы и контуры новой экономики в современном мире и дается анализ шансов Евразийской интеграции.

***Ruslan Grinberg***
*Director of Institute of Economics of the Russian Academy of Sciences,*
*Coressponding Member of the Russian Academy of Sciences*

## CONTOURS OF NEW ECONOMY AND CHANCES OF THE EUROASIAN INTEGRATION

**Annotation**

In scientific work problems and contours of new economy in the modern world are considered and the analysis of chances of the Euroasian integration is given.

*თამილა არნანია-კეპულაძე*
*ეკონომიკის დოქტორი, ფილოსოფიის დოქტორი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# ადამიანის ეკონომიკური ქცევის ნეოავსტრიული მოდელი: ლუდვიგ ფონ მიზესი

*შესავალი:*კლასიკური ეკონომიკური დოქტრინის კრიტიკის გაძლიერებასთან ერთად სხვა ეკონომიკური მიმართულებების (კეინზური, პოსტკეინზური, ნეოავსტრიული სკოლის, ქცევითი ეკონომიკის, რადიკალური ეკონომიკური თეორიის, ინსტიტუციური ეკონომიკისა და სხვ.) მხრიდან, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში და, განსაკუთრებით, 80-იან წლებში, დაიწყო ეკონომიკური ადამიანის კლასიკური მოდელის (ე.წ. „homo economicus") საწინააღმდეგო მიდგომის ჩამოყალიბება, რამაც ე.წ. „ალტერნატიული ადამიანის" კომპლექსური მოდელის განვითარებას დაუდო საფუძველი. „ალტერნატიული ადამიანის" მოდელის ჩამოყალიბება მიმდინარეობს ისეთი მიმართულებების ფარგლებში, როგორიცაა რადიკალური სუბიექტივიზმი, შეზღუდული რაციონალურობა, ცვალებადი რაციონალურობა, ნეოავსტრიული მიმართულებები, ინსტიტუციური მიმართულებები და სხვა.

მოცემულ სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ადამიანის ეკონომიკური ქცევის იმ მოდელზე, რომელიც წარმოდგენილია ნეოავსტრიული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის – ლუდვიგ ფონ მიზესის შეხედულებებში.

***ლ.მიზესის და ნეოავსტრიული სკოლის ზოგადი მიდგომა ადამიანის მოდელისადმი.*** ნეოავსტრიულმა ეკონომიკურმა სკოლამ, რომელმაც მე-20 საუკუნის 50-60 წლებში განიცადა თავისი იდეების აღორძინება, ეკონომიკური მეცნიერების საფუძვლად ადამიანთა ქცევა, ხოლო ეკონომიკური მეცნიერების მიზნად - ამ ქცევის კოორდინაცია გამოაცხადა. ნეოავსტრიელთაშეხედულებით, ეკონომიკური მოვლენების სწორი და ზუსტი გაგებისათვის აუცილებელია ადამიანთა ქცევის საერთო საფუძვლების შესწავლა ინტროსპექტიული[1] ანალიზის მეშვეობით. ასეთი მიდგომა კი, ნეოავსტრიული ეკონომიკური სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურის - *ლუდვიგ ფონ მიზესის* (Ludwig Heinrich Edler von Mises, 1881-1973) აზრით, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ადამიანთა ქცევის თაობაზე „ადამიანის ცოდნის ლოგიკური ანალიზის" [1, გვ.64] საფუძველზე. მიზესი და

[1]ინტროსპექცია - ლათ. ინტროსპეცტო შიგნით ჩახედვა. მეთოდი, რომელიც საკუთარ არსზე იძლევა წარმოდგენას, თვითდაკვირვება.

ნეოავსტრიული სკოლის სხვა წარმომადგენლები გამოდიოდნენ რეალობის ობიექტური შემეცნების შეუძლებლობის პრინციპიდან, ვინაიდან, მათი მოსაზრებით, ეკონომიკური მოვლენები არ შეიძლება გამოხატული იქნან რაიმე ობიექტურ ცნებებში და თვით მკლევარის პიროვნება, მისი კვლევის განზრახვები და მოლოდინები გავლენას ახდენენ კვლევის შედეგებზე. მიზესის შეხედულებით, ეკონომიკური ცოდნა გამოხატავს მკლევარის სუბიექტურ წარმოდგენას ეკონომიკურ მოვლენებზე. ასეთი მიდგომა ვარაუდობს მკლევარის საკუთარ თავში ჩაწვდომას და ამგვარი ჩაწვდომის შედეგად ადამიანის ქცევის უნივერსალური პრინციპების ჩამოყალიბებას. ამის საფუძველზე ლ. მიზესმა გამოთქვა მოსაზრება, რომელიც საკმაოდ ირონიულად ჟღერს. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ეკონომისტებს ძალიან გაუმართლათ, რომ ისინი ადამიანები არიან, სხვაგვარად მათ არანაირი შანსი არ ექნებოდათ გაეგოთ, თუ როგორ არის მოწყობილი სამეურნეო საქმიანობა [1].

***ლ. მიზესის ადამიანის მოდელი და პრაქსეოლოგიის იდეა.*** მიზესის ადამიანის მოდელის ცენტრში მოქცეულია ე.წ. *პრაქსეოლოგიის* იდეა, ანუ არჩევანის გაკეთებისა და გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე ინდივიდთა ქცევის, ქმედების, ეფექტური საქმიანობის იდეა. პრაქსეოლოგიას ლ. მიზესი განიხილავდა, როგორც მუდმივ, უცვლელ, ჭეშმარიტ, ლოგიკურ და თანმიმდევრულ დებულებებზე დამყარებულ კვლევის მეთოდოლოგიას, რომელსაც ეფუძნება მთელი ეკონომიკური მეცნიერება. თავის ნაშრომში „ადამიანთა საქმიანობა: ტრაქტატი ეკონომიკის შესახებ" („human Action: a treatise on economics") ლ. მიზესი არა ერთხელ აღნიშნავს, რომ „პრაქსეოლოგიის საგანს ადამიანთა საქმიანიბა წარმოადგენს" [1]. ლ. მიზესი ამტკიცებს, რომ აზროვნება და ქმედება ადამიანის სპეციფიკური თავისებურებანია, რომელიც „ადამიანს ადამიანად ახასიათებს" [1]. მაგრამ პრაქსეოლოგია არ განიხილავს აზროვნებისა და ქმედების ურთიერთდამოკიდებულებას. აზროვნება, როგორც პროცესი, არ წარმოადგენს მიზესისა და პრაქსეოლოგიის მეცნიერული ინტერესის საგანს. მიზესის შეხედულებით, პრაქსეოლოგიისათვის საკმარისია ადამიანის გონებისათვის გასაგები ლოგიკისა და ადამიანთა ქმედების წესის ერთიანობის ფაქტის დადგენა. ადამიანის მამოძრავებელია მისი სწრაფვა გარკვეული შედეგების მიღწევისკენ, რაც ადამიანის მიზანდასახულ ქცევას წარმოადგენს და სწორედ ეს უკანასკნელი, ანუ ადამიანის ქცევა, ადამიანის საქმიანობა, მიზესის გაგებით, წარმოადგენს პრაქსეოლოგიის საგანს.

ლ. მიზესი მიუთითებს, რომ ქმედება - ეს არ არის უბრალოდ უპირატესობათა მინიჭება, უბრალო მჯობინება. იგი განასხვავებდა ადამიანთა მჯობინებათა ორ ნაირსახეობას: ერთი მხრივ, მჯობინება, როგორც ადამიანის სურვილი, ადამიანის იმედი და მოლოდინი მოვლენების შემდ-

გომი განვითარების თაობაზე ამ ადამიანის მხრიდან ამ მოვლენებში ყოველგვარი ჩარევის გარეშე. მეორე მხრივ, მჯობინება, როგორც ადამიანის ქმედება, როცა ადამიანი არა მარტო განსაზღვრავს თავის უპირატესობებს, არამედ ცდილობს განახორციელოს გარკვეული სახის ქმედებები უპირატესობამინიჭებული შესაძლებლობის მიღწევისათვის. ამასთან, მიუხედავად იმისა, აკეთებს თუ არა რამეს ადამიანი, მის მიერ უპირატესობამინიჭებული შესაძლებლობის გარდა, ეს ადამიანი, ლ. მიზესის შეხედულებით, ყოველთვის, ნებისმიერ შემთხვევაში, ახორციელებს გარკვეულ ქმედებებს. ასეთი მიდგომიდან გამომდინარე, მიზესი აკეთებს დასკვნას ადამიანთა ქმედების ორი სახეობის თაობაზე და განასხვავებდა აქტიურ და პასიურ ქმედებას. აქტიური ქმედება ვარაუდობს ადამიანის უშუალო, ენერგიულ ჩარევას მოვლენაში მისი შეცვლის მიზნით, ხოლო პასიური ქმედების დროს ადამიანი იღებს მოვლენას ისეთს, როგორიც ის არის და ამით ხელს უწყობენ მიმდინარე მოვლენების შემდგომ განვითარებას. ანუ, ლ.მიზესის თანახმად, სიტუაციის შეცვლის შესაძლებლობის პირობებში პასიურობა და ჩაურევლობა ისეთივე ქმედებაა, როგორც მოვლენაში აქტიური ჩარევა და მისი შეცვლის მცდელობა, ვინაიდან ორივე შემთხვევაში (განახორციელა თუ არა ადამიანმა რაიმე ქმედება) ადამიანის ქმედება-უმოქმედობა მისივე გადაწყვეტილების შედეგს წარმოადგენს. ანუ, მიზესის თანახმად, საქმიანობა არის არა მხოლოდ „გაკეთება", არამედ აგრეთვე იმის „არ გაკეთებაც", რისი გაკეთებაც იყო შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, ლ. მიზესის პრაქსეოლოგია არ აკეთებს განსხვავებას პასიურ და აქტიურ ქმედებას შორის და „არაფრის კეთება" განიხილება, როგორც ადამიანთა არჩევანი და, შესაბამისად, ქმედება.

მაშასადამე, ლ.მიზესი განიხილავს ადამიანს მხოლოდ ქმედების (აქტიური თუ პასიური, ანუ რამეს შეგნებულად გაკეთება-არგაკეთების) პროცესში. მისთვის ადამიანი არის არა მხოლოდ და არა იმდენად ჰომო საპიენს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მიზესის ადამიანი არის ჰომო აგენს ანუ მოქმედი ადამიანი. ასეთი შეხედულებებიდან გამომდინარე, მიზესის აზრით, არაქმედითუნარიანი ადამიანი მხოლოდ პირობითად შეიძლება იქნას მიკუთვნილი ადამიანებს და მათ „ადამიანთა არსებას" უწოდებს [1].

***პრაქსეოლოგია და ჰედონიზმი ლ.მიზესის ადამიანის მოდელში.*** ლ.მიზესი განსაზღვრავს ადამიანთა საქმიანობას, როგორც ადამიანის სწრაფვას ბედნიერებისკენ. ამაში იგი სოლიდარულია ჯერემი ბენტამის (Jeremy Bentham) შეხედულებებთან. ლ.მიზესის აზრით, ნებისმიერი ქმედების საბოლოო მიზანია მღელვარების მაქსიმალური შერბილება-შემსუბუქება და ბედნიერების მიღწევა. მაგრამ ლ.მიზესისა და ჯ.ბენტამის შეხედულებათა თანხვედრა იწყება და მთავრდება ამ წერტილში. თუ ჯ. ბენტამისთვის მთავარ მიზანს წარმოადგენდა „რაცშეიძლება მეტი ბედ-

ნიერება საზოგადოების რაც შეიძლება მეტი წევრისთვის („the greatest happiness of the greatest number“) [3], ლ. მიზესისთვის ბედნიერების მიღწევა არ წარმოადგენს ინტერესს. მიზესისთვის მთავარია არის იმ გზის გაგება და შესწავლა, რომელიც ამ ბედნიერებისკენ მიდის ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლ.მიზესისთვის მთავარია ის ქმედებები, რომელსაც ადამიანი ახორციელებს ბედნიერების მისაღწევად.

ლ.მიზესი აღიარებს, რომ არავის შეუძლია სხვა ადამიანის ბედნიერების შეგრძნება, ერთი ადამიანის ბედნიერების მეორე ადამიანის პოზიციიდან შეფასება და განსაზღვრა. მაგრამ, აგრძელებს იგი, პრაქსეოლოგიისათვის არც არის მნიშვნელოვანი ადამიანთა ქმედების საბოლოო მიზანი - ბედნიერების მიღწევა, ვინაიდან პრაქსეოლოგია ეს არის მეცნიერება არა მიზნებზე, არამედ საშუალებებზე და ბედნიერების ცნება გამოიყენება მასში მხოლოდ ფორმალური გაგებით. ამასთან დაკავშირებით ლ.მიზესი წერს: "რაციონალიზმი, პრაქსეოლოგია და ეკონომიკური მეცნიერება არ განიხილავენ საქმიანობის თავდაპირველ მამოძრავებელ მიზეზებს, არამედ შეისწავლიან საშუალებებს ამ მიზნების მისაღწევად“ [1]. ამასთან, თუ შეუძლებელია ადამიანთა მისწრაფების წარმოშობის გაგება, ადამიანის მიერ ამ მისწრაფების მიღწევისათვის შერჩეული საშუალებები - ყოველთვის ექვემდებარება რაციონალურ შეფასებას დანახარჯებისა და წარმატების ურთიერთშედარების საფუძველზე [2, . 52]. ადამიანის ქცევაში ლ. მიზესისთვის მთავარია ქმედება და სწორედ ადამიანის ქმედებას განიხილავს იგი, როგორც „საბოლოო მოცემულობას“.

ადამიანთა ქმედებას ლ. მიზესი უშუალოკავშირში აყენებს ადამიანთა მიერ არჩევანის გაკეთების საკითხთან.

***ლ. მიზესის ადამიანის მოდელი და არჩევანის პრობლემა.*** ლ.მიზესის გაგებით, ადამიანი, რომელსაც შეუძლია საკუთარი ემოციების გაკონტროლება და თავისი ქმედების რაციონალური ახსნა, ყოველთვის აკეთებს არჩევანს. ლ.მიზესი გამოდის ეკონომიკური მეცნიერების იმ წარმომადგენლების (მათი დასახელების გარეშე, თუმცა მისი შეხედულებების კონტექსტიდან გამომდინარე, ლ.მიზესი გულისხმობს ინსტიტუციონალისტებს და, პირველ რიგში ტ. ვებლენს) წინააღმდეგ, რომლებიც აღიარებენ ინსტინქტებს ადამიანთა ქცევის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად. ლ. მიზესისთვის ინსტინქტი, მათ შორის თვითგადარჩენის, გამრავლების თუ სხვა, წარმოადგენს ნებისმიერი ცოცხალი არსების იმანენტურ თვისებას. მაგრამ, თუ ცხოველები ემორჩილებიან თავიანთ ინსტინქტებს, ადამიანს შეუძლია მათი მართვა. ადამიანს შეუძლია გააკეთოს არჩევანი - დაემორჩილოს თუ არა ამ ინსტინქტს. სწორედ ამით განსხვავდება ადამიანი ცხოველისაგან, რომელიც ინსტინქტებით მოქმედებს. ლ.მიზესის აზრით, მაშინაც კი, როცა ადამიანი ინსტინქტურად მოქმედებს, როცა ვერ უმკლავდება თავის ემო-

ციებს და ემორჩილება თავის ვნებებსა და სურვილებს, ის აკეთებს არჩევანს, დაექვემდებაროს თუ არა თავის ინსტინქტსა და ვნებებს. მისი ასეთი პოზიცია მით უფრო გასაგები ხდება მისივე პრაქსეოლოგიის იდეიდან გამომდინარე, როცა ქმედება და ქმედებაზე ნებაყოფლობითი უარის თქმა - ტოლმნიშვნელოვანი მოცემულობებია.

ლ. მიზესისთვის მატერიალური კეთოლდღეობაც წარმოადგენს არჩევანის შედეგს. მისი აზრით, ადამიანს შეუძლია უარი თქვას მატერიალურ სარგებელზე, თუ კი ეს ეწინააღმდეგება ადამიანის მრწამსს და ამ კეთილდღეობის მოპოვება დაკავშირებულია ადამიანის ღირსების შელახვასა და საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის დაკარგვასთან. ადამიანის სიცოცხლესაც განიხილავს ლ.მიზესი, როგორც ადმიანის არჩევანს: ადამიანს შეუძლია უარი თქვას თავის სიცოცხლეზე, თუ მისი არსებობის პირობები რამე მიზეზის (მიზეზების) გამო ადამიანის მიერ მიუღებლად არის მიჩნეული: "სიცოცხლე ადამიანისთვის არის არჩევანის, შეფასებითი მსჯელობის შედეგი" - წერს ლ. მიზესი [1].

სწორედ არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას ათავსებს ლ. მიზესი ადამიანთა ქცევის რაციონალურობის გაგებაში.

***ლ. მიზესის ადამიანის მოდელი და რაციონალურობის პრობლემა.*** ლ.მიზესის მოძღვრებაში *რაციონალურობის პრობლემას* დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა რაციონალურობის მიზესიული გაგება მნიშვნელოვნად განსხვავდება რაციონალურობის იმ შინაარსიდან, რომელიც მასში კლასიკოსებს ქონდათ ჩადებული. ლ.მიზესი იძლევა ეკონომიკურ მეცნიერებაში რაციონალურობაზე არსებული (კლასიკური) შეხედულებების საკუთარ ინტერპრეტაციას და ამ (ანუ მისივე მიერ გაკეთებულ) ინტერპრეტაციის წინააღმდეგ გამოდის.

ლ. მიზესის შეხედულებით, ადამიანის საქმიანობა, ადამიანთა ქმედება ყოველთვის „აუცილებლად რაციონალურია" და, აქედან გამომდინარე, ცნებები „რაციონალური საქმიანობა" ან „რაციონალური ქმედება" არის სრულიად ზედმეტი და არ უნდა გამოიყენებოდეს.

რაციონალურობის ლ. მიზესიული ინტერპრეტაცია ვარაუდობს, რომ თითქოს გავრცელებული წარმოდგენის თანახმად, რაციონალურობაში იგულისხმება ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. მაგრამ ასეთი გაგება მიზესისთვის მიუღებელი აღმოჩნდა და იგი გამოდის ამ მიდგომის წინააღმდეგ. ლ. მიზესი წერს: "არ შეიძლება ბუნებრივად და, მაშასადამე, რაციონალურად ჩაითვალოს ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ხოლო სხვა დანარჩენი ჩაითვალოს ხელოვნურ და ირაციონალურად. სწორედ ის ფაქტი, რომ ადამიანი სხვა ძუძუმწოვართაგან განსხვავებით დაკავებულია არა მარტო საკვების, სახლ-კარისა და სექსუალური პარტნიორების, არამედ სხვა (ანუ, მისი გაგებით - უმაღლესი - *ავტ.*)

სახის დაკმაყოფილების ძებნით, წარმოადგენს ადამიანის ბუნების მახასიათებელს" [1]. რაციონალურობაზე თავისივე წარმოდგენიდან გამომდინარე, ლ. მიზესი არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით მხოლოდ პირველადი (ფიზიოლოგიური) მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ სწრაფვა წარმოადგენს რაციონალურობას, ხოლო „იდეალური ანდა უმაღლესი" დონის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე მიმართული საქმიანობა არის ირაციონალური. მისთვის რაციონალურია ნებისმიერი სახის საქმიანობა, ნებისმიერი სახის ქმედება.

*რაციონალურობა და გაანგარიშების უნარი ლ.მიზესის ადამიანის მოდელში.* რაციონალურობისა და არჩევანის პრობლემასთან მჭიდრო კავშირში ლ. მიზესი განიხილავს ადამიანის საკუთარი სარგებლიანობის *გაანგარიშების უნარს.* მაგრამ ამ შემთხვევაშიც ლ. მიზესი (თუმცა არა მარტო მიზესი) გამოდის კლასიკური ეკონომიკური თეორიის ისეთი ფუძემდებლური დებულების წინააღმდეგ, როგორიცაა ადამიანის უნარი, გაიანგარიშოს საუკეთესო ალტერნატიული ვარიანტი. იგი წერს „ადამიანთა გონება არ გამოირჩევა უტყუარობით და ადამიანს ხშირად უწევს შეცდომების დაშვება საშუალებათა (იგივე - საქმიანობის განხორციელების, *ავტ.*) არჩევასა და გამოყენებაში" [1]. მაგრამ მაშინაც კი, როცა ადამიანი უშვებს შეცდომას გაანგარიშებაში და ეს შეცდომა წარმოადგენს გარკვეული, ობიექტური თუ სუბიექტური პირობების შედეგს, ადამიანის ქმედება მაინც ატარებს რაციონალურ ხასიათს, ვინაიდან წარმოადგენს მიზნის მიღწევის გააზრებულ მცდელობას ანუ, ლ. მიზესის ლოგიკიდან გამომდინარე - ქმედებას. ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ აღწევენ სასურველ მიზანს არიან ნაკლებად ეფექტურები უფრო წარმატებულ ადამიანებთან შედარებით, მაგრამ არა ნაკლებად რაციონალურები.

მაშასადამე, ლ. მიზესის ადამიანის მოდელში ინდივიდი წარმოდგენილია, როგორც არჩევანის გაკეთების უნარის მქონე, როგორც მოქმედი, ყოველთვის რაციონალური, თუმცა არასავალდებულოდ ეფექტურად მოქმედი პიროვნება, ვინაიდან მხოლოდ ქმედება - აქტიური თუ პასიური - წარმოადგენს ადამიანის იმანენტურ, განუყოფელ თვისებას.

### გამოყენებული ლიტერატურა


1. Mises von, Ludwig, 1996 [1949], Human Action: a treatise on economics, 4th rev. ed., ISBN 0-930073-18-5, Foa&Wilkes, San Francisco.
2. Mises von, Ludwig, 1960, Epistemological Problems of Economics. Trans. by G. Reisman. New York.
3. Bentham J. Introduction to the principles of morals and legislation. 1970[1789]. London.

*თამილა არნანია-კეპულაძე*
*ეკონომიკის დოქტორი, ფილოსოფიის დოქტორი*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# ადამიანის ეკონომიკური ქცევის ნეოავსტრიული მოდელი: ლუდვიგ ფონ მიზესი

ანოტაცია

მოცემულ სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ადამიანის ეკონომიკური ქცევის იმ მოდელზე, რომელიც წარმოდგენილია ნეოავსტრიული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის – ლუდვიგ ფონ მიზესის შეხედულებებში. ნაჩვენებია, თუ როგორ ხდება რაციონალურობის, ამორჩევის, სარგებლიანობის გათვლის პრობლემებისა და პრაქსილოგიის იდეის შეხამება ლ. მიზესის ადამიანის მოდელში.

***Тамила Арнания-Кепуладзе***
*Доктор экономических наук, Доктор философских наук*

## НЕОАВСТРИЙСКАЯ МОДЕЛЬ ЭКОНОМИЧЕСКОГО ПОВЕДЕНИЯ ЧЕЛОВЕКА: ЛЮДВИГ ФОН МИЗЕС

**Аннотация**

В статье рассматриваются особенности модели поведения человека, представленной в трудах одного из представителей неоавстрийской экономической школы Людвига фон Мизеса. В данной статье показано, как проблемы рациональности, выбора, расчета полезности и идея праксиологии сочетаются в модели поведения человека Л.Мизеса.

***Tamila Arnania-Kepuladze***
*Doctor of Economics, Doctor of Philosophy*

## NEOAUSTRIAN MODEL OF HUMAN ECONOMIC BEHAVIOR: LUDWIG VON MISES

**Annotation**

The article considers the particularities of the human economic behavior model, developed by one of the representatives of Neo-AustrianSchool of Economics – Ludwig von Mises. The given article discusses how the issues of rationality, chose, utility calculation, and the praxeology idea are presented in Mises's human behavior model.

*ლია ჩარექიშვილი*
*თსუ ასოცირებული პროფესორი*

# პოსტსაბჭოთა საქართველოში მეცნიერთა რიცხოვნობის სტრუქტურის ცვლილებების გავლენა ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე

## 1. განათლებისა და მეცნიერების საფუძვლები საქართველოში.

სამეცნიერო კადრების კვალიფიციური და დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებები ზოგადად მაღალი დონის შედეგებს მეცნიერ ორგანიზატორთა შემოქმედებითი საქმიანობით აღწევს. იგი, ცივილიზაციის შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების განმტკიცების, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და უსაფრთხოების საიმედო პირობების შექმნაში აისახება. ამაში განსაკუთრებული როლი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, ხოლო დამაკვალიანებელი გავლენა ეკონომიკურ თავისუფლებას ენიჭება.

საბჭოთა კავშირში, მეცნიერებისა და განათლების სისტემაში დამოუკიდებელი განვითარების ჯეროვანი პირობები არ არსებობდა. ამ მხრივ შეზღუდვები მკაცრი იყო, მეცნიერების სხვადასხვა დარგის (უმეტესად გამორჩევით) ფიზიკა-მათემატიკურ და ტექნიკურ სამეცნიერო დარგებს ენიჭებოდა უპირატესობა. ამას შემდგომ დაემატა მოჩვენებითი ზრუნვა კიბერნეტიკისა და მასთან ფორმალურად დაკავშირებულ ეკონომიკურ, სამედიცინო და სხვ. სამეცნიერო სპეციალობებზე. მაშინ ეკონომიკის, ფილოსოფიის, სამართლის დარგები პოლიტიკური წნეხის ქვეშ იყო, კნინდებოდა მეცნიერების ცალკეული დარგების მნიშვნელობა.

პოსტსაბჭოთა საქართველოში რიგი წინააღმდეგობრივი პროცესის გამწვავებამ დეფიციტური (ზარალიანი) ეკონომიკის რეალობა დააფიქსირა. ქვეყნის ეკონომიკის დაცემა მოსახლეობის ცხოვრების მძიმე პირობებში აისახა. ამას დაერთო 2005-2012 წლების აგრესიული პრივატიზება, რამაც მეცნიერება და განათლება კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. ამას მოჰყვა სამეცნიერო კადრების რიცხოვნობის შემცირება, ძირითადად უცხოეთში მათი ნაწილის გადინებით შეიქმნა მძიმე მდგომარეობა, მეცნიერების დაფინანსება მეტად მიზერულ დონეზეა, ხოლო მეცნიერულ რეკომენდაციებზე მიზანმიმართული მოთხოვნები კომერციულ საწარმოებს არ გააჩნიათ, მათ „თავი ძლივს გააქვთ“.

21-ე საუკუნის დასაწყისში ქვეყანა თითქმის იმავე პირობებში აღმოჩნდა, რასაც ფილიპე გოგიჩაიშვილი მე-20 საუკუნის დასაწყისში გვამცნობდა.

## 2. ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის მუდმივი პრობლემა საქართველოში.

მსგავსად იმისა, როგორც მურმან კვარაცხელიამ [2] მონოგრაფიაში დააზუსტა შემდეგი: ევროპის ცალკეული ქვეყნების მიზანსწრაფული ეკონომიკური პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების პირობების შესაქმნელად უფრო რთული აღმოჩნდა, თანაც ისე, რომ მისთვის მიზანმიმართული რისკი არ ამოქმედებულა, რაც გლობალიზაციის პირობებში ახლებური ხედვით შეიძლებოდა გააქტიურებულიყო. მათ შორისაა კავკასიის ხალხებთან და ქვეყნებთან ჩვენი ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარება, ამაზე ზრუნავდა ილია ჭავჭავაძე, რასაც დიდი მნიშვნელობა და აქტუალურობა დღესაც არ დაუკარგავს [2, გვ. 156].

ეკონომიკური რისკის პერსპექტივას ერთიანი მსოფლიო ბაზრის ტექნოლოგიური, ინფორმაციული და პოლიტიკური სივრცე განაპირობებს. იგი განვითარების ტენდენციით მსოფლიოს სუპერსახელმწიფოების აქტიურობით არის დამუხტული. ამაში ძლიერი შესაძლებლობებით აშშ-ს მიერ ერთპოლუსიანი მსოფლიოს გასაძლიერებლად მიზანმიმართული დამაკვალიანებელი ზრუნვა ცენტრალური კავკასიის ქვეყნებში გონივრულად, გლობალიზაციის შესაბამისად თავიანთი ეროვნული ინტერესების სასიკეთოდ გამოყენებული უნდა იყოს.

ეკონომიკურ პოლიტიკაში განსხვავებული შესაძლებლობების მიუხედავად, საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი მეზობელი აგრესიული სახელმწიფოებიდან იმპერიული დაპყრობითი პოლიტიკის შესუსტებაზე ზრუნავენ, რაც აშშ-ს აქტიურობით ევროატლანტიკური დახმარების მიზანმიმართული გამოყენების შემთხვევაში საიმედოა.

## 3. განათლების სტატისტიკა.

უახლესი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ განათლების ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ოთხი პროცენტის ფარგლებში მერყეობს.

*ცხრილი 1.*

**საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში**

| | 2009 | | 2010 | | 2011 | | 2012 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მლნ. ლარი | % | მლნ. ლარი | % | მლნ. ლარი | % | მლნ. ლარი | % |
| მთლიანი შიდა პროდუქტი | 17 986.0 | 100 | 20 734.4 | 100 | 24 344.0 | 100 | 26138,9 | 100 |
| მ. შ. განათლება | 757.5 | 4.21 | 874.0 | 4.22 | 1050.0 | 4.31 | 1109.0 | 4.24 |

ამჟამად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თითქმის 90,0 % სახელმწიფოა. 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისისათვის, საქართველო-ში, მოსახლეობის 10 ათას კაცზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებუ-ლებებში 1244 მოსწავლე მოდიოდა (ნაცვლად 1586-ისა 2001-2002 სასწავლო წელს).

2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისისათვის ჩვენს ქვეყანაში ფუნქცი-ონირებდა 19 სახელმწიფო და 38 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. ამჯერად შემცირებულია კერძო უმაღლესი დაწესებულე-ბების ხვედრითი წილი. საქართველოში, ამ ტიპის დაწესებულებებზე მოდის სტუდენტთა საერთო რაოდენობის 27,0 %. 2000/2001 სასწავლო წელს საქართველოს სტატისტიკის ორგანოების მიერ აღრიცხული იყო 26 და-მოუკიდებელი სახელმწიფო, 14 მათთან არსებული ფილიალი და 146 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. 2000 წლის 1 ოქტომბრისათ-ვის ლიცენზირებული იყო 301 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო და-წესებულება.

2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისისათვის საქართველოში, მოსახ-ლეობის 10 ათას კაცზე 244 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი მოდიოდა, ნაცვლად 2008-2009 წლის 214-ისა და 2001-2002 წლის 334-ისა. მაშინ, როცა 1914 წელს მოსახლეობის 10 ათას სულზე გაანგარი-შებით ერთ უმაღლეს საგანმანათლებო დაწესებულებაზე მოდიოდა ერთი სტუდენტი, 1921 წელს 36, 1965 წელს 170; 1990 წელს 190; 2000 წელს 302 სტუდენტი.

რაც შეეხება კურსდამთვარებულთა რაოდენობას მოსახლეობის 10 ათას კაცზე გაანგარიშებით 2012-2013 სასწავლო წლის დასაწყისისათვის, მოდიოდა 39 კაცი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ნაცვლად 2008-2009 წლის 77-ისა და 2001-2002 წლის - 49-ისა.

სტუდენტთა რიცხოვნობამ, სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესე-ბულებებში 2012-2013 სასწავლო წელს ბაკალავრიატის პროგრამებზე 70812 სტუდენტი შეადგინა, მაგისტრატურასა ან რეზიდენტურაზე 7846, და უმაღ-ლეს პროფესიულ პროგრამაზე 1351. იგივე მაჩვენებელმა კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეადგინა შესაბამისად 26626; 2705; 193 სტუდენტი. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ 2008-2009 სასწავლო წელთან შედარებით სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბაკალავრიატზე სტუდენტთა რიცხოვნობა შემცირებულია თითქმის 37 %-ით; თითქმის 60 %-თაა შემცირებული სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესე-ბულებებიდან ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა რაოდენობა. გამოშვე-ბულთა 42.6 % მოდის სოციალურ მეცნიერებაზე, ბიზნესსა და სამართალ-მცოდნეობის პროგრამებზე, 16,7 % ჰუმანიტარულ მეცნიერებასა და ხელოვ-ნებაზე; ყველაზე ნაკლები (0,8%) მოდის სოფლის მეურნეობის პროგრამებზე.

განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის VI დონე სამეცნიერო კადრების მომზადებაა. 2012 წელს, საქართველოში მოსახლეობის 10 ათას კაცზე შვიდი დოქტორანტი მოდიოდა, ნაცვლად 2008 წლის ოთხისა.

## 4. განათლება, როგორც ეკონომიკური დამოუკიდებლობის საფუძველი.

ეკონომიკური თავისუფლების დროს ადამიანს უნდა შეეძლოს საკუთარი სიმდიდრის, შემოსავლების, ძალღონის და ა. შ. თავისუფალი განკარგვა. ეკონომიკური თავისუფლება ინდივიდის უმთავრესი მიზნის მიღწევის საშუალებაა, რომლითაც მას გააჩნია დამოკიდებული მნიშვნელობა.

თავისუფალი ბაზარი დაკავშირებულია კერძო საკუთრებასთან და განსაზღვრავს საქონლისა და მომსახურების, წარმოებას, გაცვლისა და მოხმარების თავისუფალი ყოველგვარი არაეთიკური წესების გარეშე [3, გვ. 443]. ეკონომიკური თავისუფლება მრავალმხივ ამოუწურავი ფენომენია, დამახასიათებელი 21-ე საუკუნის მაღალი კულტურის განვითარებული და ცივილიზებული სახელმწიფოსთვის.

სტატიაში [3, გვ. 443-451] თავმოყრილია სხვადასხვა უცხოური წაყროებიდან ეკონომიკური თავისუფლების რიგი ნიშნები, ამოკრეფილი უცხოური ლიტერატურიდან, ამით საკმაოდ სასარგებლო შრომაა ჩატარებული.

საქართველოში ეკონომიკური დამოუკიდებლობის ფორმირების მუდმივი პრობლემა წინააღმდეგობრივია განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ეხება მეცნიერთა რიცხოვნობის სტრუქტურის დინამიკის ცვლილებებს. ამასთან დაკავშირებით მოგვყავს პაატა გუგუშვილის აზრი იმის შესახებ, რომ „ახალგაზრდობა იბრძვის არა იმდენად არსებობის საშუალებებისთვის, რამდენადაც ცხოვრების აზრისთვის" [4, გვ. 29].

ამას თავისებური კორექტივა შეაქვს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის შინაარსში. იგი დღეს ცოდნის ეკონომიკის ღირებულების მქონეა.

ქვეყანაში განათლების დონის ზრდა და მისი საფუძვლიანი დადებითი გავლენა ეკონომიკურ ბარაქიანობაზე ახალგაზრდობისთვის ისეთ მომავალს ეფუძნება, როდესაც ცხოვრების აზრიც თავისუფალი სამშობლოს ძლიერებას ემყარება, მაშინ მოსახლეობას ეკონომიკური დამოუკიდებლობის მისაღებად მეტი შესაძლებლობები ექნება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ფილიპე გოგიჩაიშვილი, წერილები და მოგონებები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1933 (პირველი წყარო, საქართველოს მოამბე, 1909 4, 6, 8, 1910 9, 11);
2. მურმან კვარაცხელია, ილია ჭავჭავაძე და კაპიტალიზმის პრობლემები საქართველოში, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი 2012.
3. ვასილ ხიზანიშვილი, ეკონომიკური თავისუფლება, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი V, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა 2012, გვ. 443-451.
4. პაატა გუგუშვილი, ახალგაზრდობის სოციოლოგიური საკითხები, „განათლება", 1981.
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი (www.geostat.ge).



*ლია ჩარექიშვილი*
*თსუ ასოცირებული პროფესორი*


## პოსტსაბჭოთა საქართველოში მეცნიერთა რიცხოვნობის სტრუქტურის ცვლილებების გავლენა ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე

### ანოტაცია


დახასიათებულია მეცნიერებისა და განათლების სისტემის საბაზრო ეკონომიკასთან შესაბამისობაში მოყვანის სიძნელეები, რომელთა დასაძლევად პოსტსაბჭოთა საქართველოში ორი ათეული წელი საკმარისი არ აღმოჩნდა.

აღნიშნულია იმის შესახებაც, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისშიც აუცილებელი გახდა ეკონომიკური განათლების გამოყენების დაბალი დონით გამოწვეული უარყოფითი შედეგების მიზეზების აღმოფხვრის დაჩქარება, რომელთა შესახებაც ფილიპე გოგიჩაიშვილმა გვამცნო [1, გვ. 65-95]-ში.

მოყვანილია პოსტსაბჭოთა საქართველოში მეცნიერ კადრთა რიცხოვნობის სტრუქტურული ძვრების დინამიკა ისეთი სიძნელეების გათვალისწინებით, რომელიც ახლავს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ბარაქიანობის შემცირებას და საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრას.

***Лия Чарекишвили***
*Ассоцированный профессор*
*Иване Джавахишвили Тбилисский Государственныи университе*т

## ВЛИЯНИЕ СТРУКТУРНЫХ ИЗМЕНЕНИЙ НАУЧНЫХ КАДРОВ НА ЭКОНОМИЧЕСКОЙ НЕЗАВИСИМОСТИ ПОСТСОВЕТСКОЙ ГРУЗИИ

**Аннотация**

Трудности в согласовании научно-образовательных систем с рыночной экономикой описаны в стате. Процесс настолько сложна, что даже два десятилетия, не достаточно для того, чтобы преодалеть их в постсоветской Грузии.

Другое дело, что даже в начале 21-го века, существует необходимость для устранения неблагоприятных последствий, вызванных плохим использованием экономического образования - Филипп Гогичайшвили писал об этом [1, стр. 65-95].

Описанно динамика структурных сдвигов в ряде научных кадров в постсоветской Грузии, а также соответствующие трудности, такие как уменшенние сельскохозяйственного достоянние нашей страны и творческое решение проблемы обеспечения экономической независимости.

***Lia Charekishvili***
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*
*Associated Professor*

## THE INFLUENCE OF STRUCTURAL CHANGES OF SCIENTISTS ON THE ECONOMIC INDEPENDENCE OF POST-SOVIET GEORGIA

**Anotation**

Difficulties in harmonization of scientific and educational systems with market economy are described in the article. The process is so complex that even two decades were not enough for it to come to an end in post-soviet Georgia.

Another point is that even in the beginning of 21$^{st}$ century, there was a need for elimination of adverse affects caused by poor usage of economic education – Philippe Gogichaishvili wrote about that [1, pages 65-95].

Dynamics of structural shifts in number of scientific human resource in post-soviet Georgia is described, as well as corresponding difficulties, such as reduction of our country's agricultural abundance and creatively solving the problem of achieving economic independence.

## მაკროეკონომიკა

*შალვა გოგიაშვილი*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს*
*ასოცირებული პროფესორი,*
*ხლავა ფეტელავა*
*გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის*
ასოცირებული პროფესორი

# ანტიმონოპოლიური კონტროლი და პასუხისმგებლობა კონკურენციული სამართლის დარღვევისათვის

თითქმის ყველა ინდუსტრიულ ქვეყანაში კონკურენციის კანონი იურიდიულად ტარდება არასპეციალიზირებული, დამოუკიდებელი სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სასამართლო სისტემის მიერ, მაშინ როდესაც ბევრი რეფორმირებადი ეკონომიკის ქვეყანა იყენებს ადმინისტრაციულ სისტემას. იურიდიული და ადმინისტრაციული სისტემების განხორციელება უპირველეს ყოვლისა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იურიდიული პრეცედენტების გამოყენებით. უფრო ზუსტად, საკონკურენციო კანონის პრაქტიკაში იურიდიული გატარებით წარმოიქმნება სტანდარტები დებულებების (კანონის) ენისა და პრეცედენტებიდან.პ რეცედენტების გამოყენების მასშტაბი საერთაშორისოა და სახელმწიფოები კონკურენციის კანონების შედგენისას ხელმძღვანელობენ განითარებულ ქვეყნებში არსებული პრეცედენტებით. მაგალითად, საბერძნეთის კონკურენციის კომისია იურიდიული სტანდარტების შედგენაში დაეყრდნო ევროპის კავშირის პრეცედენტს კომპანიების შერწყმის კონტროლზე, ხოლო ახალი ზელანდია დაეყრდნო ავსტრალიასა და აშშ-ში ჩამოყალიბებულ იურიდიულ სტანდარტებს.

საქართველოში საკონკურენციო პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის პროცესში, შესაბამისი სტანდარტების შემუშავებისას განვითარებული ქვეყნების პრეცედენტული სამართლის ნორმების გამოყენებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. მხოლოდ ერთხელ (2001 წლის მეორე ნახევარი) ჰქონდა ადგილი საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში განვითარებული ქვეყნების იურიდიული პრეცედენტის გამოყენებას. კერძოდ, ევროსასამართლოს მიერ 1978 წელს (საქმე ECR 207) მიღებული დადგენილების თანახმად, ბანანის ბაზარი გამოყოფილ იქნა სხვა ახალი ხილის ბაზრისაგან, რადგანაც სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა მომხმარებელთა ფართო წრე ჩვილი ბავშვებისა და მოხუცების

სახით, რომლებიც ბანანის გარდა სხვა ახალ ხილს ვერ მოიხმარდნენ. სწორედ, ევროსასამართლოს ეს გადაწყვეტილება, როგორც პრეცედენტი, გამოყენებულ იქნა სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ და სასაქონლო ბაზრების კვლევის პროცესში ბანანის ბაზარი განხილულ იქნა სხვა ხილის ბაზრისაგან განცალკევებულად. აღნიშნულ სასაქონლო ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასებისა და ანალიზის პროცესში გამოვლენილ იქნენ მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტები (შ.პ.ს. „აგროტექნიკი" და „სოტობი ენტერპრაიზ ლიმიტედ"-ის წარმომადგენლობა), რომლებიც სამსახურის უფროსის 2001 წლის 25 სექტემბრის ბრძანებით (დადგენილი წესის თანახმად) შეყვანილ იქნენ მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტების სახელმწიფო რეესტრში და დაექვემდებარნენ ანტიმონოპოლიურ ზედამხედველობას და კონტროლს.

კონკურენციის შესახებ უცხოეთის ქვეყნების კანონმდებლობათა ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიყოს საბაზრო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების ორი ფორმა, რომელთაგან პირველი ემყარება ბაზარზე არსებული ყველა სამართლებრივი ურთიერთობების კონკურენციულ (ანტიმონოპოლიურ) რეგულირებაზე დაქვემდებარების პრინციპს. ამის მაგალითს წარმოადგენს, აშშ-ში უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირება, რომელიც წარმოაჩენს აშშ-ში კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის თავისებურებებს, რომელთაგან უმთავრესია ანტიმონოპოლიური რეგულირების მექანიზმის სრულყოფის ხარისხი.

საბაზრო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მეორე ფორმა პირველისაგან განსხვავდება იმით, რომ კონკურენციული (ანტიმონოპოლიური) რეგულირების მოდელის მიხედვით ხდება კანონების მიღება, კონკრეტული სახის რეგულირების სამართლებრივი ურთიერთობებისათვის. მაგალითად, „ინვესტიციების შესახებ" კანადის 1986 წლის კანონი, რომელიც წარმოადგენს ანტიმონოპოლიურ კანონს საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების სფეროში, იმეორებს სამართლებრივი რეგულირების სტრუქტურას და მეთოდს, რომლებიც დამახასიათებელია ანტიმონოპოლიური რეგულირებისათვის, მაგრამ მისაღებია მხოლოდ საინვესტიციო საქმიანობისათვის. იგივე შეიძლება ითქვას „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს 2005 წლის კანონზეც, რომელიც ასევე შეიცავს ანტიმონოპოლიური რეგულირებისათვის დამახასიათებელ ნორმებს (ბევრად უფრო სრულყოფილი სახით), მაგრამ ის მხოლოდ კომუნიკაციების სფეროს ეხება.

აღიარებულია, რომ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზებისას ჩამოყალიბდა პროცედურების ორი ჯგუფი – ადმინისტრაციული და სასამართლოს მეშვეობით. ადმინისტრაციული პრო-

ცედურების ჩარჩოებში, რომელიც უპირატესად გამოიყენება ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ეკონომიკურ აგენტებს შორის წარმოქმნილ დავებს განიხილავს სპეციალურად შექმნილი კომპეტენტური ორგანო, რომლის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, ხოლო ისეთ ქვეყნებში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, ესპანეთი), სადაც უპირატესობა ენიჭება სასამართლო პროცედურებს, გადაწყვეტილებებს იღებენ სასამართლოები. ადმინისტრაციული ორგანოები იხილავენ საჩივრებს და დამრღვევ მოპასუხე მხარეს სთავაზობენ (მოსთხოვენ) არაკეთილსინდისიერი პრაქტიკის ნებაყოფლობით აღკვეთას, აღძრავენ საქმეს სასამართლოში. ამ ორგანოებს უფლება აქვთ გასცენ რეკომენდაციები, რომელთა შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს სასამართლო განხილვის საფუძველი, ასევე განახორციელონ მოლაპარაკებები დაპირისპირებულ მხარეებს შორის დავების დასარეგულირებლად.

შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე საკონკურენციო სამართლებრივი ნორმების დაცვის უზრუნველყოფა ხორციელდება ეკონომიკური აგენტების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების და მათი თანამდებობის პირების მიერ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნათა ნებაყოფლობით შესრულების მეშვეობით, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული კანონმდებლობა ირღვევა ან არ სრულდება ნებაყოფლობით, მაშინ მის დაცვას უზრუნველყოფენ ისეთი იძულებითი პროცესუალური ნორმები, რომლებიც შეიძლება განეკუთვნებოდნენ როგორც ადმინისტრაციულ, ისე სისხლის სამართლებრივ კანონდარღვევებს.

ამ პრობლემების მოწესრიგების მიზნით, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღებისთანავე, გასული საუკუნის 90-იან წლებში, შეტანილ იქნა შესაბამისი მუხლები საქართველოს **ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში,** სადაც დროთა განმავლობაში (განსაკუთრებით ადმინისტრაციულ კოდექსში) შედიოდა შესაბამისი ცვლილებები და დამატებები ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგების გათვალისწინებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სანამ საქართველოში დაიწყებოდა ახალ განსხვავებულ ხედვაზე დაფუძნებული საკონკურენციო სამართლებრივი ნორმის მიღება (2005 წლის 3 ივნისი), ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ჩადებული იყო შემდეგი მუხლები 153, 158, $158^{1}$, 159, $159^{1}$, $159^{2}$, $159^{3}$, $159^{4}$ და $173^{5}$, სადაც გათვალისწინებული იყო სასჯელები მეწარმე სუბიექტების მიერ ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევისათვის, სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენებისათვის, მომხმარებელთა უფლებების შელახვისათვის, რეკლამის დაკვეთის,

წარმოებისა და გავრცელების დადგენილი წესების დარღვევისათვის, არასათანადო რეკლამის განთავსებისათვის (გავრცელებისათვის), ანტიმონოპოლიური სამსახურის თანამდებობის პირთა მიწერილობის შეუსრულებლობისათვის, სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსა- ხურისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობისათვის, ჩვილ ბავშვთა ხელოვნურად კვების რეკლამისათვის, სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებისათვის ხელის შეშლისათვის.

ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსში ჩადებული იყო ისეთი მუხლები, როგორიცაა – 161 – უხარისხო პროდუქციის გამოშვება; 162 – ფალსიფიკაცია; $165^3$ – კონკურენციის შეზღუდვა; 166 – სასაქონლო ნიშნით უკანონოდ სარგებლობა; 169 – მყიდველთა და დამკვეთთა მოტყუება; $169^3$ – ვაჭრობის წესების დარღვევა; 171 – აშკარად ყალბი რეკლამის გავრცელება და სხვ. ეს ყველაფერი ზრდიდა ანტიმონოპოლიურ, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და რეკლამის სფეროში არსებულ კანონდარღვევათა მიმართ ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ 1996-2005

წლებში მოქმედი ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, თავისი მცირე მოცულობის გამო, არაეფექტური იყო, რაც ხშირ შემთხვევაში არ გამორიცხავდა მეწარმეთა პროვოცირებას სამართალდარღვევის მიმართულებით. მაგალითად, ვაჭრობის (მომსახურების) წესების დარღვევისათვის ისევე, როგორც სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენებისათვის გათვალისწინებული იყო ჯარიმა 30 ლარიდან 150 ლარამდე, რაც ბუნებრივია, ვერ უზრუნველყოფდა სადამსჯელო ზომების ქმედუნარიანობას და ეფექტურობას.

გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში, განსაკუთრებით 1998 წლიდან, როცა განსაკუთრებით გააქტიურა სახელმწიფო ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის აღსრულების ბერკეტები, კანონდარღვევათა დაახლოებით 30% ეხებოდა „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლს (დომინირება), დაახლოებით 40% – მე-10 მუხლს (ხელისუფლების ორგანოების მხრიდან კონკურენციის შემზღუდავი გადაწყვეტილებების მიღებას), 22% კი – ამავე კანონის მე - 9 მუხლს (სხვისი სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენება); შესაბამისად, 8% მოდიოდა სხვა სახის დარღვევებზე.

ამ პერიოდში, ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ყოველწლიურად განიხილებოდა დაახლოებით 800-დან 1000-მდე საქმე, საიდანაც ასეულობით საქმეზე ფიქსირდებოდა კანონდარღვევის ფაქტი. 2003 წლის ჩათვლით ყოველწლიურად შესაბამის რაიონულ სასამართლოებს

მთელი ქვეყნის მასშტაბით გადაეცემოდა 400-მდე (მაგ.1999წ.) საქმე (ტერიტორიულ სამსახურებთან ერთად). უფრო მეტიც, 1998 წელს, მარტო რეკლამის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტის აღმოფხვრის მიზნით, სამხარეო ანტიმონოპოლიური სამსახურების მიერ 1081 მიწერილობა იქნა გაგზავნილი, საიდანაც დაჯარიმებულ იქნა 99 სუბიექტი. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების განხილვამ და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებამ პიკს 2002 წელს მიაღწია, რის შემდეგაც იყო დაღმასვლა (იგი გამოწვეული იყო სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით რეალიზებული პოლიტიკით), ხოლო 2004-2005 წლებში ის თითქმის ნულამდე დავიდა, თუ არ ჩავთვლით ადრე (წინა წლებში) დაწყებულ საქმეებზე მიმდინარე სასამართლო დავებს.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დამრღვევი სუბიექტების ჯეროვნად დასჯის მექანიზმები ვერც 2005 წლისათვის მიღებული ცვლილებებით იქნა შესაძლებელი, რისი უმთავრესი მიზეზი იყო იმ პერიოდში მიღებული კონკურენციის ახალი ჩარჩო კანონი, რომელმაც დასაბამი მისცა ევროპის, ამერიკისა და ევროკავშირის კანონმდებლობისაგან განსხვავებულ ხედვას საკონკურენციო სამართლის პრინციპების გააზრებაში. ჩვენ ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ არა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის ფარგლებიდან მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სარეკლამო საქმიანობის რეგულირების საკითხების გატანას, არამედ „ეკონომიკის თავის ნებაზე მიშვების“ კონცეფციისადმი ერთგულებას, რაც ანტიმონოპოლიური სამართლის უარყოფასთან იქნა გაიგივებული. კონკურენციის ახალი კანონის მიღების პარალელურად შეტანილ იქნა ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და იქიდან ამოღებულ იქნა 153-ე მუხლის (ვაჭრობის წესების დარღვევა) მე-3-5 ნაწილი.

დღეს უკვე ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ საკონკურენციო სამართლის ფორმირების ახალმა „ქართულმა ხედვამ“ ვერ გაამართლა და ევროკავშირის ექსპერტთა დაჟინებული თხოვნით უკვე 2012 წლის 8 მაისს მიღებულ იქნა კონკურენციის ახალი ჩარჩო კანონი. სამწუხაროდ, ამ კანონთანაც არსებობს გარკვეული პრეტენზიები, რის გამოც დღემდე ვერ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას ეკონომიკური კონკურენციის დაცვის სფეროში სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (ამ სახით ფუნქციონირებს 2012 წლის 1 იანვრიდან). ამ ეტაპზე, უკვე მომზადებულია სათანადო ცვლილებების პაკეტი და 2013 წლის 11 ნოემბერს წარდგენილ იქნა საქართველოს მთავრობაში შემდგომი მსვლელობის მისაცემად.

რაც შეეხება კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევაზე პასუხისმგებლობის საკითხს - „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის

შესახებ" საქართველოს 2005 წლის 3 ივნისის კანონის მიღების შემდეგომ პერიოდში ის შემოიფარგლებოდა მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 159[2] (თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს თანამდებობის პირთა მიწერილობის შეუსრულებლობა) და 159[3] (კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის მიუწოდებლობა) მუხლებით. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ 2005-2011 წლებში ამ კანონის აღმასრულებელ ჯერ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს, ხოლო შემდეგ კი იმავე დასახელების სსიპ-ს ეს სანქციები არც ერთხელ არ გამოუყენებია.

ამასთან, მას შემდეგ რაც მიღებულ იქნა „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის 2012 წლის 8 მაისის რედაქცია, ამ კანონმა შედარებით უფრო მკაცრად განსაზღვრა კანონდამრღვევთა პასუხისმგებლობის საკითხები. კერძოდ, ამ კანონშივე განისაზღვრა (32-ე მუხლი) კონკურენციის სააგენტოსათვის ინფორმაციის მიუწოდებლობაზე პასუხისმგებლობის საკითხი (1000-დან 3000 ლარამდე). ასევე, მასში ჩაიდო პასუხისმგებლობის საკითხი (33-ე მუხლი) დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და კონკურენციის შემზღუდავ შეთანხმებებსა და გადაწყვეტილებებზე (ჯარიმის მოცულობა მიბმულია ფინანსური წლის განმავლობაში მიღებულ მოგებასთან (10%), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოგება არა აქვს საწარმოს, მაშინ საჯარიმო თანხა გამოითვლება წინა ფინანსური წლის განმავლობაში ბრუნვის მოცულობიდან (2%))

რაც შეეხება საქართველოს მთავრობაში წარდგენილი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, ამ ცვლილებების თანახმად, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და კონკურენციის შემზღუდავ შეთანხმებებსა და გადაწყვეტილებებზე გათვალისწინებულია სანქცია ეკონომიკური აგენტის ბრუნვის მოცულობის 10%-ის ფარგლებში (არაუმეტეს).

და ბოლოს, გვინდა ხაზი გავუსვათ იმასაც, რომ კონკურენციის ახალი ჩარჩო კანონის 2012 წლის 8 მაისის რედაქციით მიღების პარალელურად ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს **სისხლის სამართლის კოდექსში,** საიდანაც ამოღებულ იქნა 195-ე მუხლი - „მონოპოლიური საქმიანობა და კონკურენციის შეზღუდვა", ანუ დღეისათვის „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შეზღუდვა" არ წარმოადგენს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს, რაც შეუძლებელია არ იყოს საკამათო.

რაც შეეხება, სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებულ სანქციებს სარეკლამო საქმიანობის რეგულირებისა და ფალსიფიკაციის საკითხებთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა გამოსულია ქვეყნის კონკურენციის მთავარი ორგანოს – სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კომპეტენციიდან და სხვა სახელმწიფო ორგანოთა რეგულირების სფეროს წარმოადგენს.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება, თბ., „ლოი", 2007;
2. მაისურაძე ვ., ლაფაჩი ქ., გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., მელაძე გ., კრებული საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურებისათვის, თბ., საქართველოს ბიზნეს სამართლის ცენტრი, 1999;
3. წერეთელი გ., ფეტელავა ს., შაბურიშვილი დ., გაწეული მუშაობის ანგარიში (2008 წელი), თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, თბ., „ლოი", 2009;
4. კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2012 წლის საქმიანობის ანგარიში, თბ., „Exclusive Print +", 2013;
5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984 წლის 15 დეკემბერი, №161 (კოდიფიცირებული);
6. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წლის 22 ივლისი, №2287 (კოდიფიცირებული);
7. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წლის 25 ივნისი, №2181 (კოდიფიცირებული);
8. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალა.

*შალვა გოგიაშვილი*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს*
*ასოცირებული პროფესორი*
*სლავა ფეტელავა*
*გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის*
ასოცირებული პროფესორი

# ანტიმონოპოლიური კონტროლი და პასუხისმგებლობა კონკურენციული სამართლის დარღვევისათვის

ანოტაცია

როგორც წესი, ინდუსტრიულ ქვეყნებში საკონკურენციო კანონის იურიდიული აღსრულება ხორციელდება დამოუკიდებელი სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სასამართლო სისტემის მიერ, ხოლო გარდა-ავალი, რეფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებში უპირატესობას ანიჭებენ ადმინისტრაციულ სისტემას.

სასაქონლო ბაზრებზე კონკურენციის დაცვის უზრუნველყოფა ხორციელდება ეკონომიკური აგენტებისა და სახელმწიფო ხელისუფ-ლების ორგანოების მიერ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთ-ხოვნათა ნებაყოფლობითი შესრულების მეშვეობით, ხოლო დარღვევე-ბისა და ნებაყოფლობითი შეუსრულებლობის შემთხვევაში კონკურენ-ციული ურთიერთობის დაცვას როგორც ადმინისტრაციული ისე სისხ-ლის სამართლებრივი კანონდარღვევის მიმართულებით უზრუნველყო-ფენ იძულებითი პროცესუალური ნორმები.

სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით საქართველოში ანტიმონოპოლიური კონტროლი და პასუხისმგებლობა კონკურენციის სფეროში, ისევე რო-გორც საკონკურენციო კანონმდებლობა მთლიანად, არ შეესაბამება განვითარებულ ქვეყნებში და უპირველეს ყოვლისა ევროკავშირში დამ-კვიდრებულ პრაქტიკას. „თავისუფალი

ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის ახალი რედაქციის მიღებასთან ერთად აუცილებელია სათანადო ცვლილებების შეტანა ქვეყნის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში.

***Шалва Гогиашвили***
*Ассоциированный профессор*
*ТГУ им. Иване Джавахишвили,*
***Слава Фетелава***
*Ассоциированный профессор*
*университета Григола Робакидзе*

# АНТИМОНОПОЛЬНЫЙ КОНТРОЛЬ И ОТВЕТСТВЕННОСТЬ ЗА НАРУШЕНИЕ КОНКУРЕНТНОГО ПРАВА

**Аннотация**

Как правило, в индустриальных странах, юридическое исполнение конкурентного законодательства осуществляется независимой гражданской или административной судебной системой, а в странах с переходной, подлежащей реформированию экономикой предпочтение отдается административной системе.

Обеспечение защиты конкуренции на товарных рынках осуществляется посредством добровольного соблюдения требований антимонопольного законодательства экономическими агентами и органами государственной власти, а в случае нарушений и добровольного несоблюдения, защиту конкурентных отношений по направлению как административного, так и уголовного правонарушения обеспечивают принудительные процессуальные нормы.

К сожалению, антимонопольный контроль и ответственность в сфере конкуренции в Грузии, как и конкурентное законодательство в целом все еще не соответствуют практике, устоявшееся в развитых странах и, в первую очередь, в Евросоюзе. Вместе с принятием новой редакции закона Грузии «О свободной торговле и конкуренции», необходимо внести соответствующие изменения в кодекс административных правонарушений и уголовный кодекс страны.

***Shalva Gogiashvili***
*Associated Professor of Ivane Javakhishvtili*
*Tbilisi State University,*
***Slava Fetelava***
*Associated Professor of Grigol Robakidze University*

## ANTIMONOPOLY CONTROL AND RESPONSIBILITY FOR COMPETITIVE LAW INSURANCE

**Annotation**

As a rule, in industrial countries implementation of competition law is done by the independent civil or administrative system, but in countries with transitional economics administrative system is in preference.

In commodity markets competition protection is done by the economical agents and state organs according to voluntary fulfillment of antimonopoly legislation. In case of administrative or criminal law abrogation juridical procedure ensures competitive relations protection.

Unfortunately, antimonopoly control and competition responsibility in Georgia, as well as competition legislation does not meet practice of developed countries and European Union.

Together with accepting "Free Trade and Competition" law, it is necessary to make appropriate changes in administrative law and criminal codes.

*გოგი ფოფხაძე*
*ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასისტენტ-პროფესორი*
*ნათელა კაკაურიძე*
*ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*მოწვეული მასწავლებელი*

# საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა გლობალიზაციის პირობებში

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესმა გამოიწვია საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განმსაზღვრელი პირობების ცვლილებები, საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზაციებისა და ტრანსნაციონალური კომპანიების როლის ზრდა და სუვერენული სახელმწიფოების როლის შემცირება. მცირე, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა უნდა გამოიმუშაოს ერთგვარი იმუნიტეტი გარეშე პირობების ცვლილებების მიმართ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესძლებს იგი აღნიშნულ ცვლილებებთან უმტკივნეულო ადაპტაციასა და ამ პროცესში საკუთარი სახის შენარჩუნებას.

ნებისმიერი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიზანს ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ეკონომიკური ზრდის ტემპი დამოკიდებულია, ერთი მხრივ, ბუნებრივი რესურსების, შრომითი რესურსებისა და კაპიტალის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, ხოლო მეორე მხრივ, თვით ქვეყნის ხელისუფლების ეკონომიკურ უნარზე გამოიყენოს აღნიშნული რესურსები კონკურენტუნარიანი საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის. საწარმოო რესურსები და მათი გამოყენების უნარი განსაზღვრავს არა მარტო ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს, არამედ ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრებისა და კეთილდღეობის ისეთ განზოგადებულ მაჩვენებელს, როგორიცაა დასაქმების დონე, ეროვნული ვალუტის სიმყარე და საგარეო-ეკონომიკური წინაპირობა.

ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია სათანადო მატერიალური ბაზის ფორმირება. არსებითი მნიშვნელობა აქვს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკისა და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას, რომელიც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს განავითაროს პრიორიტეტული დარგები და ამ გზით მოიპოვოს კონკურენტუნარიანი უპირატესობა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ხარისხი განისაზღვრება ღია საბაზრო ეკონომიკისა და სამართლიანი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში, კონკურენტებთან შედარებით რესურსების უფრო

მაღალმწარმოებლურად გამოყენების, მაღალხარისხიანი და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის უწყვეტი წარმოებისა და მიწოდებს უნარით. ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის მაღალი ხარისხი გულისხმობს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის ისეთ მონაწილეობას, რომლის შედეგად ადგილი აქვს დაბალანსებულ ეკონომიკურ ზრდას.

ნებისმიერ ქვეყანას გააჩნია ამა თუ იმ მიზეზით განპირობებული სპეციფიკური კონკურენტული უპირატესობა მსოფლიო ბაზარზე. ქვეყანას შესაძლებელია გააჩნდეს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ან ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით განპირობებული კონკურენციული უპირატესობა, რომელიც განსაზღვრულია პოლიტიკური თვალსაზრისით ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობით და სხვადასხვა ეკონომიკური ცენტრების დამაკავშირებელი სავაჭრო გზების, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების განაწილება-გადატანის ქსელების ეპიცენტრში არსებობით. ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას გონივრული გამოყენება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი შეიძლება იქცეს ახალი პრობლემის წყაროდ. საქართველოს, როგორც აზია-ევროპის გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყნის, მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების დაინტერესების არეალში მოხვედრამ შეიძლება გამოიწვიოს ქვეყნის აყვავება, თუ საზოგადოება და ხელისუფლება ღირსეულად უპასუხებს ახალი ვითარებით განპირობებულ ისტორიულ გამოწვევებს და გონივრულად გამოიყენებს მის წინაშე წარმოშობილ შესაძლებლობებს ან პირიქით, ქვეყნის დაქცევა, თუ საქართველო ვერ შეძლებს საკუთარი ფუნდამენტური ინტერესების დაცვას და იქცევა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მუდმივი დაპირისპირებისა და კონფლიქტის საგნად.

ყველაზე სასურველია, როდესაც ქვეყნის კონკურენტული უპირატესობა განპირობებულია წარმოების ორგანიზაციის მემკვიდრეობით მიღებული პროგრესული ფორმების გამოყენებით, მისი თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვით, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის არსებობით, სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის განვითარებითა და მისი შედეგების წარმოებაში დანერგვის მაღალი ხარისხით, რაც მას მაღალტექნოლოგიური დარგების განვითარებისა და ტექნოლოგიურად რთული და შესაბამისად, ძვირადღირებული პროდუქციის წარმოების საშუალებას აძლევს. ეს შრომის საერთაშორისო დანაწილებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღების გარანტიაა.

მართალია, ქვეყნის სპეციალიზაციას ძირითადად განსაზღვრავს შედარებითი უპირატესობა ამა თუ იმ ტრადიციული პროდუქციის წარმოებაში, მნიშვნელობა ამა თუ იმ ტრადიციული პროდუქციის წარმოებაში, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა გააჩნია ხელისუფლების მიზანმიმართულ გრძელვადიან ეკონომიკურ პოლიტიკას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია შეფარდებითი უპირატესობის მოპოვება სამამულო წარმო-

ების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის აუცილებელი ზოგიერთი მაღალტექნოლოგიური და ძვირადღირებული პროდუქციის წარმოების სფეროში. ბიზნესის არჩევანი დამოკიდებულია არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკის ბუნებრივ შეფარდებით უპირატესობაზე ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებაში, არამედ აგრეთვე მთავრობის მიერ პრიორიტეტების განსაზღვრაზე, შესაბამისი სტიმულებისა და გრძელვადიანი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაზე.

საქართველომ განვითარებისა და უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე უნდა სცადოს სპეციალიზაციის ადაპტირება სწრაფად ცვალებად გარე გარემოსთან და შეფარდებითი უპირატესობა უნდა მოიპოვოს არამხოლოდ ტრადიციულ დარგებში, არამედ აგრეთვე მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური და მაღალპროდუქტიული წარმოების სფეროებშიც, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი კონკურენტუნარიანობის გრძელვადიანი და შეუქცევადი ზრდა, შემოსავლებისა და ხელფასების ზრდა და მოსახლეობს ცხოვრების პირობების არსებითი გაუმჯობესება.

საქართველოში სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით აუცილებელია მაქსიმალურად ხელი შეეწყოს იმ დარგების განვითარებას, რომლებშიც ქვეყანას გააჩნია ფარდობითი უპირატესობა, რაც არსებული რესურსების ეფექტიანი გამოყენების საწინდარია. შრომის საერთაშორისო დანაწილებაში საქართველოს წარმატებული მონაწილეობა შეუძლებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კვების მრეწველობის ტრადიციული სექტორების განვითარების ხარჯზე.

მიჩნეულია, რომ ქვეყანას შეუძლია აწარმოოს ერთობლივი შიდა პროდუქტი ნივთობრივ-მატერიალური სიმდიდრის დაახლოებით ერთი მესამედის დონეზე. საბაზრო ფასებით გამოსახული ბუნებრივი რესურსების ღირებულების და ფიზიკური კაპიტალის ფულადი ღირებულების ჯამი დაახლოებით სამჯერ უნდა აღემატებოდეს ქვეყანაში წლის განმავლობაში წარმოებული ერთობლივი შიდა პროდუქტის ღირებულებას. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს მინერალური რესურსების მარაგი დაახლოების 90 მლრდ აშშ დოლარად არის შეფასებული. ქვეყანას მარტო ამ მონაცემით გააჩნია 30 მლრდ დოლარის ღირებულების მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების ეკონომიკური პოტენციალი. ეკონომიკური პოტენციალი კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუ ქვეყნის ნივთიერ-მატერიალურ სიმდიდრეს დაემატება მიწის სავარგულების, ტყეებისა და სხვა ბუნებრივი რესურსების საბაზრო ღირებულებაც.

გლობალიზაციისა და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის საუკუნეში ეკონომიკურად განვითარებული თუ ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნის სტატუსს განსაზღვრავს არა მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, არამედ მასთან ერთად სხვა წარმოებიდან მოზიდული ეკონომიკური რესურსების გამოყენების დონე და

ხარისხის, საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, წმინდა ექსპორტი და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები. აღნიშნულის საილუსტრაციოდ ხშირად მიმართავენ რესურსებით მდიდარი, მაგრამ ღარიბი ქვეყნების და, პირიქით, რესურსებით ღარიბი, მაგრამ ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნების შედარებებს.

მიუხედავად საკმაოდ მაღალი ეკონომიკური პოტენციალისა, საქართველო, სამწუხაროდ, კვლავაც რჩება განვითარებადი ქვეყნების ჩამონათვალში. ისედაც მცირემიწიან ჩვენს ქვეყანაში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მოდის 0,24 ჰა დამუშავებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, დაახლოებით 1/3 ანუ 300 ათასი ჰა, ბოლო წლებში საერთოდ არ გამოიყენებოდა. ყოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს არ გააჩნია სრულყოფილი, პრიორიტეტებგანსაზღვრული ეკონომიკური პოლიტიკა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ყოველწლიურად იზრდება სურსათისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი, თანაც უფრო მაღალი ტემპებით, ვიდრე მისი ექსპორტი. იმპორტის ერთ-ერთ მსხვილ სასაქონლო ჯგუფს მარცვლოვანი და ზეთოვანი კულტურების მზა პროდუქცია, ნედლეული და შაქარი წარმოადგენს, რომელთა საერთო ღირებულება 200 მლნ. აშშ დოლარს აჭარბებს. მნიშვნელოვანი ოდენობითაა წარმოდგენილი ასევე ხორცისა და ხორცპროდუქტების, რძისა და რძის პროდუქტების, ბოსტნეულის, კარტოფილისა და სხვა სახის სურსათის იმპორტი. ასეთ პირობებში ქვეყნის საგადამხდელო ბალანსი უარყოფითია, რაც სხვადასხვა ფაქტორებთან ერთად დიდი რაოდენობის სურსათის იმპორტითაა განპირობებული.

ყოველივე ზემოაღნიშნული სურსათის ექსპორტ-იმპორტის აღწერილი თანაფარდობა კანონზომიერად შეიძლება მიჩნეულიყო, ომ არა ქვეყანაში არსებული სურსათის წარმოების მნიშვნელოვანი რეზერვი ანუ ასობით ათასი ჰექტარი დაუმუშავებელი მიწა და ასიათასობით სოფლიდან გაჭირვებას გამოქცეული და საზღვარგარეთ თუ დედაქალაქში ლუკმაპურის მაძიებელი მუშახელი. ქვეყანას გააჩნია სურსათის წარმოების გადიდების არსებითი პოტენციალი, იმპორტული სურსათის ადგილობრივით ჩანაცვლების და ამით საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესების რეალური საშუალება, მაგრამ ეს რეზერვი დღემდე აუმოქმედებელი იყო.

მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ მიწა, საკუთრების სხვა ობიექტებისაგან განსხვავებით, ერთდროულად წარმოადგენს საკუთრების ობიექტს წარმოების საშუალებას და სახელმწიფო ტერიტორიასაც. ამდენად, მიწის საკუთრებას გარდა ეკონომიკური და იურიდიული დატვირთვისა, პოლიტიკური ასპექტიც გააჩნია. ესაა სახელმწიფოს ტერიტორიული შეუვალობა ანუ სუვერენიტეტი. საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ქართველი ხალის ორგანულ. სოციალურ-ეკონომიკური ეთნო-კულტურული

კანონზომიერი განვითარების შედეგია იმ მიწაზე, სადაც სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა ქართული ეროვნება და ეროვნული ცნობიერება.

ხელისუფლება აგრარულ მეცნიერებასა და აგრომეწარმეებთან გადაწყვეტილი კავშირის აღდგენით და მიწის მესაკუთრე გლეხობისათვის მეურნეობრიობის ნორმალური პირობების შექმნით უნდა იყოს დაკავებული. მან ხელი უნდა შეუწყოს სოფლად მიწის წვრილ მესაკუთრეთა საწარმოო და მარკეტინგულ კოოპერირებას, მათი მიწის სრულფასოვან მეურნე მესაკუთრეებად ჩამოყალიბებას. მხოლოდ ამ გზით შეიძლება სოფლად საქონელმწარმოებელთა გადაქცევა მიწის ნამდვილ პატრონად. სოფელს სჭირდება ბევრი მკვიდრი და არა უცხოელი, აგრომეწარმე - მესაკუთრე, რომელიც ინდივიდუალურად თვითონ გაუძღვება ან კოოპერაციულ საწყისებზე წარმართავს მეურნეობას. ეს მოთხოვნა ობიექტურად გამომდინარეობს საქართველოს ბიოგეოკლიმატური მრავალფეროვნებიდან, ერის ტრადიციული აგრარული კულტურიდან, მიწათმოქმედების გაძღოლის ეროვნული ტრადიციებიდან, სოფლის მეურნეობის დარგთა და კულტურათა სიმრავლიდან და სხვა იმ სპეციფიკური თავისებურებებიდან, რომელიც უნდა გაითვალისწინოს მთავრობამ ქვეყნის საერთო აგრარული პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების დროს.

ზემოაღნიშნული დარგების განვითარების ხელშეწყობა თავის მხრივ გამოიწვევს მათი მონათესავე და მხარდამჭერი დარგების, ე.წ. კლასტერების განვითარების წახალისებას. მაღალტექნოლოგიური და ძვირადღირებული პროდუქციის წარმოება ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს განსაზღვრული მოცულობის აუცილებელი იმპორტული პროდუქციის შესაძენად გაიღოს სამამულო პროდუქციის შედარებით ნაკლები მოცულობა და შესაბამისად, მის შესაძენად გასწიოს შედარებით ნაკლები მოცულობის რეალური დანახარჯები, ანუ საკუთარი საექსპორტო პროდუქციის ზემოაღნიშნული ნაწილის სანაცვლოდ მიიღოს იმპორტული პროდუქციის შედარებით მეტი რეალური მოცულობა.

კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ჩამოყალიბებაში კომპანიებისა და ფირმების ცენტრალური როლიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება და სათანადო წამახალისებელი პოლიტიკის გატარება. მიუხედავად ამ მიმართულებით მთავრობის მიერ გზანხორციელებული ღონისძიებებისა, გადასახადების კეთილსინდისიერი გადამხდელები ხშირ შემთხვევაში მაინც განწირულნი არიან გაკოტრებისათვის, რადგან მკაცრ და უშეღავათო ზეწოლას განიცდიან ბიზნესში ჩართული ჩინოვნიკებისა და ხელისუფლების ამა თუ იმ შტოსთან შეზრდილი ნომენკლატურული ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან. შესაბამისად, ისინი თავს დაცულად ვერ გრძნობენ არაკეთილსინდისიერ გადამხდელებთან კონკურენტულ ბრძოლაში, რაც მათ აიძულებს თვითონაც თავი შეიკავონ გადასახადების

გადახდისაგან. ამითაა განპირობებული ის, რომ ჩვენთან ბიზნესმენები არ გრძნობენ მორალურ პასუხისმგებლობას სახელმწიფოს წინაშე.

ნომენკლატურული ბიზნესის წარმომადგენლების მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან პატიოსანი მეწარმეების დასაცავად აუცილებელია ხელისუფლების ნებისმიერი შტოს წარმომადგენლის, ან მათთან დაახლოებული ბიზნესმენების მიერ გადასახადის გადახდისაგან თავის არიდების წინააღმდეგ მკაცრი ზომების განხორციელება. ამასთან უნდა შეიქმნას ისეთი ბიზნეს-გარემო, რომლის პირობებშიც სამეწარმეო საქმიანობისა და ბიზნესის წარმატება დამოკიდებული იქნება არა ხელისუფლების ცვლაზე, არა მის მაღალ ეშელონებთან სიახლოვეზე, არამედ სტაბილურ კანონებსა და ინსტიტუტებზე, მართლმსაჯულების სამართლიან სისტემაზე.

საქართველოში სამამულო წარმოების აღორძინებისათვის როგორც აღვნიშნეთ აუცილებელია ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს ჩამოყალიბება. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საექსპორტო პროდუქციის წარმოების წახალისება შეღავათიანი დაბეგვრისა და შეღავათიანი კრედიტების გამოყენებით. უნდა აღინიშნოს, რომ საექსპორტო პროდუქციის დაბეგვრა არაპირდაპირი გადასახადების ნულოვანი განაკვეთით მართალია აუცილებელია, მაგრამ იგი არა სამამულო საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის ან ამაღლების საკმარისი პირობა. ეს გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნულ პროდუქციას არაპირდაპირი, მათ შორის საბაჟო გადასახადებითაც ბეგრავს მისი იმპორტიორი ქვეყანა. შესაბამისად ქართულ პროდუქციას მხოლოდ იმ ქვეყნების პროდუქციასთან შედარებით გააჩნია უპირატესობა, რომლებშიც ბევრად უფრო დაბალია არაპირდაპირი, მათ შორის საბაჟო გადასახადები.

აღნიშნული გადასახადების განაკვეთები რიგ ქვეყანაში დაბალია, ზოგში პირიქით - მაღალია, დანარჩენი ჩვენსას შეესაბამება, ამიტომ ვინაიდან „შესაკრებთა ადგილების შეცვლით ჯამი არ იცვლება", ზემოაღნიშნული საგადასახადო სისტემის გავლენა სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობაზე ნეიტრალურია. ანუ ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვით, რომ ექსპორტისა და იმპორტის დაბეგვრის ჩვენთან მოქმედი საგადასახადო სისტემა ხელს უწყობს სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. საჭიროა უფრო გადამჭრელი ზომების განხორციელება, კერძოდ, შეღავათიანი კრედიტების მიწოდება მხოლოდ ექსპორტზე ორიენტირებული საწარმოებისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა ვლ., პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა. თბ., 2005

2. ჩიხლაძე ნ., ჩრდილოვანი ეკონომიკა, რეგიონული ასპექტები. ქუთ., 2005
3. ერქომაიშვილი გ., ხარაიშვილი ე., ფირმის ეკონომიკა. თბ., 2011
4. Пиллненко И.В., Конкурентноспособность стран и регионов в мировом хозяйстве: теория и опыт малых стран Западной и Северной Евроты. М., 2005
5. Портер М., Конкурентное преимущество. М., 2005
6. Кочетков В.Н., ШИпова Н.П. Экономический риск и методы его измерения. Киев. Европейский ун-т финансов, информационных систем, менеджмента и бизеса, 2000

*გოგი ფოფხაძე*
*ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასისტენტ-პროფესორი,*
*ნათელა კაკაურიძე*
*ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*მოწვეული მასწავლებელი*

## საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა გლობალიზაციის პირობებში

### ანოტაცია

ნაშრომში განხილულია მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განმსაზღვრელი პირობების ცვლილებები. არსებითი მნიშვნელობა აქვს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკისა და სტრუქტურული ცვლილებების განხორციელებას, რომელიც ქვეყანას შესაძლებლობას მისცემს განავითაროს პრიორიტეტული დარგები და ამ გზით მოიპოვოს კონკურენტუნაიანი უპირატესობა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. აღნიშნულია, რომ ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ხარისხი განისაზღვრება ღია საბაზრო ეკონომიკისა და სამართლიანი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში, კონკურენტებთან შედარებით რესურსების უფრო მაღალმწარმოებლურად გამოყენებისა, მაღალხარისხიანი და მაღალტექნოლოგიური პროდუქციის უწყვეტი წარმოებისა და მიწოდების უნარით.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ საქართველოს გააჩნია ხელსაყრელი გეოპოლიტიკური და ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობით განპირობებული კონკურენციული უპირატესობა, რომელიც განსაზღვრულია სავაჭრო გზების, სათბობ-ენერგეტიკული რესურსების განაწილება-გადა-

ტანის ქსელების ეპიცენტრში არსებობით და რასაც გონივრული გამოყენება სჭირდება. კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება და სათანადო წამახალისებელი პოლიტიკის გატარება. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საექსპორტო პროდუქციის წარმოების წახალისება შეღავათიანი დაბეგვრისა და შეღავათიანი კრედიტების გამოყენებით. ამასთან,უნდა შეიქმნას ისეთი ბიზნეს-გარემო, რომლის პირობებშიც სამეწარმეო საქმიანობისა და ბიზნესის წარმატება დამოკიდებული იქნება არა ხელისუფლების ცვლაზე, არა მის მაღალ ეშელონებთან სიახლოვეზე, არამედ სტაბილურ კანონებსა და ინსტიტუტებზე, მართლმასაჯულების სამართლიან სისტემაზე.

***Гоги Попхадзе***
*Государственный университет А. Церетели,*
*ассистент-профессор,*
***Натела Какауридзе***
*Государственный университет А. Церетели,*
*приглашенный преподаватель*

## КОНКУРЕНТОСПОСОБНОСТЬ ЭКОНОМИКИ ГРУЗИИ В УСЛОВИЯХ ГЛОБАЛИЗАЦИИ

**Аннотация**

В работе рассмотрены в условиях происходящей в мире глобализации изменения условий определяющих внешние экономические отношения. Существенное значение имеет осуществление такой экономической политики и структурных изменений, которая дает возможность стране развивать приоритетные отрасли и этим путем завоевать конкурентоспособное преимущество в международном разделении труда. Отмечено, что качество экономической конкурентоспособности страны определяется в условиях открытой рыночной экономики и справедливой международной конкуренции, по сравнению с конкурентами более высокопроизводительное использование ресурсов, со способностью непрерывного производства и поставки высококачественной и высокотехнологической продукции.

В труде подчеркнуто, что Грузия имеет обусловленное благоприятным геополитическим и экономико-географическим положением конкурентное преимущество, которое определено существованием в эпицентре торговых путей, сети распределения – перевозки топливно-энергетических ресурсов и что требует разумного использования. В формировании конкурентоспособной

экономики особого внимания требует разработка благоприятных мероприятий для развития бизеса и проведение соответствующей поощрительной политики.

Особого внимания требует поощрение произведенной продукции льготным налогообложением и выделением льготных кредитов. Вместе с тем необходимо создать такую бизнес – среду, в условиях которой успех предпринимательской деятельности и бизнеса будет зависеть не от замены правительства, не от близости к высоким эшелонам, а от законов и институтов, справедливой системы правосудия.

***Gogi Popxadze***
*Akaki Tsereteli State University, Doctor of Economics,*
*Assistant Professor,*
***Natela Kakauridze***
*Akaki Tsereteli State University, Invited Specialist*

## COMPETITIVENESS OF ECONOMY OF GEORGIA IN CONDITIONS OCCURRING GLOBALIZATION

**Annotation**

In job are considered in conditions occurring in the world globalization of change of conditions determining the external economic attitude (relation). The essential meaning (importance) has realization of such economic politics and structural changes, which enables the country to develop priority branches and this way to win competitive advantage in the international division of labour. Is marked, that the quality of economic competitiveness of the country is defined(determined) in conditions of open market economy and fair international competition, in comparison with the competitors more high-efficiency use of resources, with ability of process production both delivery of high-quality and highly technological production.

In work is underlined, that Georgia has caused by a favorable geopolitical and economic-geographical rule(situation) competitive advantage, which is determined by existence in epicenter of trade ways, networks of distribution - transportation of fuel and energy resources and that requires(demands) reasonable use. In formation of competitive economy of the special attention the development of favorable measures for development of business and realization of the appropriate incentive politics requires (demands).

The special attention requires (demands) by(with) encouragement of made production by the preferential taxation and allocation of the soft loans. At the same time it is necessary to create such business – environment (Wednesday), in which conditions the success of enterprise activity and business will depend not on replacement of government, not from affinity to high echelons, and from the laws and institutes, fair system of justice.

*ნინო ქავთარაძე*
*ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი*

# საქართველოში მოქმედი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები და მათი განაკვეთების ოპტიმიზაციის ძირითადი მიმართულებები

ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული, რომელთაგან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს გადასახადების ზომის დადგენა წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დაბეგვრის იმ ზომის შერჩევა, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის განვითარებას და არა, პირიქით- უკუსვლისაკენ უბიძგებს მას. ამიტომაც „საგადასახადო სისტემის ფორმირების უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია ის, რომ იგი მარტივი, გასაგები და მისაღები უნდა იყოს საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის და განსაკუთრებით მეწარმეებისათვის".[2]

2013 წლის მდგომარეობით, საქართველოს საგადასახადო კოდექსში ფიქსირდება შემდეგი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები: 1. საშემოსავლო გადასახადი; 2. მოგების გადასახადი; 3. დამატებული ღირებულების გადასახადი; 4. აქციზი; 5. იმპორტის გადასახადი. ადგილობრივ გადასახადს კი წარმოადგენს ქონების გადასახადი. სოციალური გადასახადის ამოღება საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან მოხდა 2008 წლის 1 იანვრიდან. საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, ცხრა თვის განმავლობაში საგადასახადო შემოსავლების მხრივ მობილიზებულმა თანხამ შეადგინა 4581.4 მილიონი ლარი.

საშემოსავლო გადასახადის მხრივ 2013 წელს დაგეგმილია 1802.0 მილიონი ლარის მიღება, ხოლო მოგების გადასახადის კუთხით- 924.0 მილიონი ლარის მობილიზებაა განსაზღვრული.

ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნევთ ამ ორი გადასახადის განხილვას საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

საშემოსავლო გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური პირი, რომლის შემოსავლის საფუძველიც არის საქართველოში არსებული წყარო. აღნიშნული გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს დასაბეგრი შემოსავალი, რომლის განსაზღვრისათვის გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები და ხერხები. თუ 2005 წლამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსით საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები იცვლებოდა კალენდარული წლის განმავლობაში

[2] მესხია ი., მურჯიკნელი მ.- ეკონომიკური რეფორმა საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1996, გვ. 98.

დასაბეგრი შემოსავლის ოდენობის ცვლილების მიხედვით, 2005 წლიდან ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავლის დაბეგვრა უკვე წარმოებდა 12 პროცენტიანი განაკვეთით. აღნიშნულმა ფაქტმა და თვით საპროცენტო განაკვეთის ოდენობამ ეკონომისტებში ჩამოაყალიბა აზრი, რომ „საშემოსავლო გადასახადის 12 პროცენტით განსაზღვრით, საგადასახადო ტვირთის სიმძიმე ყველაზე მინიმალური ხელფასებისა და შემოსავლების მფლობელთათვის დარჩა უცვლელი, დანარჩენთათვის, კი, ვის 3 ან 5 პროცენტით, ხოლო ყველაზე მაღალი შემოსავლების მფლობელთ 7 პროცენტით შეუმცირდათ ... თუ იმას გავიხსენებთ, რომ საშუალო ხელფასი საქართველოში ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 161.2 ლარს შეადგენს, ... საშემოსავლო გადასახადის ლიბერალიზებით ინსპირირებული კეთილდღეობა მოსახლეობის ძირითად მასას საერთოდ ასცდა და სულ ერთიანად ქართულ პოლიტიკურ ელიტაზე და მიკრო და მაკრო ოლიგარქებზე გადანაწილდა."[3]

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, 2008 წლის 1 იანვრიდან, საშემოსავლო გადასახადით ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 25 პროცენტიანი განაკვეთით, რომელიც მოგვიანებით შემცირდა 20 პროცენტამდე, რაც განაპირობა იმან, რომ ამ უკანასკნელმა თავის თავში მოიცვა სოციალური გადასახადი, შედეგად, მეწარმეები გათავისუფლდნენ გადასახადისაგან, რეალურად კი გადასახადის მთელი სიმძიმე მხოლოდ ფიზიკურ პირებს დააწვათ. მეცნიერულად გამართლებულად არ მივიჩნევ ამ ფაქტს, რადგან ვთვლი, რომ გადასახადების მსგავს მექანიკურ გაერთიანებას აჯობებდა მისი დიფერენცირება ადრე არსებული პრინციპით, ოღონდ მცირედი განსხვავებით, კერძოდ: ჩემი აზრით, საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებით ადრე არსებული პრობლემებისა და სადავო საკითხების გადაჭრა- მოგვარებისათვის მიზანშეწონილი იქნება ფიზიკური პირის დასაბეგრი შემოსავლის შემდეგი განაკვეთით დაბეგვრა: კალენდარული წლის განმავლობაში ყოველთვიურად 400 ლარამდე მიღებული დასაბეგრი შემოსავლის საგადასახადო განაკვეთი განისაზღვროს 12 პროცენტით, ხოლო 401 ლარი და ზევით 15 პროცენტით. აღნიშნული, ჩვენი აზრით, უფრო მეტად ეფექტიანი ღონისძიება იქნება, ვიდრე მისი გაერთიანება სხვა რომელიმე გადასახადთან, როგორც ეს რეალურად განხორციელდა.

საშემოსავლო გადასახადის მობილიზების მოცულობის ზრდის საშუალებად მესახება წარმოების სფეროს გამოცოცხლება, რადგან აღნიშნული პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს დასაქმებაზე.

---

[3] თოლორდავა ზ., წიკლაური ჟ.- საშემოსავლო გადასახადი საქართველოში, ჟ. „ეკონომიკა", №10, 2005, გვ., 120.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით მოგების გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს: 1) საქართველოს საწარმო და 2) უცხოური საწარმო, რომელიც მუდმივი დაწესებულების საშუალებით ახორციელებს თავის საქმიანობას საქართველოში ან შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, საწარმოს დასაბეგრი მოგება 2008 წლის 1 იანვრიდან, იბეგრება 15 პროცენტით, გარდა 1998 წლის 1 იანვრამდე დადებული ხელშეკრულებებისა, რომლებიც ეხება ნავთობისა და გაზის ოპერაციებით მიღებულ მოგებას, ამ უკანასკნელზე ვრცელდება 10 პროცენტიანი განაკვეთი.

საშემოსავლო და მოგების გადასახადის მობილიზების დონის გაუმჯობესების მიზნით საჭიროდ მიმაჩნია, რომ საგადასახადო სამსახურმა ქმედითი და კომპლექსური ღონისძიებები განახორციელოს უშუალოდ გადასახადის გადამხდელებზე კონტროლის სისტემატურობის მიღწევის თვალსაზრისით. საგადასახადო ადმინისტრირების სისტემა კიდევ უფრო მეტად განმტკიცებასა და დახვეწას საჭიროებს, რადგან, ჩვენი აზრით, არ შეიძლება ხელმეორედ იმ ფაქტის დაშვება, რომ ადმინისტრირებასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა გამოიწვიონ წლების წინ ამ მხრივ არსებული პრობლემების ხელმეორედ წამოჭრა. ყოველივე ზემოაღნიშნული კი უნდა განხორციელდეს საგადასახადო კულტურის ხარისხის ამაღლების პარალელურად.

დამატებული ღირებულების გადასახადი წამყვან ადგილს იკავებს პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების სახით მიღებულ შემოსავლებში. 2013 წელს დამატებული ღირებულების გადასახადის სახით გეგმით გათვალისწინებული შემოსავალი შეადგენს 3402.0 მლნ. ლარი, ფაქტიურად მობილიზებულმა შემოსავალმა 9 თვის შედეგებით შეადგინა 2056.1 მლნ. ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს პირი, რომელმაც გაიარა რეგისტრაცია როგორც დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელმა, ან ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია როგორც აღნიშნული გადასახადის გადამხდელმა.

დღგ-ის ძირითადი განაკვეთი თავიდან 28 პროცენტით, შემდგომ 14 პროცენტით, მოგვიანებით 20 პროცენტით, ხოლო ახალი საგადასახადო კოდექსით 18 პროცენტით შემოიფარგლა.

ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთის 16 პროცენტამდე შემცირება. დღგ-ს განაკვეთი განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში მერყეობს 14-20 პროცენტამდე, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ის დიფერენცირებულია.

საქართველოში ამ ეტაპზე დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთის შემცირება შესაძლებელია, თუმცა ვთვლით, რომ დიფერენცირება არასასურველი. მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ ისევე როგორც ეს კონკრეტული ღონისძიება, ასევე სხვადასხვა სახის გადასახადის გაუქმება თუ საგანაკვეთო რეგულირება და დასაბეგრი ბაზის შემცირება უნდა განხორციელდეს გადასახადების ადმინისტრირების ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების პარალელურად.

ეფექტიანობის მაქსიმიზაციისათვის უმჯობესია პირველ რიგში მოგვარდეს ადმინისტრირების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული პრობლემები, ამ მხრივ მიღწეული დადებითი შედეგი შექმნის ლიბერალიზაციის წინაპირობას. ასეთ შემთხვევაში, ვიმედოვნებთ, რომ მაღალი ფისკალური ეფექტი არ დააყოვნებს. აღსანიშნავია დამატებული ღირებულების გადასახადის კანონდარღვევებთან დაკავშირებით აუცილებელი პასუხისმგებლობის საკითხი, რამაც, ჩვენი აზრით, გამოხატვა უნდა ჰპოვოს მაღალ ჯარიმებსა და მკაცრად განსაზღვრულ სანქციებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსისი მიხედვით, აქციზის გადამხდელს წარმოადგენს: 1. აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც: ა) აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში- თავის მიერ წარმოებულ საქონელზე; ბ) ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში- თავის მიერ განხორციელებულ იმპორტზე; გ) ახორციელებს აქციზური საქონლის ექსპორტს- თავის მიერ განხორციელებულ ექსპორტზე; დ) ახორციელებს ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და ბუნებრივი აირის მიწოდებას ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის; ე) ახორციელებს აქციზური საქონლის დროებით შემოტანას საქართველოში- თავის მიერ განხორციელებულ დროებით შემოტანაზე. 2. დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებულ საქონელზე აქციზის გადამხდელად ითვლება საქონლის მწარმოებელი.[4]

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვან წაყროს წლების მანძილზე წარმოადგენდა ნავთობპროდუქტების იმპორტის დაბეგვრიდან მიღებული შემოსავლები. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, ვფიქრობ, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების არალეგალურად შემოტანაზე, დამუშავებასა და მათ შემდგომ რეალიზაციაზე კონტროლის გამკაცრება. აქაც ვაწყდებით უმთავრეს პრობლემას- გადასახადების ადმინისტრირების გაუმჯობესების აუცილებლობას.

საჭიროდ მიგვაჩნია, მოხდეს ნავთობპროდუქტების მოხმარების ბაზრის საფუძვლიანი გამოკვლევა, რათა შემდგომში ამ მხრივ საგადა-

[4] საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2008 წლის მდგომარეობით შეტანილი ცვლილებების მიხედვით. კარი XI, თავი XXXVIII, მუხლი 253.

სახადო შემოსავლების სწორი და ობიექტური დაანგარიშება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე განხორციელდეს.

2013 წელს იმპორტის გადასახადის გეგმური მაჩვენებელი 104.0 მლნ. ლარს შეადგენს, 9 თვის ფაქტიური მობილიზება კი 64.4 მლნ. ლარს. ჩვენი აზრით, აღნიშნული მაჩვენებლები მეტად მცირეა და არ ასახავს ამ მხრივ არსებულ რეალურ შესაძლებლობებს და იგი ყველაზე არადამაკმაყოფილებლად გამოიყურება საგადასახადო შემოსავლებს შორის.

საჭიროდ მიგვაჩნია, ქვეყანაში არსებული საექსპორტო შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა და ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში არსებული საქონლის მრავალფეროვნების ზრდა. საბაჟო ტარიფის დადგენისას საქართველომ უნდა შეძლოს ადგილობრივი მეწარმეების ინტერესების მაქსიმალურად დაცვა. თუ ამის განხორციელება მოხერხდება, მივიღებთ ლოგიკურ შედეგს: ერთი მხრივ, შეიქმნება ადგილობრივი წარმოების განვითარების ხელშემწყობი პირობები მისი მასშტაბების ზრდისათვის, ხოლო მეორე მხრივ, გაიზრდება საგადასახადო შემოსავლების სახით ბიუჯეტში მიღებული თანხები.

არაპირდაპირმა გადასახადებმა დიდი მნიშვნელობა შეიძინეს უკანასკნელ წლებში, ამიტომ მიგვაჩნია, რომ შემდგომში გაცილებით უფრო დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სწორედ არაპირდაპირი გადასახადების ადმინისტრირების გაუმჯობესებასა და მოწესრიგებას, რადგან საჭიროა მოხდეს ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არსებული პრობლემების გამოსწორება, რომელთა არსებობის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებში დასაქმებულთა მხრიდან დაშვებული შეცდომები და დარღვევები.

პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების ერთმანეთთან თანაფარდობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს საგადასახადო შემოსავლების განხილვისას. პირდაპირი გადასახადების მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა ისეთი მაღალგანვითარებული ქვეყნები, როგორიცაა ინგლისი, კანადა, იაპონია და აშშ, რაც შეეხება არაპირდაპირ გადასახადებს, ამ მხრივ მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება საფრანგეთში.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საშემოსავლო ნაწილში დამახასიათებელია არაპირდაპირი გადასახადების სიჭარბე, რაც არაა მისასალმებელი, რადგანაც, ცნობილ ფაქტს წარმოადგენს, რომ არაპირდაპირი გადასახადების მაღალი ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლებში უმეტესწილად ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

არაპირდაპირი გადასახადები, მართალია, არასამართლიანია სოციალური თვალსაზრისით, რადგან შემოსავლების მატება მოსახლეო-

ბის ხარჯზე ხდება, მაგრამ, სამაგიეროდ, მას ფისკალურად უფრო მეტი ეფექტიანობა გააჩნია და სისტემტიურად ჩაირიცხება ბიუჯეტში. რაც შეეხება პირდაპირ გადასახადებს, ის პირველ რიგში არის საგადასახადო ტვირთის რაც შეიძლება მეტად სამართლიანად გადანაწილების საშუალება.

პირდაპირი გადასახადების მნიშვნელობისა და როლის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებისათვის მნიშვნელოვანია: 1. საგადასახადო გარემოს გაუმჯობესება; 2. ფიზიკური პირების შემოსავლების მნიშვნელოვანწილად მატება; 3. საწარმოთა შემოსავლების მატება; 4. საგადასახადო კანონმდებლობის გაუმჯობესება; 5. საგადასახადო სამსახურის ეფექტური ფუნქციონირება; 6. და ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გადასახადების მობილიზების ეფექტურობის ამაღლებისათვისუშუალოდ საგადასახადო კულტურის ამაღლება.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. კაკულია რ., ბახტაძე ლ., ჯიბუტი ა.- საჯარო ფინანსები, თბ. 2010.
2. მიქელაშვილი მ.- სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის თეორიული ასპექტები, გამომცემლობა „სიტყვა”, თბ. 2011.
3. მესხია ი., გაბელაშვილი კ.- საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, თბ. 2010.
4. ჩიკვილაძე მ., კოპალეიშვილი თ.- გადასახადები და დაბეგვრა, გამომცემლობა, თბ. 2011.
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ. 2010.
6. საქართველოს ფინანსთა დსამინისტრო- www.mof.ge
7. Мещериялова О.- Налоговые системы развитых стран мира, 1995.
8. Финансы. Под. ред. М. В. Романовского, О.В. Врублевской, Г.М. Сабанти._М.: Изд. Перспектива; Изд. Юраит, 2001.
9. Налоги и налогообложение, под ред. М.В. Ромоновского, О.В. Врублевской, М. 2000.
10. Налоговая система зарубежных стран, колл. авторов: М.Я. Иоффе, В.Г. Князева, В.Г. Бансков и др. 1996.

*ნინო ქავთარაძე*
*ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი*

# საქართველოში მოქმედი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები და მათი განაკვეთების ოპტიმიზაციის ძირითადი მიმართულებები

ანოტაცია

სტატიაში განხილულია საქართველოში მოქმედი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები, მათი დაბეგვრის სუბიექტი და ობიექტი, ასევე განაკვეთების ოპტიმიზაციის ძირითადი მიმართულებები, რაც, საბოლოო ჯამში, დადებით შედეგს მოუტანს ქვეყნის ეკონომიკას.

***Нино Кавтарадзе***
*Академический доктор бизнес администрирования*

## ОБЩЕ- ГОСУДАРСТВЕННЫЕ НАЛОГИ ГРУЗИИ И ОСНОВНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ ПО ОПТИМИЗАЦИИ ИХ СТАВОК

**Аннотация**

В статье рассмотрены обще- государственные налоги Грузии, предмет и объект налогообложения, также основные направления оптимизации ставок, которые, в конечном счете, принесет позитивный резултат для экономики страны.

***Nino Kavtaradze***
*Ph.D Degree in Business Administration*

## GENERAL STATE TAXES IN GEORGIA AND THE BEST METHODS TO OPTIMISE THEIR RATES

**Annotation**

This article discusses General State Taxes in Georgia, who is subject to taxation, the object of this taxation and the main methods of optimisation of their rates, to encourage positive trends in the Georgian economy.

# აუდიტი

*გივი ლემონჯავა*
*საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,*
*ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.*

## სტატისტიკური შერჩევის მეთოდები აუდიტის ამოცანებში

### შესავალი

შერჩევა არის პირველი ნაბიჯი აუდიტის მოსაზრების ფორმირების გზაზე. შერჩევა არის პროცესი, რომლის ფარგლებში აუდიტის პროცედურის გამოყენება ხდება პოპულაციის რაღაც ნაწილზე. შერჩევა ხარისხიანია, თუ ის ექსტრაპოლირდება პოპულაციაზე, ანუ არის წარმომადგენლობითი. შერჩევა იძლევა საშუალებას, მცირეს შესწავლით, შევისწავლოთ დიდი. სხვა მიზეზებთან ერთად, შერჩევის გამოყენების ერთი მთავარი მიზეზია აუდიტის ხარჯის შემცირება[5].

ყოველი აუდიტი ისახავს კონკრეტულ მიზანს, რომლის მისაღწევად აუდიტორი ქმნის და ასრულებს აუდიტის პროცედურებს. ამ პროცედურების შემადგენელია შერჩევა, რომელიც დამოკიდებულია აუდიტის მიზანზე. შერჩევა არის იმ პოპულაციის წარმომადგენლობით ნაწილი, რომელსაც განსაზღვრავს აუდიტის მიზანი. ზოგჯერ ხდება, რომ პოპულაცია აუდიტის მიზანთან მიმართებით არასრულია ან შეუსაბამოა. ასეთ შემთხვევაში, როგორი გამართული და სრულყოფილი არ უნდა იყოს აუდიტის პროცედურა, აუდიტის შედეგების ადეკვატურობა ძალიან საეჭვო ხდება. მართალია, შერჩევა ეკონომიურია და კარგად დაგეგმვის შემთხვევაში, ზრდის აუდიტორული საქმიანობის ეფექტიანობას, მაგრამ, იმავდროულად, შეიცავს არასწორი აუდიტორული დასკვნის გაკეთების რისკსაც. აუდიტორს უწევს შერჩევის რისკის ორი ასპექტის გათვალისწინება[6]:

- არასწორად აღიარების რისკი, როდესაც შერჩევიდან გამომდინარე არასწორი დასკვნის აღიარება ხდება სწორად.
- არასწორად უარყოფის რისკი, როდესაც შერჩევიდან გამომდინარე სწორი დასკვნის აღიარება ხდება არასწორად.

აღნიშნული რისკის გამო, ხშირად ხდება, რომ შერჩევიდან მიღებული მახასიათებლები არ ემთხვევა პოპულაციისა. რისკის დონის გათვალისწინებით, აუდიტორის ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა აუდიტის კონკრეტული პროგრამის ფარგლებში, ისე დაგეგმოს შერჩევა, რომ

[5] Audit Sampling, (2012). American Institute of Certified Public Accountants.
[6]SAS: AU Section 350, Audit Sampling, from htlp:// www.aicpa.org/Research/ . . .

შერჩევის რისკი არ აღემატებოდეს დასაშვებ ფარგლებს. ამ გეგმის ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია შერჩევის ზომის განსაზღვრა. წარმოდგენილ სტატიაში მოცემულია შერჩევის მეთოდების ანალიზი და მათი კლასიფიკაცია, სადაც კლასიფიკაციის ნიშნად აღებულია აუდიტის ტიპიური ამოცანები.

**შერჩევის კონფიგურაცია**

როდესაც კეთდება შერჩევის ზომის და სტრუქტურის განსაზღვრა, აუდიტორებმა უნდა გაითვალისწინონ კონკრეტული აუდიტის მიზნები, პოპულაციის ბუნება და შერჩევის მეთოდები[7].

აუდიტის მიზნები თავიდანვე უნდა იყოს რაც შეიძლება მკაფიოდ განსაზღრული. ეს აუცილებელია, რადგან ამის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა აუდიტის რისკის ობიექტური შეფასება. შემდეგი საკითხია პოპულაციის და შერჩევის ელემენტის სწორად განსაზღვრა. აქ სიზუსტის კრიტერიუმი უნდა იყოს აუდიტის მიზანი და აუდიტის შედეგი უნდა ფასდებოდეს მიზნის კრიტერიუმით. მიზანთან მიმართებით, პოპულაცია უნდა იყოს რელევანტური და სრული. თუ აუდიტის მიზანია მისაღები ანგარიშების ნამდვილობის შემოწმება, პოპულაცია უნდა იყოს დებიტორების სრული სია; ან კრედიტორების არასრულად აღრიცხვის გამოვლენა, ამ შემთხვევაში, პოპულაცია უნდა იყოს კრედიტორების მიმართ შესრულებული გადახდები და არა კრედიტორების სია ან მათი ბალანსები. ხშირად ხდება, რომ აუდიტის პერიოდის ფარგლებში ერთი კონტროლი იცვლება კონტროლის იგივე მიზნის მქონე მეორე კონტროლით. ამ შემთხვევაშიც, თუ აუდიტის მიზანი იქნება ორივე კონტროლის ეფექტურობის შემოწმება, მაშინ პოპულაციამ უნდა მოიცვას ორივე კონტროლის პერიოდის ტრანსაქციები; და თუ მხოლოდ ახალი კონტროლის შემოწმება, მაშინ ახალი კონტროლის დანერგვის შემდეგ შესრულებული ტრანსაქციების პოპულაცია იქნება საკმარისი.

კონტროლის სატესტოდ შერჩევის ერთეული შეიძლება იყოს დოკუმენტი, ბუღალტრული გატარება, ან ჩანაწერი, რომელთა შემოწმება იძლევა კონტროლის შესრულების რწმუნებას. შერჩევის ყოველი ერთეული წარმოადგენს პოპულაციის ელემენტს. მაგალითად, თუ ტესტირების მიზანია გადახდების ავტორიზების შემოწმება, შერჩევის ერთეული უნდა იყოს გადახდის ორდერი; თუ ერთი ორდერით ბევრი ინვოისის გადახდა ხდება და კონტროლი ითხოვს ყოველი ინვოისის ავტორიზებას, შერჩევის ერთეული უნდა იყოს ინვოისი.

პოპულაციის და მისი ერთეული განსაზღვრის შემდეგ, უნდა გაკეთდე პოპულაციის შესწავლა, რომ დადგინდეს მისი ძირითადი მახასიათებლები. აუცილებელია შეფასდეს მისი ელემენტების გაფანტულო-

---

[7] Sawyer's Internal Auditing, 5thedition, (2005). By the Institute of Internal Auditors (IIA), 437 – 487.

ბა და ერთგვაროვნება. ხშირად, დიდი გაფანტულობა არის პოპულაციაში გამონაკლისების წევრების არსებობის შედეგი, და თუ ასეთები ბევრია, აუცილებელი ხდება პოპულაციის დაყოფა ქვეპოპულაციებად.

ასეთი დაყოფის ერთი ყველაზე ფართოდ გამოყენებადი მეთოდია პოპულაციის სტრატიფიკაცია. სტრატიფიკაცია არის მეთოდი, რომელიც გამოიყენება შერჩევის ეფექტურობისა და ეფექტიანობის გასაზრდელად. სტრატიფიკაცია პოპულაციას ანაწევრებს შედარებით ჰომოგენურ ქვეპოპულაციებად. ასეთი დანაწევრება, აუდიტორს აძლევს საშუალებას ოპტიმალურად გაანაწილოს ძალისხმევა – მეტი დრო და რესურსი მიმართოს იმ სტრატებისკენ, სადაც შეცდომის თუ გაყალბების ალბათობა დიდია. სტრატიფიკაცია ამცირებს შერჩევის რისკს, ზრდის მის წარმამადგენლობითობას და მის საფუძველზე მიღებული დასკვნების სარწმუნობას. პოპულაციაში გამონაკლისების არსებობა, რასაც ხშირად აქვს ადგილი, უპირატესობას ანიჭებს შერჩევის სტრატიფიკაციის მეთოდს.

ასე რომ, ადუიტის მიზანი განსაზღვრავს პოპულაციის კონფიგურაციას, შერჩევისას – პოპულაციის წარმომადგენლითობას, და შერჩევის ერთეულისას – რწმუნებითობა აუდიტის მიზანთან მიმართებით. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ შერჩევის მასშტაბი დამოკიდებულია საუდიტო ობიექტის კონტროლის სისტემის ეფექტურობაზე. ამის არ გათვალისწინება, რასაც პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით, იწვევს აუდიტის რიკის ზომაზე მეტად ზრდას, ან კიდევ ჭარბი რაოდენობის შერჩევას.

**აუდიტის რისკი და შერჩევა**

ცნობილია ორი ტიპის აუდიტის რისკი: (1) უპირობო დასკვნის გაცემა, როდესაც აუდიტის ობიექტი მნიშვნელოვან შეცდომებს შეიცავს, და (2) პირობითი დასკვნის გაცემა, როდესაც აუდიტის ობიექტი სუფთაა და არ შეიცავს შეცდომებს.

აუდიტორმა უნდა მართოს აუდიტის რისკი ისე, რომ შეინარჩუნოს ის მისაღებ დონეზე. აუდიტის რისკი არის სამი კომპონენტის ნამრავლი, რომელიც ასე შეიძლება წარმოვადგინოთ.

$$AR = IR \times CR \times DR \qquad (1),$$

სადაც:

AR – აუდიტის რისკი, რისკი იმისა, რომ აუდიტის დასკვნა იქნება არაადეკვატური;

IR –თანდაყოლილი რისკი – საუდიტო ობიექტის მიდრეკილება უზუსტობების ან დარღვევებისკენ.

CR –კონტროლის რისკი, რაც გამოიხატება მოქმედი კონტროლის მიერ შეცდომის ან დარღვევის ფაქტებს ვერ აღმოჩენაში;

DR –შეუმჩნევლობის რისკი, იმის რისკი, რომ აუდიტის კონკრეტული პროცედურა ვერ აღმოაჩენს შეცდომის ან დარღვევის ფაქტებს.

აუდიტის რისკის ამ სამი კომპონენტიდან, აუდიტორი მართავს მხოლოდ შეუმჩნევლობის რისკს (DR). კონკრეტულ აუდიტის პროგრამასთან და შესაბამის შერჩევის დაგეგმვის ამოცანასთან მიმართებით, (1) ფორმულის პირველი ორი თანამამრავლი შეიძლება მოცემულად ჩავთვალოთ. თუ დაუშვებთ, რომ სააუდიტო ობიექტის მატერიალურობა მაღალია, მაშინ, აქედან გამომდინარე, IR – ის მნიშვნელობა შეიძლება ჩაითვალოს ერთის ტოლად. რაც შეეხება კონტროლის რისკის (CR) შემადგენელს, სისტემური აუდიტის შეფასების საგანია, რომლის ფარგლებში ხდება კონტროლების მიმოხილვა და ტესტირება. ამ რისკის დონე დამოკიდებულია ორგანიზაციის მენეჯმენტის ხარისხზე და ორგანიზაციულ კულტურაზე[8]. შესაძლებელია ამ რისკის რამდენიმე გრადაცია გაკეთდეს:

- დაბალი
- საშუალო
- მაღალი

საილუსტრაციოდ ჩავთვალოთ, რომ მაღალი კონტროლის რისკის შესაბამისი CR=80%, საშუალოსი - 40%, და დაბალის - 15%. თუ თანდაყოლილ რისკს 100 % ჩავთლით, მატერიალური შეცდომის რისკი დარჩება CR –ის დონეზე. რამდენი შეიძლება იყოს აუდიტის რისკი (AR), დამოკიდებულია სააუდიტო დავალების მატერიალურობაზე. მაგალითად, თუ ცუდად მოქმედი სისტემა იძლევა 5% რწმუნებას, დანარჩენი 95% უნდა მივიღოთ აუდიტის ოპერაციებით.

თუ ამ მონაცემებს (1) ფორმულაში ჩავსვამთ, გავიგებთ რამდენი უნდა იყოს აუდიტის შეუმჩნევლობის რისკი რწმუნების სამ დონეზე იქნება:

1. დაბალი რწმუნება:

$$0.05 = 1 \times 0.80 \times DR \Rightarrow DR = 6.25\,\%$$

2. საშუალო რწმუნება:

$$0.05 = 1 \times 0.40 \times DR \Rightarrow DR = 12.50\,\%$$

[8] Pickett K. H. Spencer (2005), Auditing the Risk Management Process.John Wiley & Sons.

3. მაღალი რწმუნება:

$$0.05 = 1 \times 0.15 \times DR \Rightarrow DR = 33.00\ \%$$

ეს იმას ნიშნავს, რომ დაბალი რწმუნების შესაბამისი აუდიტის პროგრამის რწმუნება უნდა იყოს 100 – 6.25 = 93.75%, საშუალოსი – 87.50%, და მაღალის – 68%.

**შერჩევის ზომა**

შერჩევას ახლავს რისკი, რომელიც უნდა მართოს აუდიტორმა კონკრეტული აუდიტის პროგრამის ფარგლებში.შერჩევის რისკი არის შერჩევის საფუძველზე მიღებული დასკვნის განსხვავება მთლიანი პოპულაციიდან გამომდინარე დასკვნისაგან.ხშირად ხდება, რომ აუდიტორი არასწორად ან არასრულად ითვალისწინებს შერჩევის ზომის განმსაზღვრელ ყველა ფაქტორს და შერჩევის საფუძველზე მიღებული აუდიტორული დასკვნა აცდენილია რეალობას. პირველი ამ ფაქტორებს შორის არის **ნდობის დონე (Z)**, რომელიც უნდა განისაზღვროს (1) ფორმულიდან, როგორც ეს ვაჩვენეთ ზემოთ მოყვანილ მაგალითში რწმუნების სამ დონეზე. 95 პროცენტიანი ნდობის დონე ნიშნავს, რომ 100 შერჩევიდან 95 იქნება რეპეზენტატიული. ნდობის დონის ზრდა ყოველთვის იწვევს შერჩევის ზომის ზრდას. ჩვეულებისამებრ, აუდიტორები ნდობის დონედ იღებენ 95 პროცენტს ან 99 პროცენტს, დასაბუთების გარეშე. ასეთი მიდგომის შედეგი შეიძლება იყოს ჭარბი ზომის შერჩევა, რომელიც, მართალია, შერჩევის საფუძველზე მიღებული მტკიცების საიმედოობას ზრდის, მაგრამ ხარჯის მიმართ დაბალეფექტიანია. მეორე შესაძლო შედეგი კი - არასაკმარისი ზომის შერჩევა, თანმდევი გაუმართლებლად მაღალი რისკით.

შერჩევის ზომის განმსაზღვრელი მეორე ცვლადია **დასაშვები შეცდომა**, ან სხვანაირად - **ასატანი შეცდომა (TE)**.რას ნიშნავს ასატანი შეცდომა? ეს არის შეფასებიდან გადახრის ზომა, რომელიც მისაღებია შემფასებელითვის. მიუხედავად გადახრისა, გადახრის ამ ფარგლებში შეფასება ეჭვქვეშ არ დგება. მაგალითად: თუ დავუშვებთ, რომ TE =±2 % და სააუდიტო დოკუმენტების შერჩევაში აღმოჩნდება 10 პროცენტი, შეცდომიანია, მაგრამ სინამდვილეში დოკუმენტების პოპულაციაში შეცდომიანი შეიძლება იყოს ყველაზე მცირე 8 პროცენტი, ან ყველაზე დიდი 12 პროცენტი. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, შეფასებიდან ასატანი დონის ფარგლებში არსებული გადახრა, არ უნდა გახდეს შეფასების ეჭქვეშ დაყენების საფუძველი. მცირეTE , ცხადია, ნიშნავს შერჩევის ზომის ზრდას.

და ბოლოს, შერჩევის ზომის განსაზღვრის ფორმულის მესამე ცვლადი უნდა იყოს პოპულაციის სტანდარტული გადახრა($\sigma$) ან მისი

შეფასება(s). თუ პოპულაციის გაფანტულობა დიდია, ცხადია, შესაბამისად დიდი უნდა იყოს შერჩევის ზომა. რა გავლენა აქვს შერჩევის ზომაზე პოპულაციის ზომას (N)? პირდაპირი გავლენა არ უნდა ჰქონდეს, რადგან მისი გავლენა ასახულია $\sigma -$ში. ზოგადად, აუდიტორები შერჩევის ზომის ცვლადების ამგვარ დიფერენციაციას არ აკეთებენ და მიაჩნიათ, რომ პოპულაციის რამდენად მეტ ნაწილს (20%, 25%, 30%, ან კიდევ მეტი) დაფარავენ, მით უკეთესი იქნებიან აუდიტორული დასკვნების საიმედოობის თვალსაზრისით. ასეთი მიდგომა, მართალია, ითვალისწინებს პოპულაციის ზომას, მაგრამ ასეთი შერჩევიდან მიღებული დასკვნა სტატისტიკურად არაკორექტულია, და, ბევრ შემთხვევაში, არც ეკონომიკურად არის გამართლებული.

განვიხილოთ ორი ტიპის შეჩევა[9]: (1) **რაოდენობრივი** და (2) **ატრიბუტული**. ფინანსურ ანგარიშებში, მაგალითად, პირველი გამოიყენება ბუღალტრული ანგარიშის ბალანსის სისწორის შესამოწმებლად, ფორმულა (2). ატრიბუტული შერჩევა კეთდება, როდესაც მოწმდება შიდა კონტროლი ან შესაბამისობა კანონმდებლობით თუ პოლიტიკით დადგენილ მოთხოვნებთან, ფორმულა (3). ატრიბუტული შერჩევის მიზანია პოპულაციის პროპორციის შესახებ დასკვნის ჩამოყალიბება.

$$n = \left( \frac{z \times \sigma}{TE} \right)^2 \qquad (2)$$

$$n = p \times (1 - p) \left( \frac{z}{TE} \right)^2 \qquad (3)$$

თუ ცნობილია მთელი პოპულაციის ასატანი შეცდომა(TM), მაშინ ერთეული ტრანსაქციის ასატანი შეცდომა იქნება TE = TM / N. ამის გათვალისწინებით, ფორმულა (2) შეიძლება მოდიფიცირდეს (4) სახით, სადაც პოპულაციის ზომა ცხადად ფიგურირებს ფორმულაში.

$$n = \left( \frac{N \times z \times \sigma}{TM} \right)^2 \qquad (4)$$

რწმუნების დონეს ჩვენ ვირჩევთ (1) ფორმულის გამოყენებით, როგორც ეს იყო ნაჩვენები ზემოთ. 93.75 პროცენტის რწმუნების შესაბამისი z = 1.865; 87.50% - z = 1.535; 68% - z = 0.945.

შერჩევის ფორმულა (2) გამოიყენება აუდიტის ისეთ ამოცანებში, სადაც ფასდება სხვაობა ფინანსური ანგარიშის აღრიცხულ ბალანსსა და მის ნამდვილ სიდიდეს შორის. ამ შემთხვევაში, პოპულაცია არის

[9]S. Christian Albright, Wayne L. Winston, Christopher J. Zappe, (2009).Data Analysis &Decision Making with.

ბალანსის შემქმნელი ცალკეული ტრანზაქციების სიმრავლე, ხოლო შერჩევა – ამ სიმრავლის ნაწილი. რაც შეეხება (3) ფორმულას, ის გამოიყენება შიდა კონტროლის და აგრეთვე კანონებთან, რეგულირებასთან, პოლიტიკებთან და პროცედურებთან შესაბამისობის გასატესტად.

**ამორჩევის მეთოდები**

იმის შემდეგ, რაც შერჩევის ზომა განსაზღრულია, უნდა შეირჩეს ამორჩევის მეთოდი. პრაქტიკაში იყენებენ ამორჩევის ორ მეთოდს: სტატისტიკური და არასტატისტიკური. სტატისტიკური შერჩევა, რენდომული ან სისტემატიური, იყენებს მათემატიკურ მეთოდებს. რწმუნების კონკრეტულ დონეზე, შერჩევის ამ მეთოდების გამოყენებით აუდიტორს აქვს საშუალება ჩამოაყალიბოს დასკვნა პოპულაციის შესახებ. შერჩევის პროცედურა ფასდება მიღებული შერჩევის წარმომადგენლობითობის ხარისხით. თუ სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი შერჩევის წარმომადგენლობითობა, მის საფუძველზე მიღებული დასკვნა არ იქნება რეპრეზენტატული. სტატისტიკური შერჩევა იძლევა საშუალებას გაკეთდეს ეფექტიანი ამორჩევა, შეფასდეს მოპოვებული მტკიცებულებების საკმარისობა, და რაოდენობრივად შეფასდეს შერჩევის შედეგების საიმედოობა. მართალია, შერჩევა ყოველთვის გულისხმობს შერჩევის რისკს, მაგრამ სტატისტიკური მეთოდი იძლევა ამ რისკის რაოდენობრივად შეფასების შესაძლებლობას. ასეთი შეფასების გარეშე, აუდიტის რისკის მართვა შეუძლებელი იქნება.

რაც შეეხება არასტატისტიკურ შერჩევას, ამ მეთოდის გამოყენებისას აუდიტორი ეყრდნობა საკუთარ ცოდნას და გამოცდილებას, და ამის საფუძველზე განსაზღვრავს ამორჩევის პროცედურას. ზოგადად, შესაძლებელია სათანადოდ დაგეგმილი არასტატისტიკური შერჩევით ისეთივე შედეგის მიღება, როგორიც შესაძლებელია სტატისტიკურით. მაგრამ, ამ შემთხვევაში, შერჩევიდან მიღებულ მტკიცებას არა აქვს მათემატიკური საფუძველი, და რაოდენობრივად ვერ შევაფასებთ ამ მტკიცების პოპულაციაზე გავრცობის მართებულობის ხარისხს – შეუძლებელია შერჩევის რისკის ზუსტი შეფასება. არასტატისტიკური მეთოდის ეკონომიურობა და სიმარტივე არ არის საკმარისი და ძლიერი საფუძველი, უარი ვთქვათ შერჩევის სტატისტიკური მეთოდების გამოყენებაზე, რასაც პრაქტიკაში ხშირად აქვს ადგილი.

სტატისტიკური შერჩევა, მართალია, მოითხოვს უფრო მეტ სპეციალურ ცოდნას და შედარებით შრომატევადია, მაგრამ მის საფუძველზე მიღებული შედეგი უფრო დასაბუთებული და საიმედოა. გასათვალისწინებელია კარგი ხარისხის შერჩევის კომპიტერული პროგრამები (Minitab, StatTools, SAS, SPSS, Excel –ის ფუნქციები), რომელთა გამოყენებით შესაძლებელია შერჩევის ხარჯების შემცირება და მისი პროცე-

დურის გამარტივება. არა აქვს მნიშვნელობა, შერჩევა სტატისტიკურია თუ არა, კომპიუტერული პროგრამების საშუალებით პოპულაციიდან შესაძლებელია გაკეთდეს რენდომული, სისტემატური, და სტრატიფიცირებული ამორჩევა. როდესაც აუდიტი სრულდება კომპიუტერიზირებულ გარემოში, სადაც პოპულაციები წარმოდგენილია ელექტრონული ფაილების სახით, ამორჩევის სტატისტიკურ პროცედურაზე უარის თქმის საფუძველიც არ არსებობს.

რისკის გათვალისწინება აუდიტის პროგრამაში[10], რომლის ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელია შერჩევა, ზრდის აუდიტის ეფექტიანობას და რწმუნების ხარისხს. რწმუნების ხარისხი უკავშირდება სააუდიტო ობიექტის მატერიალურობას, რომელიც განსაზღვრავს აუდიტის რისკის დასაშვებ დონეს. თავის მხრივ, მატერიალურობის დონეს განსაზღვრავს შეცდომა/დარღვევასთან დაკავშირებული ზარალი და ამ გადაცდომის მოხდენის სიხშირე.

**შერჩევის შედეგების შეფასება**

თავისთავად, შერჩევის პროცედურა ვერ იქნება აუდიტის შედეგების მაღალი ხარისხის გარანტორი. ყოველთვის აუცილებელია აუდიტის შედეგების შეფასება, მიუხედავად რა სახის შერჩევა იქნა გაკეთებული, სტატისტიკური თუ არასტატისტიკური. ამ შეფასებით უნდა დადგინდეს შერჩევის შედეგებით მიღებული გადახრის ზომა რამდენად კარგად ასახავს პოპულაციის რეალურ გადახრას. შერჩევის შედეგს აუდიტორი იყენებს აუდიტის სტრატეგიის შერჩევაში, ამდენად, აღნიშნული შეფასების მნიშვნელობა დიდია.შეფასება დამოკიდებულია შერჩევის გადახრის ზომასა და მიზეზებზე.

შესაძლებელია პოპულაციის გადახრა აღემატებოდეს პოპულაციის გადახრის ასატან განაკვეთს, ხოლო შერჩევიდან მიღებული პოპულაციის გადახრის მნიშვნელობა ნაკლები უნდა იყოს პოპულაციის გადახრის ასატან მნიშვნელობაზე. ეს არის შერჩევის რისკი, რომლის შედეგი იქნება არასწორი აუდიტორული დასკვნა. შერჩევის შედეგის შეფასება ითვალისწინებს შერჩევის რისკის რაოდენობრივ შეფასებას, რომელიც ითვლება სტატისტიკური შერჩევის პროცედურის ფარგლებში.

შერჩევის ზომის და შედეგების გათვალისწინებით, სტატისტიკური პროგრამები ითვლიან გადახრის ზედა ზღვარს. მაგალითად, თუ შერჩევის ზომა არის 200 და გამოვლინდა მხოლოდ ერთი გადახრა, გადახრის ზედა ზღვარი ნდობის 95 პროცენტიან დონეზე იქნება 2.4%. შემდეგ, ამ უკანასკნელს ვადარებთ ასატან გადახრასთან, რომელიც ვთქვათ იყო 5%, და მივდივართ დასკვნამდე: ნდობის მოცემულ დონეზე, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ პოპულიაციის გადახრა არამატერიალურია, რადგან

[10]Pickett K. H. Spencer, (2006). Audit Planning (Risk-Based Approach).John Wiley & Sons.

შერჩევის ფაქტიური გადახრა, 0.5 პროცენტი, და გადახრის შეფასების ზედა ზღვარი ნაკლებია პოპულაციის გადახრის ასატანი დონის. თუ აუდიტის თემა იყო კონტროლის ტესტირება, მოცემული დასკვნა ექვივალენტურია შემდეგი დასკვნის: კონტროლი სრულდება გეგმის შესაბამისად.

თუ გადახრების აღმოჩენილი რაოდენობა ეფექტური კონტროლის არსებობის დაბალ რწმუნებას იძლევა, მაში მიზანშეწონილი იქნება გადავხედოთ კონტროლის რისკის თავდაპირველ შეფასებას (CR), და ამის საფუძველზე შერჩევის ზომის გასაფართოვებლად უნდა გავიმეოროთ შერჩევის ზემოთ აღწერილი პროცედურა.

*გივი ლემონჯავა*
*საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,*
*ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი*

## სტატისტიკური შერჩევის მეთოდები აუდიტის ამოცანებში

ანოტაცია

აუდიტის ოპერაციებთან მიმართებით, აუდიტორებს აქვთ აუდიტორული საქმიანობის დაგეგმისა და შესრულების სხვადასხვა არჩევანი. აუდიტის პროცედურის მნიშვნელოვანი შემადგენელია შერჩევა. შედეგი, მიღებული შერჩევაზე აუდიტის პროცედურის შესრულებით, ექტრაპოლირდება მთლიან პოპულაციაზე. ამ გზით მიღებული დასკვნა ვრცელდება პოპულაციაზე, რომლის დასკვნის საიმედოობა გარკვეულწილად დამოკიდებულია შერჩევის მეთოდსა და შერჩევის ზომაზე. შერჩევის მეთოდის არჩევა მიზნად უნდა ისახავდეს აუდიტის რისკის შემცირებას სასურველ დონემდე.ნაშრომში, აუდიტის პროცედურის მოთხოვნების გათვალისწინებით, შემუშავებულია შერჩევის სტატისტიკური მოდელი, ინდეტიფიცირებულია შერჩევის ზომის განმსაზღვრელი ფაქტორები და მათ შორის ურთირეთდამოკიდებულება.

***Гиви Лемонджава***
*Кандидат экономических наук*

**МЕТОДЫ СТАТИСТИЧЕСКЙ ВЫБОРКИ В ЗАДАЧАХ АУДИТА**

**Аннотация**

При выполнение аудиторской деиателности, аудитор имеет различный выбори по планировнию и проведение аудита. Как известно, выборка есть вожнеший составляюший процедуриаудита. Результат, полученный путем приложения конкретной процедурыаудит на выборке, экстраполируетсия на весь популяцию. Надежность заключения определенной степени завысить от метода и от размера выборки.Критерием иыбора метода выборки нами выбранно минимизасия рискаудита. В работе, с учетом общего требований процедуриаудит, предложенно статистический модель иыборки и с помощью этой модели определияется оптимальний размер выборки.

***Givi Lemonjava***
*Candidat of Economic Sciences*

**STATISTICAL SAMPLING METHODS IN AUDIT ENGAGEMENTS**

**Annotation**

With respect to the audits operation, the auditors have different options in planning and performing the audit engagements. Sampling is an important part of audit procedures. The results of procedures performed on sample are extrapolated to entire population. And thus the opinion is obtained on the entire population.Reliability of theseconclusions dependsof the sampling methods. The methods are designed to reduce the audit risk to acceptable level. This paperdefines and designs the framework forstatistical sampling used in the audit proceduresfor defining optimal size of sample.

## საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკა

*გოგი ფოფხაძე*
*ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასისტენტ-პროფესორი,*
*ნათელა კაკაურიძე*
*ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*მოწვეული მასწავლებელი*

# გერმანიის საბანკო სისტემის თავისებურებები

საბანკო საქმიანობის წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია კაპიტალთან, რომელსაც პროცენტები მოაქვს. ამ უკანასკნელს ისტორიულად წინ უსწრებდა სავახშო კაპიტალი, რომელიც უკვე არსებობდა პირველყოფილი წყობის პერიოდში. პროცენტების მომტანი კაპიტალის მთავარ ფორმად სასესხო კაპიტალი ითვლება. როგორც კი კერძო საკუთრება წარმოიქმნა, საქონელგაცვლიდან განვითარდა საქონლური ფულადი ურთიერთობანი, რამაც გააძლიერა საზოგადოების ქონებრივი უთანაბრობა. სათავეში მდგომმა მდიდარმა წარმომადგენლებმა შესაძლებლობა მიიღეს ფული სესხად მიეცათ მათთვის, ვისაც იგი სჭირდებოდა. ასეთი სესხები, როგორც წესი, დაკავშირებული იყო მიწის საწინდართან.

ბანკების ფუძემდებლური დასაწყისი ფუნქცია გადასახადებში შუამავლობა იყო. ასეთი შუამავლობის შედეგად ბანკებმა თავისუფალი ფულადი კაპიტალი პროცენტის მომტანად აქცია. ისინი ფულად საშუალებებს ყველა შესაძლო წყაროებიდან აგროვებდნენ და კრედიტით აძლევდნენ მოთხოვნის შესაბამისად. ბანკები და მისი მსგავსი ინსტიტუტები, ჯერ კიდევ ძველად არსებობდნენ. ეგვიპტეში საბანკო ოპერაციები ხორციელდებოდა ჩვ.წ.აღ. 2700 წ. ბაბილობისა და ასურეთის მრავალრიცხოვანი დოკუმენტები, მაგალითად, ხამურაბის კანონეის კრებული (1704-16662 წ. ჩვ.წ.) მოწმობენ, რომ მაშინაც იყო თავისებური ვექსილი და ჩეკი, ხოლო სახსრების შენახვისა და სასესხო ოპერაციების ფორმები კანონით რეგულირდებოდა.

თანამედროვე საბანკო საქმის სათავეში უნდა ვეძებოთ, პირველ ყოვლისა, იტალიის, უფრო ზუსტად, ჩრდილოეთ იტალიის საშუალო საუკუნეების ზარაფების საქმიანობაში. ყველაზე გავლენიანი იყო კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ბანკები - კურიები. საყოველთაოდ ცნობილია მედიჩის სახელოვანი კლასიკური ლიტერატურის ბანკი ფლორენციაში. ეს დინასტია არსებობდა იქ პრაქტიკულად მე-15-დან მე-18 საუკუნის ჩათვლით. ფლორენციაში არსებულ ბანკის მთავარ კანტორას 16 ფილიალი ჰქონდა ისეთ ქალაქებში, როგორიცაა პარიზი,

ლონდონი, ბრიუგე, ლიონი, ვენეცია, გენუა, რომი, ნეაპოლი. მთავარი კანტორა იძლეოდა ფულად გზავნილებს, რომლებსაც ყველა ფილიალი ანაღდებდა. გერმანიაში აუგსბერგის და საბანკო სახლის ფიუგერებმა 1508 წ. შეძლეს მთელი თავისი რომის აგენტურის გაერთიანება პაპ იოანე მეორის ბანკში. მაგრამ ფიუგერები ახორციელებდნენ ოპერაციებს არა მარტო პაპთან, არამედ ვროპის მეფეებთან და კაიზერებთანაც.

გერმანულ საბანკო სისტემას შეადგენს ასობით ბანკი, მათ შორის არის არა მხოლოდ მსხვილი უნივერსალური ბანკები, რომელთა დასახელება ცნობილია მსოფლიოში, არამედ მთელი რიგი საშუალო და მცირე ბანკები. გარდა ამისა, თუ ევროპულ ბანკებს, როგორც წესი, აქვთ „ვიწრო" სპეციალიზაცია, გერმანიის ბანკები შეიძლება მივაკუთვნოთ „უნივერსალურებს". პრაქტიკულად ნებისმიერი გერმანული ბანკი გთავაზობს თქვენს მომსახურების მთელ პაკეტს - P ანგარიშიდან ფასიანი ქაღალდებთან ოპერაციებამდე, კრედიტებით მშენებლობაზე და ყოველგვარ დაზღვევაზე. ძირითადი განსხვავება ბანკებს შორის მდგომარეობს ფასებში მომსახურებასა და სერვისის დონეში. მითუმეტეს, გადასახადი, რომელიც აიღება ერთი და იგივე მომსახურებისათვის ერთი და იგივე ბანკის მიერ ბევრად განსხვავდება მიწიდან მიწამდე. რაც შეეხება სერვისს, გერმანია ძალიან განსხვავდება სხვა ქვეყნებისაგან (განსაკუთრებით ამერიკისაგან), სამწუხაროდ უარესობისაკენ.

პირობითად, გერმანიის საბანკო სისტემა შეიძლება დაიყოს ხუთ ჯგუფად. პირველ ჯგუფს წარმოადგენს ცენტრალური ფედერალური ბანკი Deutsche Bundesbank. შემდეგ მოდიან ე. წ. „კერძო ბანკები" Buzarbanken, შემნახველი სალაროები Sparkasse, კოოპერატიული ბანკები Genossenschafts-banken და საფოსტო ბანკი Postbank. რა ახასიათებს თითოეულ მათგანს.

**Deutsche Bundesbank** ეს არის გერმანული ფედერალური ბანკი. კერძო კლიენტებთან და ფირმებთან ეს ბანკი არ მუშაობს, ეს სახელმწიფო ბანკია.

საბანკო სისტემის ძირითად სექტორს შეადგენენ კერძო ბანკები. ბანკების ეს კატეგორია მოიცავს სხვადასხვა სახის ბანკებს. განვიხილოთ მხოლოდ ძირითადი.

ფედერალური მნიშვნელობის ბანკები რობbanken. ასეთი ბანკი გერმანიაში მხოლოდ სამია. ამ სიას იწყებს Deutsche Bank, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთი მდიდარი ბანკია. ეს ყველაზე კომპეტენტური ბანკია, განსაკუთრებით ფასიანი ქაღალდების და უძრავი ქონების ბაზარზე. მიუხედავად ცნობილი დასახელებისა და უზარმაზარი კაპიტალისა, ეს ბანკები ძალიან დემოკრატულებია და პრაქტიკულად ყველასათვის ხელმისაწვდომია.

რეგიონული მნიშვნელობის ბანკები Regionalbanken. ეს ბანკები მოქმედებენ, როგორც წესი, ამა თუ იმ მიწაზე, თუმცა ზოგიერთ მათგანს

გააჩნია ფილიალები მთელ ქვეყანაში. თავისი მიწის ფარგლებში ამ ბანკებს გააჩნია ფილიალების და ავტომატების უფრო მხლავრი ქსელი, ვიდრე მათ კოლეგებს „ფედერალებს".

პირდაპირი ბანკები Direktbanken. თუ Deutsche Banken ან Dresdener Bank ფილიალები არის პრაქტიკულად ყოველ ქალაქში, მაშინ რომელიმე „პირდაპირი ბანკის" ფილიალს თქვენ ვერ იპოვით ვერსად. ისინი არ არსებობს. ასეთ ბანკში ვერ შეხვალ, კლიენტებთან მუშაობა მიმდინარეობს ტელეფონით, ფაქსით ან E-mail-ით. ეს ბანკები, როგორც წესი, სხვებზე „იაფია", ვინაიდან მათ არ გააჩნია ფილიალები და მათში მჯდომი თანამშრომლები, რომლებსაც უნდა გადაუხადონ ფული. ეს ბანკები გთავაზობენ, როგორც წესი, უფრო მაღალ პროცენტს ანაბრებზე და ფულის დაბანდებების უფრო ხელსაყრელ პირობებს. ასეთი ბანკების ძირითადი მინუსებია ავტომატების სუსტი ქსელი და თვის ბოლოს მიღებული სატელეფონო ანგარიშები. მაგრამ ზოგიერთი პირდაპირი ბანკი საშუალებას იძლევა ბოლო პუნქტის ასარიდებლად. საქმე იმაშია, რომ სატელეფონო კავშირი ზოგიერთ ბანკთან უფასოა (ამ შემთხვევაში ტელეფონის ნომერი იწყება 0800-დან).

სამშენებლო შემნახველი ბანკები Bausparkassen. ბანკების ეს ჯგუფი სპეციალიზირდება კრედიტების გაცემით მშენებლობაზე, ბინის ან სახლის ყიდვაზე. ასეთ ბანკში კრედიტის მიღების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ამ ბანკთან „სამშენებლო-დაგროვებითი ხელშეკრულების" დადება Bausparbertrag. მსგავსი ბანკის ალტერნატივას (ხშირად დამატებას) წარმოადგენს იპოტეკური ბანკები Hypothekenbanken, რომლებიც სპეციალიზირდება გრძელვადიან (30 წლამდე) კრედიტებზე.

მიუხედავად Deutsche Bank კაპიტალის სიდიდისა, ფილიალების ყველაზე დიდი რაოდენობა გააჩნია არა მას. არამედ ბანკების ჯგუფს დასახელებით sparkassen, შემნახველი სალარო ან შემნახველი ბანკი. ამ ჯგუფის ფილიალებს შეიძლება შევხვდეთ ნებისმიერ სოფელში. ამ ჯგუფს გააჩნია ავტომატების ყველაზე ფართო ქსელი და ეს ბანკები ვალდებულია (მართალია, არა ყველა მიწებზე, გაუხსნას ანგარიში ყველა მსურველს, რაც ხდის ამ ჯგუფს უფრო პოპულარულს. ჩვენ მუდმივად ვიყენებთ ტერმინს „ბანკების ჯგუფი", ვინაიდან ამ ჯგუფის ბანკებს აქვს ერთი დასახელება და ერთი საერთო სიმბოლო, მაგრამ ეს ბანკები დამოუკიდებელი არიან ერთმანეთისაგან და ერთი და იგივე მომსახურების ფასები ძალიან განსხვავდება ქალაქიდან ქალაქამდე.

საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენენ კოოპერატიული ბანკები Genoddenschaftsbanken. მათი ძირითადი განსხვავება სხვა ბანკებისაგან მდგომარეობს იმაში, რომ თქვენ ხართ არა მხოლოდ კლიენტი (Kunde), არამედ ბანკის „თანამეპატრონე". საქმე იმაშია, რომ იმისათვის, რომ ამ

ბანკის კლიენტი გახდეთ, თქვენ უნდა შეიძინოთ ამ ბანკის წილი. ამ წილზე დარიცხული პროცენტები ბევრ შემთხვევაში სამჯერ აღემატება ჩვეულებრივს. მაგრამ წილის მაქსიმალური სიდიდე შეზღუდულია. წილი ეკუთვნის ოჯახის ყოველ წევრს, ამიტომ აუცილებლად შეატყობინეთ ბანკს თქვენი ოჯახის შემადგენლობა. თქვენი წილი და ყველა დაგროვილი პროცენტების მიღებას თქვენ შეძლებთ, მხოლოდ ბანკიდან საბოლოოდ წასვლისას. უკანასკნელი, საკმაოდ რთული ამოცანაა. ამ ბანკიდან წასვლას თქვენ შეძლებთ მხოლოდ წლის ბოლოს, შეთანხმების ვადის დაცვით, რომელიც შეიძლება შეადგენდეს 5 წელს. გარდა ამისა, თქვენ შეიძლება გახდეთ კოოპერატიული ბანკის წევრი მხოლოდ იმ ქალაქში, სადაც ცხოვრობთ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მკაცრად განსაზღვრული დარგში მუშაობისას.

ცალკეულ კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ საფოსტო ბანკი Postbank. ეს საკმაოდ ახალგაზრდა ბანკია, ოფიციალურად არსებობს 1995 წლიდან. ამ ბანკის ფილიალები არის პრაქტიკულად ყველა მსხვილი საფოსტო განყოფილებებში. ამ ბანკის კლიენტების მომსახურება წარმოებს უმეტესად მიმოწერით. ტელეფონის ან კომპიუტერის მეშვეობით. საფოსტო ბანკის ფასები მომსახურებაზე საკმაოდ დაბალია. მაგრამ ეს უპირატესობა გათანასწორებულია ოპერაციების ჩატარების საკმაოდ დაბალი სისწრაფით და საკუთარი ავტომატების ძალიან სუსტი ქსელით.

როგორ გავერკვეთ ასეთ მრავალსახეობაში? როგორი ბანკი შევარჩიოთ? იმისათვის, რომ გავცეთ პასუხი ამ საკითხებს, უნდა უპასუხოთ კითხვაზე რა გინდათ? უბრალოდ გახსნათ საანგარიშგებო ანგარიში? ჩავდოთ ფული პროცენტისათვის? ავიღოთ კრედიტი?

თქვენი მიზნების შესაბამისად უნდა მიაქციოთ ყურადღება სხვადასხვა ასპექტებს. საანგარიშგებო ანგარიშისათვის - ეს პირველ რიგში შეკრების სიდიდე ანგარიშის მომსახურებისათვის, საკუთარი ავტომატების ქსელის სიმჭიდროვე და მანძილი სახლიდან უახლოეს ფილიალამდე. სხვა შემთხვევაში უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რამდენად დიდია პროცენტი ანაბრებზე ან რამდენად დაბალია პროცენტები კრედიტებზე. მითუმეტეს, არავინ გიკრძალავთ თქვენ გქონდეთ P ანგარიში ერთ ბანკში, ჩადოთ ფული მეორეში, და ამავე დროს აიღოთ კრედიტი მესამეში.

ფასები ყველა მომსახურებაზე აღნიშნულია სტენდზე ნებისმიერი ბანკის წინ (ან ფოიეში). არანაკლებ როლს ბანკის შერჩევაში თამაშობს აგრეთვე ისიც, რამდენად კარგად შესძელით თქვენ კონტაქტის დამყარება ბანკის თანამშრომლებთან. ძალიან პრაქტიკულია ყავდეთ ბანკში „საკუთარი" ოპერატორი, რომელთანაც გექნებათ საკმაოდ თბილი ურთიერთობები.

P ანგარიში ან ჟიროანგარიში ეს არის ანგარიში, რის გარეშეც გერმანიაში თქვენ ვერ იარსებებთ. სავსებით არ აქვს მნიშვნელობა იმას, მუ-

შაობთ თუ არა თქვენ, ღებულობთ პენსიას ან სოციალურ დახმარებას - P ანგარიში გჭირდებათ თქვენ ჰაერივით. არც საქმისმომცემი, არც შრომის ბირჟა არ გადაგიხდით ნაღდ ფულს - ყველა ფული გადაირიცხება თქვენს P ანგარიშზე. რაც ეხება სოციალამტს უნდა აღინიშნოს, რომ სოციალამტი ასევეურიცხავს დახმარებას მიმღების ანგარიშზე, მაგრამ არა ყველას და არა ყოველთვის. ხშირად „სოციალი" ვალდებულია პირადად გამოცხადდეს უწყებაში განსაზღვრულ დღეს, წარადგინოს პასპორტი, მიიღოს ფული ხელზე. ეს დაკავშირებულია უწყების სურვილთან გააკონტროლოს თავისი კლიენტი საზღვარგარეთ წასვლასთან დაკავშირებით ან „შავ" სამუშაოებთან დაკავშირებით.

თქვენც ვერ შეძლებთ ჟირო ანგარიშის გარეშე ბინის ქირის, ელექტროენერგიის, ტელეფონის გადასახადის გადახდას. თუმცა, რა თქმა უნდა, შეძლებთ ყოველ გადარიცხვისას გადასარიცხი თანხის 10%-ის გადახდის შემთხვევაში.

ჟირო ანგარიშის დადებითი მხარეები:

- საქონლის და მომსახურების გადახდა უნაღდო სახით და ფულის მიღება თქვენ ანგარიშზე იმავე სახით;
- ნაღდი ფულის მიღება და ფულის გადარიცხვა ავტომატების მეშვეობით;
- გრძელვადიანი დავალებები - განსაზღვრული თანხების რეგულარული გადარიცხვა განსაზღვრულ მიმღებისათვის, რომელსაც აწარმოებს ბანკი თქვენი მონაწილეობის გარეშე. გადასახადის ძალიან მოსახერხებელი სახე (მაგალითად, ბინის გადასახადი).

და კიდევ მრავალი სიკეთე. ამასთან არსებობს ერთი სერიოზული ნაკლი - P ანგარიშზე პროცენტები არ დაირიცხება (გამონაკლისია ზოგიერთი პირდაპირი ბანკი). ამიტომ დიდი თანხის შენახვას P ანგარიშზე აზრი არა აქვს. თუმცა ანგარიშის გაუქმებაც არ ღირს, ვინაიდან, თუ თქვენ ანგარიშზე არ იქნება საკმარისი საშუალებები გადასახადის გადახდისათვის და თქვენ არ გაქვთ ბანკის ნებართვა დისპოზიციურ კრედიტზე, თქვენ მოგიწევთ ჯარიმის გადახდა.

P ანგარიშის გახსნის პროცედურა საკმაოდ მარტივია. თქვენ ირჩევთ ბანკს, მიდიხართ იქ პასპორტით და ამბობთ, რომ გსურთ გახსნათ ჟიროანგარიში სხვა დანარჩენს გააკეთებს ბანკის თანამშრომელი. მაგრამ არის პატარა დაბრკოლება. თქვენ პასპორტში უნდა იყოს პატარა ჩანაწერი ცხოვრების უვადო უფლებაზე ან ვიზა-მინიმუმ ერთი წლით. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ შეძლებთ P ანგარიშის გახსნას მხოლოდ ამ ანგარიშზე ჩადებული თანხის ფარგლებში. განსაკუთრებული პრობლემა წარმოექმნება სოციალური დახმარების მიმღებებს. ბანკის შერჩევა მათთვის შეზღუდულია, უმეტეს შემთხვევაში ეს არიან Sparkasse ან Postbank. მითუმეტეს,

რომ შემნახველ სალაროს შეაქვს ბევრ ქალაქში დიდი შეზღუდვები მსგავსი კლიენტებისათვის. მაგალითად, „სოციალს“ შეუძლია მიიღოს ბარათი, რომლისგან ვერ მიიღებს ფულს ავტომატში (დამოკიდებულია ქალაქზე), ან ბანკი გახსნის ანგარიშს „auf Guthabenbasis“, ეს ნიშნავს, რომ შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ იმდენი ფული, რამდენიც არის თქვენს ანგარიშზე, „გადაწელვის“ შესაძლებლობა (დისპოზიციური კრედიტი) გამორიცხულია.

თუ თქვენ ცოლიანი (ან გათხოვილი) ხართ, ამ შემთხვევაში არის რამდენიმე შესაძლებლობა. ჯერ ერთი, ყოველივეს შეუძლია გახსნას ცალკე ანგარიში (უცნაური ოჯახური ურთიერთობები, მაგრამ არის, მაგალითად, ფიქტიური ქორწინება) ან თქვენ შეგიძლიათ გახსნათ ერთობლივი ანგარიში (ბარათებს მიიღებს ორივე). უკანასკნელი ვარიანტი ითვალისწინებს ორ შესაძლებლობას. ესენია:

- Unf-konto. ამ ვარიანტის დროს ყველა ოპერაცია შეგიძლიათ ჩაატაროთ მხოლოდ ერთად, ე.ი. გადარიცხვის ბლანკზე უნდა იყოს ორი ხელმოწერა;
- Oder-Konto. ეს ასევე ერთობლივი ანგარიშია, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი გამოყენება შეიძლება დამოუკიდებლად.

თუ თქვენ, მაგალითად, არ ენდობით თქვენს ნახევარს, თქვენ შეგიძლიათ მისცეთ მას მინდობილობა ანგარიშის გამოყენებისათვის, რომლის გაუქმება ყოველთვის შეგიძლიათ.

თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ მისცეთ მინდობილობა თქვენი ანგარიშიდან ფულის მოხსნაზე ნებისმიერ პირს ან ფირმას. მსგავსი მინდობილობა შეიძლება იყოს ერთჯერადი ან ხანგრძლივი. ასეთი სახე მოსახერხებელია გადასახადის გადახდისათვის, სატელეფონო ანგარიშებისათვის და კატალოგებით ან ინტერნეტით (ამ შემთხვევაში საკმაოდ სახიფათოა) შეძენილი საქონლისათვის.

თქვენი ანგარიშის მდგომარეობის შემოწმება შეგიძლიათ ნებისმიერ დროს, ამისათვის მოათავსებთ ბარათს. სპეციალურ ავტომატში ანგარიშიდან ამონაწერების მისაღებად. ამ მომსახურების ღირებულება განსხვავდება სხვადასხვა ბანკში, მაგრამ, როგორც წესი, ხუთი უფასო ამონაწერი შეგიძლიათ მიიღოთ თვეში ნებისმიერ ბანკში. ბოლო დროს შესაძლებელი გახდა აგრეთვე გადარიცხვების განხორციელება ავტომატების მეშვეობით, რაც მნიშვნელოვანი ეკონომიის საშუალებას იძლევა მომსახურების ამ სახეზე. მაგრამ ამისათვის თქვენ უნდა გქონდეთ ბარათი საიდუმლო ნომრით PIN, რაც „სოციალისათვის“ არ არის ყოველთვის რეალური. თუ თქვენ ფლობთ ამ ბარათს, თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ის მხოლოდ თქვენ ქალაქში (თუ თქვენ „სოციალი“ ხართ ან კლიენტი). „სოციალს“ ევრობარათის მიღების შანსი არ გააჩნია, ხოლო მომუშავეს ამ ბარათის

მიღება შეუძლია ანგარიშის გახსნიდან მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ბანკი დარწმუნდება თქვენს გადახდისუნარიანობაში.

საბანკო შესაკრები P ანგარიშის მომსახურებაზე მოიხსნება ბანკის მიერ ერთხელ კვარტალში ავტომატურად წინასწარი შეტყობინების გარეშე.

მზად იყავით იმისათვის, რომ მონაცემები თქვენი გადახდისუნარიანობის და შესაბამისად კრედიტუნარიანობის შესახებ ხელმისაწვდომი იქნება პრაქტიკულად ნებისმიერისათვის (მხედველობაში არ არის კონკრეტული თანხები თქვენ ანგარიშზე).

საქმე იმაშია, რომ ანგარიშის გახსნისას ხელშეკრულების ხელმოწერის დროს თქვენ იძლევით თანხმობას თქვენი მონაცემების გადაცემაზე კრედიტორების ინტერესების დაცვის საზოგადოებაში (Schufa) ამ დაწესებულებაში იკრიბება მთელი ინფორმაცია თქვენი ფინანსური ქცევის შესახებ. ნებისმიერი ბანკი ან მაღაზია, რომელსაც თქვენ თხოვთ კრედიტს პირველ რიგში მიმართავს Schufa ინფორმაციისათვის თქვენს შესახებ. იქვე მოხდება ინფორმაცია თქვენი კრედიტორისაგან იმის შესახებ, რომ თქვენ არ გინდათ (ღმერთმა დაგიცვათ) ან არ შეგიძლიათ გაისტუმროთ კრედიტი. „შავ სიაში" მოხვედრა ნიშნავს დიდი ხნით მცირე კრედიტის მიღების საშუალების დაკარგვასაც.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ქოქიაური ლ., საბანკო საქმის საფუძვლები. საბანკო საქმე. თბ., 2012
2. ბერიძე რ., საბანკო მენეჯმენტი „უნივერსალი", თბ., 2009
3. Кудэлл Д., Петерсон Р., Блэкуэлл Д. Финансовые инструменты, рынки и деньги. Пер. с англ. СПб.: «Питер», 2000
4. Ильина Е.Н., Стратегия и финансы. М., 2002
5. Tnvestment Danking: Institutions, Politics and Law by Alan D. Morrison and William S. Wit helm Hardcover, 2007

*გოგი ფოფხაძე*
*ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასისტენტ-პროფესორი*
*ნათელა კაკაურიძე*
*ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*მოწვეული მასწავლებელი*

# გერმანიის საბანკო სისტემის თავისებურებები

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია საბანკო საქმიანობის წარმოქმნა და ბანკების ფუნქციები. განსაკუთრეული ყურადღება გამახვილებულია გერმანიის საბანკო სისტემის თავისებურებებზე, მის განსხვავებებზე ევროპული ბანკებისაგან. პრაქტიკულად ნებისმიერი გერმანული ბანკი გთავაზობთ მომსახურების მთელ პაკეტს - P ანგარიშიდან ფასიან ქაღალდებთან ოპერაციებამდე, კრედიტებით მშენებლობასა და ყოველგვარ დაზღვევაზე. აღნიშნულია, რომ ძირითადი განსხვავება ბანკებს შორის მდგომარეობს ფასებში მომსახურებაა და სერვისის დონეში.

პირობითად, გერმანიის საბანკო სისტემა დაყოფილია ხუთ ჯგუფად. ნაშრომში მოცემულია ამ ჯგუფების ვრცელი დახასიათება. პირველ რიგში ეს ცენტრალური ფედერალური ბანკია Deutsche Bundesbank, ე.ი. გერმანული ფედერალური ბანკი. კერძო კლიენტებთან და ფირმებთან ეს ბანკი არ მუშაობს, ეს სახელმწიფო ბანკია. შემდეგ წარმოდგენილია ე.წ. „კერძო ბანკები" Privatbanken, შემნახველი სალაროები Sparkasse, კოოპერატიული ბანკები Genossenschaftsbanken და საფოსტო ბანკი Postbank.

ხაზგასმულია, რომ ბანკის შერჩევის დროს თქვენი მიზნების შესაბამისად უნდა მიაქციოთ ყურადღება სხვადასხვა ასპექტებს. ძალიან პრაქტიკულია ყავდეთ ბანკში „საკუთარი" ოპერატორი, რომელთანაც გექნებათ საკმაოდ თბილი ურთიერთობები. ასევე განხილულია ჟიროანგარიშის არსი, მისი დადებითი მხარეები და ნაკლი. განმარტებულია მისი გახსნის პროცედურა და შეზღუდვები, თქვენი ანგარიშის მდგომარეობის შემოწმების შესაძლებლობა.

***Гоги Попхадзе***
*Государственный университет А. Церетели,*
*ассистент-профессор,*
***Натела Какауридзе***
*Государственный университет А. Церетели,*
*приглашенный преподаватель*

## ОСОБЕННОСТИ БАНКОВСКОЙ СИСТЕМЫ ГЕРМАНИИ

**Аннотация**

В труде рассмотрено возникновение банковской деятельности и функции банков. Особое внимание уделено особенностям банковской системы Германии, ее отличиям от европейских банков.

Практически любой банк Германии предлагает целый пакет обслуживания – начиная с Р счета до операций с ценными бумагами, кредитами на строительство и различное страхование. Отмечено, что основное различие между банками состоит в ценах на обслуживание и уровни сервиса. Условно банковская система Германии разделена на пять групп. В работе дана полная характеристика этих групп. В первую очередь это центральный федеральный банк Deutsche Bundesbank, т.е. федеральный банк Германии. С частными клиентами и фирами этот банк не работает, это государственный банк. Затем представлены, т.н. «частные банки» Privatbanken, сберегательные кассы Sparkasse, кооперативные банки Genossenschaftsbanken и почтовый банк Postbank. Подчеркнуто, что при выборе банка согласно вашим целям необходимо обратить внимание на различные аспекты. Очень практично иметь в банке «собственный» бератон, с которым будете иметь достаточно теплые отношения. Также рассмотрена сущность жиросчета, его положительные стороны и недостатки. Пояснена процедура его открытия и ограничения, возможность проверки состояния счета.

***Gogi Popxadze***
*Akaki Tsereteli State University,*
*Doctor of Economics, Assistant Professor,*
***Natela Kakauridze***
*Akaki Tsereteli State University, Invited Specialist*

## FEATURES OF BANK SYSTEM OF GERMANY

**Annotation**

In work the occurrence of bank activity and functions of banks is considered. The special attention is given to features of bank system of Germany, its(her) differences from the European banks.

Practically any bank of Germany offers the whole package of service - since Đ of the bill before operations with valuable papers, credits for construction and various insurance. Is marked, that the basic distinction between banks consists in the prices for service and levels of service. The conditionally bank system of Germany is divided (shared) into five groups. In job the complete characteristic of these groups is given. First of all it is the central federal bank Deutsche Bundesbank, i.e. federal bank of Germany. With the private(individual) clients and  firms this bank does not work, it is state bank. Then the private(individual) banks" Privatbanken, savings cash departments Sparkasse, cooperative banks Genossenschaftsbanken and post bank Postbank are submitted, so-called ". Is underlined, that at a choice of bank according to your purposes it is necessary to pay attention to various aspects. Is very practical to have in bank "own" beratone, with which will have the warm enough attitudes (relations). Essence jiroaccount, his (its) positive parties and lacks also is considered. The procedure of his (its) opening and restrictions, opportunity of check of a condition of the bill is explained.

## ტურიზმის ეკონომიკა

*ნანა შარაბიძე*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ასოცირებული პროფესორი*

# ტურისტულ საწარმოთა ინოვაციური პოლიტიკის თავისებურებები

თანამედროვე ტურისტული სამეწარმეო ბიზნეს გარემო საკმაოდ მაღალი კონკურენციით გამოირჩევა. ტურისტულ ბაზარზე მრავლადაა წარმოდგენილი როგორც მდიდარი ტრადიციებისა და გამოცდილების მქონე სოლიდური ფირმები, ასევე ახალი, ორიგინალური და ეგზოტიკური საწარმოებიც. თითოეული მათგანის მიზანია საკუთარი კლიენტების რაოდენობის გაზრდა სხვა ფირმების კლიენტების გადაბირების ან ჯერ კიდევ ამ სფეროთი დაუინტერესებელი მომხმარებლის მოზიდვის ხარჯზე. ამიტომ, ტურიზმის სფეროში საკუთარი მყარი ადგილის დამკვიდრებისა და წარმატების მიღწევისათვის აუცილებელია გონივრული ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რაც მუდმივად სიახლეების ძიებასა და საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებისადმი ინოვაციური და კრეატიული მიდგომების შემუშავებასა და ეფექტური ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს.

მომსახურებით ვაჭრობის გენერალური ხელშეკრულების დებულებებზე დაყრდნობით ტურისტულ სფეროში ინოვაციური საქმიანობა სამი მიმართულებით ვითარდება. ესენია ორგანიზაციული, მარკეტინგული და პერიოდული სასაქონლო ინოვაციები (სქემა 1). ამასთან, ინოვაციური საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მჭიდრო მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია ერთმანეთთან - განსაზღვრავენ და იმავდროულად განაპირობებენ თითოეული მიმართულების განვითარების სტრატეგიასა და შესაძლებლობას.

ორგანიზაციული ინოვაციები ტურისტული საწარმოს საქმიანობაში ეფექტური და წარმატებული მენეჯმენტის ჩამოყალიბებას უკავშირდება და ისეთ საკითხებს გულისხმობს, როგორიცაა საწარმოსა და ტურისტული ბიზნესის მართვის სისტემისა და სტრუქტურის განვითარება, გააზრებული საკადრო პოლიტიკა, რაციონალური ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობა.




**სქემა 1. ინოვაციური საქმიანობა ტურისტულ სფეროში**

საწარმოსა და ტურისტული ბიზნესის მართვის სისტემისა და სტრუქტურის განვითარება შეიძლება მოიცავდეს რეორგანიზაციას, გამსხვილებას, უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ან ეფექტური მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელების საფუძველზე კონკურენტი სუბიექტების შთანთქმას. ბიზნესის მართვის სისტემისა და სტრუქტურის განვითარების და ძირეული ცვლილების ღონისძიებების გატარება და კონკურენტი სუბიექტების შთანთქმა უპირატესად ძლიერი და გამოცდილი ფირმების შესაძლებლობაა. თუმცაღა, გარკვეული სახის სტრუქტურული ცვლილებები, რაც მიზნად ისახავს ეფექტურ და ოპტიმალურ საქმიანობას (ფუნქციონალური სისტემის ან ტერიტორიული მართვის სრულყოფასთან დაკავშირებული ცვლილებები), ნებისმიერ საწარმოშია შესაძლებელი და მათი განხორციელებისათვის მხოლოდ კარგად გააზრებული და ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმაა საჭირო. ყველა თანამედროვე საწარმოსათვის და მათ შორის ტურისტილი ფირმებისთვისაც აუცილებელია ისეთი სწრაფად განვითარებადი და ცვლადი რეალობის გათვალისწინება და პრაქტიკაში დანერგვა, როგორიცაა უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება. დღეისათვის, უაღრესად მაღალი კონკურენციის პირობებში, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია წარმატების მიღწევა და შენარჩუნება. სტაბილური და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ტურისტული საწარმოები ვალდებულნი არიან თავიანთ საქმიანობაში დანერგონ და გამოიყენონ ტურისტული მომსახურების დაჯავშნის გლობალური სისტემების Galileo, Amadeus, World span შესაძლებლობები და უპირატესობები; საკუთარ კონკრეტულ ამოცნებთან მიმართებაში გააანალიზონ სოციალურ-კულ-

ტურული სერვისისა და ტურიზმის სფეროში ინტერნეტის, ელექტრონული კომერციისა და მულტიმედიური ტექნოლოგიების შესაძლებლობები და პერსპექტივები; გაეცნონ და პრაქტიკაში გამოიყენონ სასტუმროების, რესტორნების, სასაწყობო მეურნეობის აღრიცხვიანობის, მგზავრთა გადაყვანის და ა.შ. საქმიანობის კომპლექსური ავტომატიზირებული სისტემები (მაგალითად, FIDELIO).

მართვის სისტემისა და სტრუქტურის განვითარების ზემოთ ჩამოთვლილი ინოვაციური ღონისძიებები მჭიდროდ უკავშირდება ორგანიზაციული მუშაობის ისეთ მნიშვნელოვან მხარეს, როგორიცაა საკადრო პოლიტიკა. მომზადებული, კვალიფიცირებული და მოტივირებული პერსონალი დიდწილად განაპირობებს ტურისტული საწარმოს წარმატებას. ამიტომ, სიახლეების დანერგვა და განხორციელება აუცილებლად მოითხოვს სწორ, გონივრულ და მიზანმიმართულ საკადრო პოლიტიკას, რაც გულისხმობს ისეთი ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა საკადრო შემადგენლობის პერიოდული გაახლება და შეცვლა, კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემუშავება, თანამშრომელთა გადამზადებისა და სტიმულირების ორგანიზება.

ბიზნესის მართვის სისტემისა და სტრუქტურის განვითარება, უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვა და ეფექტური საკადრო პოლიტიკა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ფირმის რაციონალურ ეკონომიკურ და წარმატებულ ფინანსურ საქმიანობას. კვალიფიცირებული კადრები და თანამედროვე ტექნოლოგიები ფირმის საქმიანობაში აღრიცხვისა და ანგარიშგების თანამედროვე ფორმების დანერგვის საშუალებას იძლევა, რაც უზრუნველყოფს საწარმოს სტაბილურობასა და განვითარებას.

ტურისტული საწარმოს საქმიანობაში ორგანიზაციული ინოვაციური ღონისძიებების გატარების შედეგად შესაძლებელია ბიზნესის მართვის სისტემისა და სტრუქტურის, საკადრო შემადგენლობის, ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის ისეთი ცვლილებები, რომლებიც თავის მხრივ, განაპირობებენ მარკეტინგული ინოვაციების საფუძველზე ახალი მარკეტინგული პოლიტიკის შემუშავებას და სასაქონლო ინოვაციების შესაძლებლობას.

მარკეტინგული ინოვაციები საწარმოს ინოვაციური პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც მიზნად ისახავს ტრადიციული მომხმარებლების მოთხოვნილებების სრულად მოცვასა და გათვალისწინებას, ასევე ახალი მიზნობრივი აუდიტორიიდან იმ კლიენტების მოზიდვას, რომლებიც მოცემული დროისათვის ჯერ კიდევ არ დაინტერესებულან კონკრეტული ფირმის შეთავაზებებით. ამდენად, ფირმის სტრატეგიიდან გამომდინარე, საჭიროა კრეატიული და ორიგინალური მარკეტინგული გეგმის შემუშავება და განხორციელება, რომელიც თავის მხრივ, ეფუძნება

და განპირობებულია ორგანიზაციული ინოვაციური პოლიტიკით. მარკეტინგული ინოვაციები, თავის მხრივ, განაპირობებენ ორგანიზაციულ ინოვაციებს, რაც უკავშირდება ახალი ტექნოლოგიებისა და საშუალებების დანერგვას და კადრების კვალიფიკაციის სრულყოფას, ასევე ახალი პროდუქციისადმი მომხმარებელთა ინტერესის გაჩენასა და ზრდას.

პერიოდული სასაქონლო ინოვაციები მიმართულია ახალი, ორიგინალური და მიმზიდველი ტურისტული პროდუქტების შექმნაზე, არსებული ტურისტული პროდუქტის სამომხმარებლო თვისებების ცვლილებაზე, მის წარმოჩენასა და კონკურენტული უპირატესობების მიღებაზე. სასაქონლო ინოვაციები ეს ის მიმართულებაა, სადაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პერსონალის პროფესიონალიზმი, მათი ფანტაზია, კრეატიულობა და ორიგინალური აზროვნება. აღნიშნული მიმართულება პერსპექტიული და მნიშვნელოვანია ჩვენს სინამდვილეში, ვინაიდან მოქმედების ფართო შესაძლებლობას უქმნის ტურისტულ ფირმებს. კერძოდ, შესაძლებელია არა მხოლოდ ტრადიციული ტურების (საკურორტო, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, ეკო ტური, შემეცნებითი ტური, აგრო ტური, გასართობი სპორტული, აქტიური, ექსტრემალური) შექმნა და ორგანიზება, არამედ კომპლექსური ტურების მოწყობაც. ასე მაგალითად, საკურორტო-გამაჯანსაღებელ ტურებში შესაძლებელია ისტორიული და რელიგიური ტურების ჩართვა, სპორტულ-გასართობ ან ექსტრემალურ ტურში შემეცნებითი კომპონენტის დამატება და ა.შ. ამისათვის კი საჭიროა ორგანიზაციული ინოვაციური პოლიტიკის სწორად და წარმატებულად განხორციელება, რაც უპირველეს ყოვლისა, სათანადოდ მომზადებულ პერსონალისა და აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით არჭურვას გულისხმობს. ამასთან, სასაქონლო ინოვაციები მარკეტინგული ინოვაციების საფუძველზე ახალი მარკეტინგული ღონისძიებების შემუშავების აუცილებლობასაც წარმოშობს.

ამრიგად, ტურიზმის სფეროში ინოვაციური საქმიანობა ახალი პროდუქციის შექმნას, ან არსებულის ცვლილებას, სატრანსპორტო, სასტუმრო და სხვა მომსახურებების სრულყოფას, ახალი ბაზრების ათვისებას, მოწინავე საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ორგანიზაციულ-მმართველობითი საქმიანობის თანამედროვე ფორმების დანერგვას უკავშირდება. ამასთან, ინოვაციური საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მჭიდრო მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია ერთმანეთთან – განსაზღვრავენ და იმავდროულად განაპირობებენ თითოეული მიმართულების განვითარების სტრატეგიასა და შესაძლებლობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Новиков В.С. Инновации в туризме DOC. Издательство: Академия. 2007г.
2. Чудновский А.Д. Информационные технологии управления в туризме. КноРу. 2011
3. Веткин А. Технология создания туристского продукта: Учебное пособие. – М.: ГроссМедиа: РОСБУХ, 2008.



*ნანა შარაბიძე*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*ასოცირებული პროფესორი*


## ტურისტულ საწარმოთა ინოვაციური პოლიტიკის თავისებურებები


ანოტაცია

ტურიზმის სფეროში სტაბილური ადგილის დამკვიდრებისა და წარმატების მიღწევისათვის აუცილებელია გონივრული ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რაც მუდმივად სიახლეების ძიებასა და საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებისადმი ინოვაციური და კრეატიული მიდგომების შემუშავებასა და ეფექტური ღონისძიებების განხორციელებას გულისხმობს. ტურისტულ სფეროში ინოვაციური საქმიანობა სამი მიმართულებით ვითარდება. ესენია ორგანიზაციული, მარკეტინგული და პერიოდული სასაქონლო ინოვაციები, რაც გულისხმობს ახალი პროდუქციის შექმნას, ან არსებულის ცვლილებას, სატრანსპორტო, სასტუმრო და სხვა მომსახურებების სრულყოფას, ახალი ბაზრების ათვისებას, ახალი საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ორგანიზაციულ-მმართველობითი საქმიანობის თანამედროვე ფორმების დანერგვას. ამასთან, ინოვაციური საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მჭიდრო მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია ერთმანეთთან- განსაზღვრავენ და იმავდროულად განაპირობებენ თითოეული მიმართულების განვითარების სტრატეგიასა და შესაძლებლობას.

***Нана Шарабидзе***

*Ассоц. проф. Государственного Университета А.Церетели*

**ОСОБЕННОСТИ ИННОВАЦИОННОЙ ПОЛИТИКИ ТУРИСТИЧЕСКОГО ПРЕДПРИЯТИЯ**

**Аннотация**

Для приобретения стабильного места и достижения успеха в сфере туризма необходимо развитие и внедрение рациональной инновационной политики, что подразумевает непрерывный поиск новизны, разработку инновационных и творческих подходов и осуществление эффективных мероприятий для различных аспектов деятельности. Инновационная деятельность в туристической сфере осуществляется в трех направлениях. Это - организационные, маркетинговые и периодические товарные инновации, которые предусматривают создание новых или изменение существующих продуктов; улучшение транспортных, гостиничных и других услуг; освоение новых рынков; внедрение информационных и телекоммуникационных технологий и новых современных форм организационно-административной деятельности. При этом главные направления инновационной деятельности находятся в причинно- следственном отношений и определяют стратегию и возможность развития каждого направления.

***Nana Sharabidze***

*Acc.professor of Akaki Tsereteli State University*

**FEATURES OF INNOVATIVE POLICY OF THE TOURIST ENTERPRISE**

**Annotation**

Development and implementation of rational innovative policy is necessary for acquisition of a stable place and achievement of success in the tourism sphere. Continuous search of innovations and development of innovative and creative approaches and implementation of effective actions for various aspects of activity is meant. Innovative activity in the tourist sphere is carried out in three directions. It is organizational, marketing and periodic commodity innovations. Development new or change of existing products, improvement transport, hotel and other services, development of the new markets, information and telecommunication technologies and new modern forms of organizational and administrative activity is meant. Thus, the main directions of innovative activity are in causal - investigative relations and define strategy and opportunity a development of each direction.

## ფინანსები

*თინათინ ქურდაძე*
*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

# შიდა ინვესტიციების მოზიდვის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხისათვის

საქართველოში ჩამოყალიბდა სრულიად ახალი ეკონომიკური გარემო, ამიტომაც შიდა საინვესტიციოო კლიმატის პრობლემა ძალზედ აქტუალურია. უნდა შეიცვალოს სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკონომიკისადმი, მცირე და საშუალო ბიზნესისადმი, ფისკალური და საინვესტიციო გარემოსადმი, რომელიც თანდათან თავისუფლდება სახელმწიფოს მარწუხებისაგან, ქვეყანაში გასულ წლებში გაბატონებული ელიტარული კორუფციისაგან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკაში კოჰაბიტაციის პროცესმა, საპრეზიდენტო არჩევნებმა და სხვადასხვა საკადრო ცვლილებებმა უარყოფითად იმოქმედა და გარკვეულწილად შეაფერხა კიდეც ეკონომიკური წინსვლა ყველა მიმართულებით. მართალია, შეუძლებელია დროის ასე მოკლე მონაკვეთში, მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლების მყისიერად დაფიქსირება. მაგრამ ეს რეალობა დროებითია, რადგან ბევრი სიკეთე მაინც სახეზეა. საქართველოში გასული წლის 1 ოქტომბრიდან დაწყებულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა განაპირობა რადიკალურად განსხვავებულ მაჩვენებლებზე გასვლა, ანუ ეკონომიკური დაღმასვლა, საგარეო და შიდა ინვესტიციების შემცირება და ა. შ. ყოველივე ეს მომავალში ხანგრძლივ წარმატებულ პერსპექტივაზეა გათვლილი. ამიტომ აქტიურად მოქმედ პოლიტიკოსთა, მეცნიერ-ეკონომისტთა და ექსპერტთა პირდაპირი მოვალეობაა შეიმუშაონ და შემოგვთავაზონ ისეთი წინადადებები და პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელიც შეუმსუბუქებს მთავრობის ეკონომიკურ გუნდს ამ მძიმე ტვირთს, რასაც ამ შემთხვევაში შიდა ინვესტიცირების მოზიდვის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხი წარმოადგენს.

ინვესტირების ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ საგარეო და შიდა ინვესტირება წარმოადგენს ამა თუ იმ ფინანსური პროექტით დაინტერესების საფუძველს. ამას ადასტურებს ინვესტირების კეინსიანური თეორია, რომელსაც საფუძვლად უდევს მოტივაცია – მოგების მიღება, იგი დაფუძნებულია მეწარმეთა ფსიქოლოგიაზე. დებენ რა ინვესტიციებს მეწარმეები, მოელიან მაღალ შემოსავლებს. ამასთან მოსალოდნელი მოგება არაა აუცილებელი ემთხვეოდეს მიმდინარე მოგებას. მიმდინარე მოგებაზე დანამატი შეიძლება დაბალი იყოს, მაგრამ მეწარმეებმა შეიძლება მაინც მოახდინონ კაპიტალში ინვესტირება, რათა შეამცირონ თავიანთი საწარმოო დანახარჯი და ამით

გააუმჯობესონ საწარმოო პოზიციები. მრიგად, როგორც კეინსიანური სკოლის წარმომადგენლები თვლიან, ინვესტირების გადაწყვეტილება ეფუძნება მეწარმეთა შეფასებას, რომ რაიმე განსაზღვრული საინვესტიციო პროექტის განხორციელების შედეგად გაიზრდება მოსალოდნელი მოგება. ერთ-ერთი ყველაზე მოკლე და ლაკონური განმარტებაა, რომ ინვესტირება ესაა – „დავხარჯოთ ფული დღეს, რომ მომავალში მივიღოთ უფრო მეტი თანხა" და რომ ამ პროცესს ჩვეულებრივ, როგორც ვიცით, თან ახლავს ორი ფაქტორი - დრო და რისკი. ამ ორიდან დრო - ფულია ანუ ფინანსები, ხოლო რისკი არის პოზიცია ინვესტორისა დროსა და სივრცეში. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ ყველა პროექტი დროს მოითხოვს, ამიტომ ქართული სივრცე, ანუ რეალობა ხანგრძლივ პერსპექტივაზეა გათვლილი და მომავალი წლის მეორე ნახევრიდან უფრო თვალსაჩინო იქნება, მთავარია, რისკის ალბათობა იყოს რაც შეიძლება დაბალი.

ყოველივე ამის შესახებ საუბრობენ პარლამენტის შესაბამისი კომიტეტის თავჯდომარე, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრები და წერენ: მოხდება ხარჯების გადანაწილება დარგებს შორის, განახლდება წინა ხელისუფლების მიერ დაწყებული ტენდერების, რომლებიც დროებით შეჩერებულ იქნა კორუფციული გარიგებების გამო, რასაც გულმოდგინედ სწავლობს ფინაანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი. მსოფლიოს განვითარების ბანკის ინფორმაციითა და პროგნოზით, იზრდება ნდობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, მშპ მხოლოდ 1%-ით იზრდება, 30 მილიონზე მეტი ინვესტიცია შემოვა, მომავალი 2014 წლის პირველ ნახევარში წინა წელთან შედარებით. ინფორმაცია მსოფლიოს რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა, რომ ეკონომიკური ზრდის ტენდენცია 2013 წლის ბოლოსათვის 3-დან 2%-მდე შემცირდებოდა, უკვე სახეზეა და მწვავე განხილვის საგანი გახდა პარლამენტში, რა თქმა უნდა, ეს უარყოფითი სალდო და დიდი საშინაო ვალის აღების აუცილებლობა, პირდაპირ ამცირებს შიდა ინვესტირებას და მოსახლეობის გადასახდელი იქნება, ხარჯების შემცირების და გადასახადების ზრდის ხარჯზე. ასე რომ, პროგნოზები ჯერჯერობით არც ისე საიმედოა და არასტაბილურობის განცდას იწვევს მომავალში. სამაგიეროდ ცნობილია, რომ - 2014 წლის ბიუჯეტი დაგეგმილია 9 მილიარდით, შესრულება კი 8 მილიარდით. სწორედ შიდა ინვესტიციების მოზიდვის ეკონომიკური ეფექტიანობა იქნება საფუძველი ამ სხვაობის მინიმუმამდე დაყვანისა და მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდისა, რომელსაც სახელმწიფო თავისი აღმშენებლობის პირველ ეტაპზე ირჩევს. ამ შემთხვევაში ინვესტორი განსაზღვრავს როგორც მიზნებს, ისე საინვესტიციო სახსრების მოცულობასაც. რამდენადაც რაციონალური ინვესტიციური სტრატეგიისათვის არსებობს პირდაპირი კავშირი რისკსა და შემოსავლებს შორის, ამიტომ კონკრეტულ

სიტუაციაში დიდი მოგების მიღების სურვილმა შეიძლება განსაზღვრული ალბათობით მიგვიყვანოს ისევ დიდ დანაკარგებამდე, რაზეც ქვეყნის მთელი ეკონომიკური გუნდის პროფესიონალურმა ეკონომიკურმა გუნდმა დიდი ძალისხმევთ უნდა იმუშაოს.

ამიტომაც წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, ინვესტორების მიზნები უნდა ფორმირდებოდეს როგორც შემოსავლების, ისე რისკის გათვალიწინებითაც. ავიღოთ, თუნდაც უმუშევრობა, მას საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს საქართველოში და სტატისტიკური დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, - 2003 წლიდან დღემდე დაახლოებით 150 ათას კაცზე მეტმა დაკარგა სამსახური, რეალურად თუ შევხედავთ სიტუაციას, ხელფასს იღებს მოსახლეობის მხოლოდ 30-35%, დანარჩენი კი თვითდასაქმებულია, ან უმუშევარი. სწორედ ამისთვისაა საჭირო ინვესტიციების დაბანდება (განსაკუთრებით ქვეყნის შიგნით), ახალი ფაბრიკა- ქარხნების ამოქმედება, დიდი თანხების გამოყოფა სოფლის მეურნეობის მიმართულებით და ა.შ., რადგანაც დღეისათვის ის ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგანაც სამუშაო ძალის 53% სწორედ სოფლადაა დასაქმებული. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყველაზე დიდი თანხები ამიტომ სოფლის მეურნეობაზეა გამოყოფილი. დაახლოებით 50%-ით მეტი თანხაა დახარჯული სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმდინარე წლის პირველ ნახევარში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით სახეზეა ეკონომიკური ვარდნა და შესაბამისად ცხოვრების დონეც დაბალია. ეს დროებითი მოვლენაა, ბიზნესს გაუჩნდა იმედი, რომ პოლიტიკური ვითარება იქნება სტაბილური და ინვესტიციების ახალი ნაკადი წამოვა. ესაა თანაინვესტირების ახალი პროექტის პრეზენტაცია და ევროკავშირის მიერ ჩატარებული ეკონომიკური ფორუმი.

ამასთან, ეკონომიკური სტაბილურობის მთავარ პირობას წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის არაინფლაციური ხასიათი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდის პრობლემა (საგადასახადო შემოსავლები). პირველად 1995 წლის 30 ივნისს მიღებულ იქნა „საქართველოს კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ", რომელიც ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებდა უცხოელ ინვესტორებს და არ ითვალისწინებდა და სამწუხაროდ, უგულებელყოფდა ინვესტორთა ინტერესებს უცხოელ ინვესტორებთან შედარებით. მეორე პრობლემა ის იყო, რომ საგადასახადო შეღავათები ენიჭებოდათ ისეთ საწარმოებს, რომლებიც მხოლოდ ვაჭრობით იყვნენ დაკავებულნი. აღნიშნულიდან გამომდინარე, 1996 წლის 12 ნოემბერს მიღებულ იქნა „საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ". ამ კანონით პრიორიტეტი მიენიჭა ეროვნულ შიდა ინვესტირებას და იგი გახდა ასევე ხელსაყრელი უცხოური ანუ საგარეო ინვესტირებისათვის, რადგან მათ შორის არის ძალიან მჭიდრო კავშირი და

ერთის წარმატება გარანტია მეორის განვითარებისთვისაც. ცნობილია, რომ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტაბილურ მაკროეკონომიკურ გარემოს, რადგანაც იგი წარმატებული სამეწარმეო საქმიანობისა აუცილებელი პირობაა.

ამჟამად მოქმედი ლიბერალური საგადასახადო კოდექსის საუძველზე, პირველ რიგში, საჭიროა საგადასახადო ცვლილებების აპრობაცია სამეწარმეო სფეროში და რა თქმა უნდა, მეწარმის აზრის გათვალისწინებით, მაშასადამე, საინვესტიციო სფეროდან სახელმწიფოს ფაქტობრივი გასვლა, რაც ამჟამად საქართველოში აღინიშნება, უფრო იძულებითია, ვიდრე სასურველი მოვლენა. შიდა ინვესტირების გამოცოცხლებისთვის ძალიან საგულისხმოა ზემოთ აღნიშნული და ასევე პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომ უახლოეს მომავალში იწყება დიდი ხნის წინ დაპირებული თანაინვესტირების ფონდის საჯარო პრეზენტაცია. ფონდში მობილიზებული კაპიტალი 56 მილიარდი ლარი თანაინვესტირებას გაუწევს ქართველ და უცხოელ ინვესტორებს. ფონდისთვის უმნიშვნელოვანესი მიმართულებები კი იქნება - ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, წარმოება და ლოჯისტიკა. ფონდის მესვეურები ამბობენ, რომ კერძო, პირდაპირი ინვესტიციების ფონდი დასავლური პრაქტიკისა და სტანდარტების გათვალისწინებით განხორციელდება. ფონდში პროექტები უკვე განიხილება. მათგან ექვსი ჰესია, ორი სასტუმრო, ერთი სოფლის მეურნეობის და წარმოების პროექტი. მათი ჯამური ღირებულება 5500-დან 5600 მილიონამდეა, ცნობილია ისიც, რომ თანადაფინანსება 25%-დან 75%-მდე იქნება. თუმცა შესაძლებელია ფონდმა თავადაც დაიწყოს პროექტის განხორციელება და თანაინვესტორი შემდეგ ეტაპზე მოიძიოს. სახსრების მოზიდვის სხვა გავრცელებულ ფორმას სახელმწიფო საშინაო ვალის შექმნა, რომელიც იქნება 400 მილიონი დოლარი, ხოლო მისი გასტუმრება მოხდება მომავალი წლის პირველ ნახევარში 600 მილიონი ლარის ოდენობით. სახელმწიფო სავალო ვალდებულებების გამოშვება ფართოდ გამოიყენება მსოფლიოში ბიუჯეტის შევსების, თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირებას, აგრეთვე კონკრეტული საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების მიზნით. ესაა ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც ჯერჯერობით არაპოპულარულია თუნდაც სახელმწიფოს ვალდებულებათა ობლიგაციების გამოშვების სახით. თუმცა ამის შესახებ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი მთავრობას არ ურჩევს არც სეკვესტრს და არც ვალის აღებას, არამედ მათი რჩევაა გადაიხედოს ხარჯები. ძნელია არ დაეთანხმო, თუცა ყველაფერს ორი მხარე აქვს - დადებითი და უარყოფითი, ამიტომ ესეც სადაოა.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა პირდაპირ კავშირშია მშპ-თან, როცა მისი წინასწარ 6%-იანი ზრდის ნაცვლად, 2013 წელს იგი შემცირდა გათვალისწინებული 6%-დან 2,%-მდე, ეს ნიშნავს იმას, რომ ბიზნესის აქტივობა და ინვესტიციების განთავსება შემცირდება და დღგ

იმდენი ვეღარ ამოვა, რაც დაგეგმილი იყო. ამიტომ სრულიად ლოგიკურია, რომ წელს ბიუჯეტის შემოსავლებში გარღვევა 800 მილიონია. ამჟამად დღის წესრიგშია თავისუფალი ვაჭრობის განვითარების პერსპექტივები, ეს ფორუმი თბილისში ჩატარდა ევროკავშირის დაფინანსებით და აღმოსავლეთ ევროპის ინიციატივით, სადაც განიხილეს ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების და ასევე საინვესტიციო პოტენციალის გაუმჯობესების საკითხები ბიზნესისა და ბიზნესმენებისათვის, ენერგეტიკას, სოფლის მეურნეობას, ტურიზმსა და სხვა დარგებში. აქვე ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთთან ჩვენი ეკონომიკური კავშირების აღდგენის საკითხიც, როგორც ყველაზე უახლოესი და ეკონომიკურად პერსპექტიული მეზობლისა. გარდა ამისა, ძალიან შემაშფოთებელია ისიც, რომ მონაცემები ეკონომიკური მაჩვენებლების შესახებ სრულიად განსხვავებულია. ეკონომიკური სტაბილურობის რეალურ სურათს ამძიმებს მერყევი ციფრობრივი მონაცემები, ყველა დონეზე განსხვავებული ინფორმაცია, სადაც ყველას თავის სიმართლე აქვს, რაც არასახარბიელო გარემოს ქმნის ინვესტორებისათვის როგორც შინ, ისე გარეთ.

ინვესტირების პროცესი, ეს ეტაპი მთავრდება ძირითად პორტფელში ჩართვისას, საჭირო ფინანსური აქტივების პოტენციალური სახეების არჩევით. არჩევანის გაკეთებისას სხვა მოსაზრებებთან ერთად გასათვალისწინებელია ინვესტირების მიზანი, ინვესტირებული სახსრების მოცულობა და ინვესტორის, როგორც გადასახადების გადამხდელის სტატუსი. ყოველივე ამის გათვალისწინებით მოხდება გარკვეული ცვლილებების შეტანა საგადასახადო კოდექსში, მაგრამ რადგანაც 2014 წლიდან ცხადდება სამწლიანი მონოტორიუმი საგადასახადო ცვლილებებზე, ამ ვადაში არაფერი არ შეიცვლება, თუ რამის შეცვლას დააპირებენ, უნდა მივიდნენ მეწარმესთან და აუხსნან, ყველაფერი წინასწარ შეათანხმონ, სტაბილურობის განცდა ბიზნესისათვის აუცილებელი პირობაა. ეს ცვლილებები მთელი სისრულით ამოქმედდება 2017 წლიდან. ესაა საგადასახადო კოდის შემოღება, დოკუმენტაციის შესწავლის ხანდაზმულობის 6-დან 3-წლამდე შემცირება, და ბიუჯეტის კანონზე განმარტებები ფინანსთა მინისტრის ნაცვლად პარლამენტზე გადამისამართდება, მისი განხილვისას და ა. შ. ეს კიდევ ერთი ნაბიჯია ლიბერალიური ეკონომიკური და საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად, მაგრამ აქ ჩნდება საშიშროება იმისა, რომ ამან არ დააკნინოს ფინანსთა მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი ქვეყნისა და მთავრობის წინაშე. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ლიბერალურ მიდგომებს შიდა ინვესტირებისას. მაგალითად, ასეთ დროს აზრი აქვს პრივილეგირებული აქციების არჩევას, იმ ინვესტორებისათვის, რომლებსაც აქვთ საგადასახადო შეღავათები.

ინვესტორები, რომლებიც ავსებენ ეროვნული მეურნეობის იმ თავისუფალ სივრცეს, რომელსაც სხვადასხვა მიზეზით ვერ უზრუნველყოფს

ეროვნული კაპიტალი, უკანასკნელთან მიმართებაში, წარმოადგენენ „დამატებითს". დამატებითი უცხოური ინვესტიციები შესაძლებელია ადგილობრივი კაპიტალის დაგროვების სიჭარბის პირობებშიც, თუ ისინი გადალახავენ რომელიმე დარგში შეღწევის ბარიერს. აქ საგულისხმოა მსოფლიოს ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები, სადაც საქართველო ბიზნესის კეთებით მე-8 ადგილზეა, განვითარებად ქვეყნებს შორის, ეს მეტყველებს იმაზე, რომ საინვესტიციო გარემო ჯერ კიდევ არაა მთლად სახარბიელო მდგომარეობაში, თუმცა ზოგიერთ დარში ეს მაჩვენებელი წარმატებულადაც შეიძლება ჩაითვალოს. ყველაფერს დრო უნდა, ახალი ხელისუფლების სწორი მიდგომები კი ამის გარანტია და ის, რაც ადგილობრივი ანუ შიდა ინვესტიციების ქვეშ იგულისხმება ასევე სახელმწიფოს, ინსტიტუციონალური და კერძო ინვესტორთა ფინანსური რესურსების სახით, ხელსაყრელი პირობების არსებობის შემთხვევაში შეიძლება ჩაბმული იყოს საინვესტიციო პროცესში, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების კუთხით.

ზოგადად სახელმწიფო ინვესტიციების არეალი საკმაოდ ფართოა, ის დამოკიდებულია როგორც სახელმწიფო საკუთრების მასშტაბებზე, ისე განვითარების პრიორიტეტულ ამოცანებზე. განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში სახელმწიფოს წილი ინვესტიციათა საერთო მოცულობაში 10-20%-ს შეადგენს. განვითარებად ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს წილი ტრადიციულად უფრო მნიშვნელოვანია, სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებებში საერთო ინვესტიციების 40-60%-ია, ხოლო ზოგიერთ დარგებში (ნავთობის მოპოვება და გადამუშავება, ელექტროენერგიის წარმოებები და სხვა) 100%-მდე შეადგენს. საინვესტიციო პროცესში სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობის დროს არანაკლებ მნიშვნელოვანია რესურსების გამოყენების ეფექტურობის საკითხი. რადგანაც, ცნობილია, რომ მშპ-ს გაანგარიშება ხდება სამი მეთოდით: წარმოების, შემოსავლების და საბოლოო მოხმარების მეთოდებით. ყველა ეს მეთოდი სწორედ შიდა ინვესტირების გაძლიერებას ემსახურება, ამიტომ ბიუჯეტის ასიგნებები 9,009 მილიარდია. პროექტის მიხედვით ვალდებულებების კლება 600 მლნ ლარს შეადგენს, საიდანაც 508, 2 მლნ საგარეო, ხოლო 76,1 მლნ-საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვას მოხმარდება. ბიუჯეტის საპარლამენტო კომიტეტებში განიხილება მთავრობის ის პრიორიტეტები, როგორებიცაა: ჯანდაცვა, განათლება და სოფლის მეურნეობა. ჯანდაცვის დაფინანსება პროექტით 2,7 მილიარდი ლარი, სოფლის მეურნეობა - 290 მილიონი ლარი და ა. შ. სახელმწიფო ფინანსური რესურსების დაქსაქსვის და არამიზნობრივი გამოყენების საშიშროების არსებობის გამო მიზანშეწონილია, ინვესტირება მოხდეს კონკრეტული, მკვეთრად განსაზღვრული პროექტების დასაფინანსებლად.

სახელმწიფო ინვესტიციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტია განათლების სისტემა, სადაც უკანასკნელ პერიოდში რადიკალური ცვლილებებია, ესენია: უფასო სახელმძღვანელოები, უფასო სწავლება - 14 სპეციალობის მიხედვით, უფასო ტრანსპორტი სკოლის მოსწავლეებისათვის, უფასო საბავშვო ბაღები და სხვა უამრავი სიკეთე, რომელიც უკვე ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა და ყოფილმა განათლების მინისტრმა გ. მარგველაშვილმა დაიწყო და დღესაც გრძელდება სრულყოფა ამ რეფორმისა მოქმედი მინისტრის მიერ და საკმაოდ წარმატებულადაც. ასევე უნდა გაგრძელდეს წინა წლებში დაწყებული შიდა ინვესტიციების განთავსება. ხოლო დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ხელშესახებია წარმატებული ინვესტიციები - განათლებასა, სოფლის მეურნეობასა და ჯანდაცვაშია.

რასაკვირველია, ყველაზე დინამიურად განვითარებული ინსტიტუციონალურ ინვესტორებს შიდა ინვესტირებისას წარმოადგენენ საპენსიო და სადაზღვევო ფონდები და სასესხო ფონდები. საპენსიო და სადაზღვევო ფონდები ასეთი სრულიად განსხვავებული სახით წარმოადგენს სიახლეს ჩვენ ცხოვრებაში, როგორიც ეს მიღებულია განვითარებულ ქვეყნებში. ცვლილებები მიმდინარეობს დღეისათვის საქართველოში. იქმნება მსგავსი საპენსიო ფონდები საშემოსავლო გადასახადიდან გარკვეული ოდენობის თანხის ავტომატურად გადაირიცხება, რის საფუძველზე უზრუნველი იქნება თითოეული მოქალაქის სიბერე, სოლიდური პენსიით და ასევე შიდა ინვესტირებაში თანამონაწილეობით. დაზღვევა კიდევ ცალკე განსაკუთრებული და დიდი თემაა, იგი წარმატებულად მიმდინარეობს საქართველოში საყოველთაო დაზღვევის სახელით. იგი მომავალშიც გაფართოვდება, გაიზრდება და განვითარდება.

შიდა ინვესტირების განთავსების ძალიან დიდი პერსპექტივაა სასესხო ფონდებში. სასესხო ფონდების ფენომენი აქტივების ზრდის თვალსაზრისით უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე საპენსიო და სადაზღვევო ფონდების ფენომენია. მიმდინარე წლის 29 მარტიდან დაიწყო შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში სესხების გაცემა, დაახლოებით 160 მილიონი ლარის გაცემა მოხდა. იაფი ფულადი რესურსებით ათასობით ფერმერმა, მეწარმემ და გლეხმა ისარგებლა, ამ შემთხვევაში დაცულია ყველა კომერციული ინტერესი, როგორც ბანკის, ისე მსესხებლის, ხოლო სახელმწიფო სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს სახით, საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი წილის - 9-12%. ასე რომ, მსგავსი პროცესებია ქართულ ეკონომიკაში და ფულად-საკრედიტო სფეროშიც მიმდინარეობს, ამიტომ მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, ეს ფონდები, სხვა ფონდებთან შედარებით, ყველაზე წარმატებულია შიდა ინვესტირების კუთხით. მაგრამ წარუმატებელია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, რაც სრულიად ლოგიკურია, საქართველოში არსებული ეკო-

ნომიკური მდგომარეობითა და არასტაბილური პოლიტიკის გამო, ასევე სანამ მთელი სიმძლავრით არ ამუშავდება სრულად ან ნაწილობრივ გაჩერებული ძველი და ასევე ახალი საწარმოებიც, რის იმედსაც იძლევა სწორედ ის აღნიშნული შეღავათიანი აგროკრედიტები და თანაინვესტირების ფონდები. მიუხედავად ყველაფრისა, არის კომპეტენტური ექსპერტ-ეკონომისტების პროგნოზი, რომ ეკონომიკური ზრდა აუცილებლად იქნება მომავალი წლის მეორე ნახევრიდან, რისი ნიშნებიც საბანკო სისტემაში უკვე რეალურია.

სხვადასხვა საინვესტიციო კომპანიები თავის პოლიტიკაში განსხვავებულ მიზნებს მისდევენ, რასაც სხვაგვარად განსხვავებულ საინვესტიციო სტილსაც ეძახიან. ეს მათი ინდივიდუალურობის მახასიათებელია, რასაც აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეებიც. ამაზე საუბარი შეიძლება მხოლოდ საბოლოო შედეგების, ანუ მოგების მიხედვით. საინვესტიციო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას, საჭიროა არსებობდეს მაკროეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის განცდა, ინვესტორთათვის მომგებიანი ფისკალური და მონეტარული სისტემა. ასევე სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ვლადიმერ პაპავა, „არატრადიციული ეკონომიქსი" თბილისი 2011წ.
2. ელდარ ისმაილოვი, ვლადიმერ პაპავა, „ცენტრალური ევრაზია" - ახლებური aგროპოლიტიკური გააზრება, გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2012 წ.
3. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, ვლადიმერ პაპავა, „ნეკროეკონომიკის ზომბირება", თბილისი 2010წ.
4. თ. ბასილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკვაიძე, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა 1 საუკუნის მიჯნაზე, თბილისი, 2001 წ.
5. კანონი ინვესტიციების შესახებ
6. Кеинс Дж. Общая Теория Занятности, Процента и Денег, Москва, 1978г.
7. "Финансовый менеджмент методы инвестирования капитала" - М. Ф. Овсийчук, Л. Тейлора, , Москва, ИНФРА-М 1996 г.

*თინათინ ქურდაძე*

*ეკონომიკის აკადემიური დოქტორი*

## შიდა ინვესტიციების მოზიდვის ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხისათვის

### ანოტაცია

სტატიაში შიდა ინვესტიციების მობილიზების ეფექტიანობის საკითხი, ერთის მხრივ, მჭიდრო კავშირშია ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებასთან, მოწინავე ტექნოლოგიების ამოქმედებასთან და მენეჯმენტისა და მარკეტინგის თანამედროვე მეთოდების ათვისებასთან, ხოლო, მეორეს მხრივ, სახელმწიფო არ იღებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვალდებულებებს და საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ შიდა და საგარეო, ანუ უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობა დამოკიდებულია მოზიდული ინვესტიციების რაოდენობასა და ხარისხზე და მიმღები ქვეყნის უნარზე დროულად მოახდინოს ინვესტიციების აპრობირება, განათავსოს იგი იმ დარგებსა და რეგიონებში, სადაც ისინი უფრო საჭიროა.

***Тинатин Курдадзе***

*Академический доктор экономики*

## К ВОПРОСУ ОБ ЭКОНОМИЧЕСКОЙ ЭФФЕКТИВНОСТИ ПРИВЛЕЧЕНИЯ ВНУТРЕННИХ ИНВЕСТИЦИИ

### Аннотация

В статье рассматривается вопрос экономической эффективности привлечения внутренних инвестиции, тесно связанных с развитием реального сектора экономики, ведущими технологиями современными методами менеджмента и маркетинга.

***Tinatin Kurdadze***

*Academic doctor of economic*

## CONCERNING ECONOMIC EFFICIENCY OF ATTRACTION OF INTERNAL INVESTMENTS

### Annotation

